

ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია

A2



აგორა

A5



ოცი წლის შემდეგ

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 28 ივლისი, 2006 წელი. №168 (1320) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## პოლიტიკა

### აზერბაიჯანი ირანსა და აშშ-ს შორის შუამავლობას არ აპირებს

ოფიციალური ბაქო მიიჩნევს, რომ თეირანს სრული უფლება აქვს განავითაროს „მშვიდობიანი ატომი", - აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი ჟურნალისტებთან საუბარში.

A3

## სამართალი

### უზენაესი სასამართლოს დაგვიანებული პასუხი

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის განკარგულებით დაპატიმრებულ ირაკლი კაკაბაძეს და მის მეგობრებს 30-დღიანი პატიმრობის ვადა ხვალ ეწურებათ. შესაბამისად, ისინი პატიმრობიდან ხვალვე გათავისუფლდებიან.

A4

## რევიუ

### ძლიერი საზოგადოება ბავშვთა კეთილდღეობისთვის



A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/07 | 29/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 30 |
| ბათუმი | 29 | 28 |
| სოხუმი | 31 | 29 |
| ქუთაისი | 32 | 32 |
| გორი | 28 | 25 |
| ზუგდიდი | 33 | 32 |
| ახმეტა | 34 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2474 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2810 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| აგორა | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ახალი რეალობა

## კოდორის ოპერაციის შემდეგ

დიმიტრი ავალიანი

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ოპერაცია კოდორის ხეობაში საბოლოოდ დასრულებული ჯერ არ არის, თუმცა, მის შედეგებზე სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით საუბარი უკვე შესაძლებელია.

მთავარი ამოცანა - საქართველოს ხელისუფლების ეფექტური კონტროლის განხორციელება კოდორის ხეობაზე, შესრულებულია. ემზარ კვიციანის და მისი მომხრეების დაპატიმრება ამ შემთხვევაში უკვე მეორადი საკითხია. ამ სამხედრო-პილიციური ოპერაციის დეტალების გარჩევა, ალბათ, მოგვიანებით მოხდება, თუმცა დღესაც შეიძლება ითქვას, რომ ამოცანის შესრულება მინიმალური მსხვერპლის ფასად მოხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



კოდორის ხეობა ცხოვრებას აგრძელებს ახალ რეალობაში.

# „კოდორი ცხადდება აფხაზეთის დროებით ადმინისტრაციულ ლეგიტიმურ ცენტრად"

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კოდორის ხეობაში გადავა. პრეზიდენტის თქმით, ეს გადაწყვეტილება მან პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიიღო.*

მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს: **„პირველად 1993 წლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე შედის მთავრობა, რომელიც აფხაზეთის შუაგულში ახორციელებს საქართველოს იურისდიქციას და კონსტიტუციურ წესრიგს."**

გაგრძელება A3 გვერდზე



# პოლიტიკური გამოცდა და „ჭეშმარიტების მომენტი" უკრაინულ პოლიტიკაში

ხათუნა ბაბიევი

*უკრაინაში პოლიტიკურ თანხმობამდე ჯერ კიდევ შორია. სავარაუდოდ, ვერც იუშენკოს მიერ ინიცირებული გუშინდელი „მრგვალი მაგიდა" მოიტანს „ეროვნულ თანხმობას". თუმცა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, უკრაინის ეკონომიკა ასე თუ ისე მაინც ვითარდება.*

მიმდინარე წლის განმავლობაში სახელმწიფოში განვითარებული რთული პოლიტიკური პერიპეტიების მიუხედავად, ქვეყანაში გადადგმულ ნაბიჯებს მაინც დადებითად აფასებს უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და მიიჩნევს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში „ჭეშმარიტების მომენტი" დადგა.

გაგრძელება A2 გვერდზე



# ლუსტრაციისთვის

ეკა კვესიტაძე

რა თქმა უნდა, სავსებით ლეგიტიმურია კითხვები - რატომ ვერ მოახერხეს აქამდე ძალოვანმა უწყებებმა კვიციანის განეიტრალება, როდესაც უამრავი ეჭვი არსებობდა მის საქმიანობაზე; რატომ აქამდე არ ამოიღეს იარაღი კოდორის ხეობიდან; რატომ აქამდე არ ვრცელდებოდა იქ საქართველოს იურისდიქცია და ასე შემდეგ. ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხის გაცემა ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს.

თუმცა, ისიც ადვილი წარმოსადგენია, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კვიციანის განცხადებების შემდეგაც კი, ხელისუფლების ძალადობაზე საუბრობს, როგორ გააპროტესტებდა ყოფილი რწმუნებულის დაჭერას რაიმე სერიოზული წინაპირობის გარეშე.

კოდორის ხეობის მოსახლეობა მძიმე სოციალურ მდგომარეობაშია და ეს, ბუნებრივია, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. მაგრამ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ყოფილი რწმუნებულის შეიარაღებულ ამბოხს არანაირი კავშირი არ აქვს ხეობაში შექმნილ სოციალურ გარემოსთან. მისი მოთხოვნები წმინდა პოლიტიკური ხასიათის იყო, ერთი ერთზე ემთხვეოდა რუსი პოლიტოლოგების და ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და მათ მიერ დაწერილი სცენარების ერთი ნაწილის განხორციელებას ისახავდა მიზნად.

კოდორში სპეცოპერაციის ჩატარება თავისთავად შეიცავდა დიდ რისკს, მაგრამ ეს რისკი არანაირად არ ამართლებდა უმოქმედობას. მშვიდობიანი მოლაპარაკება იმ ადამიანთან, რომელიც შეიარაღებულ ამბოხს იწყებს, მხოლოდ იარაღის დაყრაზე მოლაპარაკებას გულისხმობს. სხვა ყველაფერი შანტაჟზე წამოგებაა, როგორც თავის დროზე ეს შევარდნაძეს დაემართა. კოდორში პრობლემები რომ არ შეექმნა, კვიციანი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, ყოფილმა პრეზიდენტმა ხეობაში თავის რწმუნებულად დანიშნა. ეს შევარდნაძის სისუსტე იყო, რომლის გამოსწორება დროულად ვერც ამ ხელისუფლებამ შეძლო. მაგრამ დღეს სპეცოპერაციის ჩატარება კვიციანის და მისი მომხრეების წინააღმდეგ ერთადერთი ადეკვატური პასუხი იყო შექმნილ გამოწვევაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რეაბილიტაციისთვის საჭირო ოპერაცია

*ემზარ კვიციანს და მის თანამებრძოლებს ისევ ეძებენ, ამჯერად კოდორის ხეობის გარეთ. ოპერაციის სამდღიანი აქტიური ფაზის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში ვითარებას სრულად აკონტროლებს.*

### ფაზა მეორე

გუშინ, ანტიკრიმინალური ოპერაციის მესამე დღეს, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ოპერაციის მთავარი ფაზა დასრულდა და დაიწყო ე.წ. მეორე ფაზა. იგი მიზნად ისახავს კრიმინალების დაკავებას და ხეობიდან იარაღის ამოღებას. ოქრუაშვილის ინფორმაციით, კოდორის სოფლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები აკონტროლებენ.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში განაცხადა, წლების განმავლობაში ხეობა ძებნილთა თავშესაფარი იყო. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სწორედ ძებნის ოპერაცია დაიწყო. ოქრუაშვილის თქმით, ძალოვნები ხეობას მანამ არ დატოვებენ, ვიდრე კრიმინალებს არ დააკავებენ.

„საკუთარ თვალებს არ დავუჯერე, როდესაც ასე მოკლე დროში ამოღებული იარაღის რაოდენობა ვნახე. როგორც ვიცი, ეს მეათედია იმისა, რაც კიდევ რჩება ხეობაში", - თავდაცვის მინისტრი სატელევიზიო ეთერით გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებას. ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის დატოვებენ ძალოვანი მინისტრები კოდორს. ოქრუაშვილის განმარტებით, ეს მოვლენათა განვითარებაზეა დამოკიდებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯილდო

### (პრიზი შსს-ს ჩინოსნის ვერსიით)

## ინფორმაციისთვის

*200 ათასი ლარი - ეს, ის ჯილდოა, რომელიც შსს-მ დააწესა და რომელსაც ემზარ კვიციანისა და მისი დისშვილის ირაკლი არღვლიანის ადგილსამყოფელის მცოდნე ინფორმატორს გადასცემს. თითოეული ძებნილის დასაკავებლად სახელმწიფო 100 ათას ლარს გასცემს.*

შს სამინისტრო მოსახლეობას თანამშრომლობას სთავაზობს და ის ადამიანი, რომელიც სამართალდამცველებს ძებნილების ადგილსამყოფელს აცნობებს, „სოლიდური პრიზით" (ასეთი განცხადება გააკეთა შსს-ს წარმომადგენელმა გია აბულაძემ სპეციალურ ბრიფინგზე) დაჯილდოვდება.

როგორც ცნობილია, ემზარ კვიციანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გენერალურმა პროკურატურამ ოთხშაბათს აღძრა. გამოძიებამ კვიციანს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-შეძენისა და ტარების მუხლებით ბრალი დაუსწრებლად წაუყენა. გენპროკურატურა კვიციანს სამშობლოს ღალატის მუხლითაც წაუყენებს ბრალს.

იმ ბრალდებებს შორის, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს წაუყენა, ყველაზე მძიმე შეიარაღებული ამბოხების გზით კონსტიტუციური წყობილების დამხობის მცდელობაა. ამ დანაშაულისათვის საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსის 315-ე და 316-ე მუხლი მაქსიმალურ სასჯელს - 20 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისიწინებს.

გარდა ამისა, კვიციანმა იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისა და შეიარაღებული ბანდფორმირებების შექმნისთვისაც უნდა აგოს პასუხი, რაც საერთო სასჯელს დაემატება. რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა სასჯელთა ნაწილობრივ შეკრებასაც ითვალისწინებს, კვიციანის სასჯელის ზომა, შესაძლოა, 20 წელს აღემატებოდეს - ასეთია იურისტთა სამართლებრივი შეფასება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მიმართვა

გვსურს, ჩვენი გულისტკივილი გაგიზიაროთ უკანასკნელ ხანს კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო.

ვთვლით, რომ დაიწყო სრულმასშტაბიანი და გადამწყვეტი შეტევა ქართული სახელმწიფოებრიობის და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მრავალწლიან კონფლიქტებს, კოდორის ხეობაში და თბილისში განვითარებულ მოვლენებს განვიხილავთ ერთი ჯაჭვის შემადგენელ ნაწილად და კიდევ ერთხელ შევახსენებთ საქართველოს ხელისუფლებას ქართველი ხალხის წინაშე აღებულ უმთავრეს მოვალეობას, დაიცვას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ოკუპანტებისა და მათი ქართველი მარიონეტი მოღალატეების შემოტევისაგან.

ეს არის ჩვენი საერთო ბრძოლა. ქართულ საზოგადოებას ახსოვს უახლესი წარსულის გამოცდილება და აღარ აპირებს საბედისწერო შეცდომების გამეორებას.

საქართველოს ხელისუფლებას ვუცხადებთ უპირობო მხარდაჭერას რუსული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში და მივიჩნევთ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება საქართველოს სრული თავისუფლების საწინდარი გახდება.

**ტარიელ ჭანტურია; გივი ალხაზიშვილი; გოგი ოჩიაური; თამარ ებრალიძე; გია ბუღაძე; ლაშა ბუღაძე; ზაალ სამადაშვილი; ქეთათო ჩარკვიანი; ლევან გახელაძე; ლევან ჩოლოყაშვილი; მამუკა ხერხეულიძე; ბაკურ კოტეტიშვილი; მაია გურაბანიძე; ბოცო წიკლაური; გია ჭანტურია; ქეთევან იგნატოვა; ზაზა ციციშვილი; მაკო ჭოლოშვილი; მაკო ყუფარაძე; ლევან თარხნიშვილი; ანი თარხნიშვილი; დათო საყვარელიძე; დათო ცხადაძე; პაატა ბერიკაშვილი; ხათუნა ოჩიაური; დათო დოიაშვილი; ნიკა მემანიშვილი.**

## პოლიტიკური გამოცდა და „ჭეშმარიტების მომენტი" უკრაინულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

**„ჩვენ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ვითარება, როგორიც დღეს ჩვენ პარლამენტში გვაქვს ხაფანგი და ჩიხია, ხოლო მისგან თავის დაღწევა მხოლოდ ორი გზით შეიძლება, ესაა კონფრონტაციის ან ერის რეალურად გაერთიანების გზის გაგრძელება. ერის სტრატეგიის ჭეშმარიტი არჩევანი პოლიტიკოსთა ხელშია"**, - აღნიშნა ვიქტორ იუშენკომ საერთოეროვნული „მრგვალი მაგიდის" სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას უმაღლესი რადის სპიკერი ალექსანდრე მოროზი, პრემიერ-მინისტრი იური ეხანუროვი, საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები და გამოჩენილი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები იღებდნენ.

შეხვედრის შედეგებიდან გამომდინარე კი ქვეყნის პირველმა პირმა „მრგვალი მაგიდის" მონაწილეებს დოკუმენტის ხელმოწერა შესთავაზა, რომელსაც „ეროვნული ერთიანობის უნივერსალი" ეწოდება. თუმცა, უკრაინის სიჭრელით გამორჩეული პოლიტიკური სპექტრისთვის მსგავსი განცხადების მიღება ფანტაზიის სფეროს უფრო განეკუთვნება.

იუშენკოს განცხადებით, მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების დადებითი ტენდენციები აჩვენა ქვეყანაში არსებული „პოლიტიკური ბატალიების" მიუხედავად.

22 ივლისს ერისადმი ტრადიციულ რადიომიმართვაში ვიქტორ იუშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინის ეკონომიკამ ორ არცთუ ისე იოლ საარჩევნო კამპანიას გაუძლო და თანდათანობით პოლიტიკური რისკების ზონიდან თავის დაღწევასაც ახერხებს. „რეგნუმ"-ის მიერ გავრცელებული მონაცემებით, ქვეყნის ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა წლის პირველ ნახევარში 5 პროცენტი შეადგინა მაშინ, როცა უკვე ივნისში ეს მაჩვენებელი 9.3 პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი უკრაინის პრეზიდენტის შეფასებით „ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია".

რაც შეეხება ინფლაციის დონეს, მან თითქმის ორჯერ იკლო, ხოლო მოსახლეობის რეალური შემოსავალი დაახლოებით 20 პროცენტით გაიზარდა.

გაზრდილია ასევე ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, რომელმაც შარშანდელს ორჯერ გადააჭარბა. მიმდინარე წლის დასაწყისში ზრდა დაიწყო აგრეთვე ნავთობისა და გაზის მოპოვებამ, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო ნაკლებად დამოკიდებული გახდეს სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ კი, მეზობელი რუსეთიდან ენერგორესურსების იმპორტზე.

პრეზიდენტის რადიომიმართვამდე კი ეკონომიკური პროგრესის შესახებ პრემიერ-მინისტრიც საუბრობდა. თუმცა, იგი განსაკუთრებულ აქცენტს მშენებლობაში მზარდ მაჩვენებელზე აკეთებდა. ეხანუროვის განმარტებით ამ წარმატების მიზეზი ქვეყანაში წარმოების სფეროს კიდევ უფრო გააქტიურებაა.

**„ჩვენ კრიზისული მდგომარეობა არა ეკონომიკაში, არამედ სხვა სფეროში გვაქვს"**, - აცხადებს იური ეხანუროვი. მისი მოსაზრებით, პოლიტიკისგან ეკონომიკის ამგვარი დამოუკიდებლობა თავისებურ „ფენომენადაც" შეიძლება იქცეს.

ეკონომიკურ წარმატებაზე პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გარდა, რასაკვირველია, ეკონომიკის მინისტრი, უკრაინის ბანკირთა ასოციაციის პრეზიდენტი და დამოუკიდებელი ექსპერტებიც საუბრობენ.

ექსპერტთა თქმით, უბრალოდ გასაკვირია, თუ რამდენად „გულგრილი" გახდა ბაზარი პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში.

ეკონომიკური ზრდა უბრალოდ სიურპრიზად იქცა ანალიტიკოსთათვისაც. მათი თქმით, ბუნებრივ გაზზე ფასის მკვეთრი მომატების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება სხვა არაფერია თუ არა სასწაული.

უმაღლეს რადაში შექმნილი მდგომარეობა აღარც ინვესტორებს აფრთხობს. თუმცა, გარკვეული პრობლემები საინვესტიციო სფეროში ჯერ კიდევ არსებობს უკრაინის შემთხვევაში. ევროპული ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის ანა დერევიანკოს თქმით, უკრაინის ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს მიწის უფლებებზე და მიიღოს კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ.

რიგი სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ამ წარმატებით მეტისმეტად აღფრთოვანება სახიფათოც შეიძლება გამოდგეს ქვეყნისთვის, რადგან პოლიტიკური სტაბილურობის გარეშე სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება მაინც შეუძლებელია. ანალიტიკოსთა კიდევ ერთი შეშფოთების მიზეზი კი ტურიზმის სფეროცაა.

ასეა თუ ისე, პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად უკრაინის ეკონომიკა მაინც ვითარდება, მაგრამ სპეციალისტთა მოსაზრებებიც, რომ აბსოლუტურად საფუძვლიანია - ეს არა მარტო პოლიტიკურ სპექტრს, არამედ ეკონომიკური სექტორის წარმომადგენლებსაც და მოსახლეობასაც კარგად ესმის.

## მოკლედ

### მერაბ ანთაძემ და ივო პეტროვმა კოდორში არსებული ვითარება განიხილეს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი მერაბ ანთაძე გუშინ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელს, ივო პეტროვს შეხვდა.

მინისტრმა პეტროვს კოდორის ხეობაში მიმდინარე საპოლიციო ოპერაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საპოლიციო ოპერაცია წარმატებით, გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა და ამოღებულია დიდი რაოდენობით იარაღი.

ითქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები საქართველოს კანონმდებლობისა და მის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში მოქმედებენ. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კოდორის ხეობაში წესრიგისა და კანონიერების განმტკიცება ხელს შეუწყობს აფხაზეთში, საქართველოს კონფლიქტის ფართომასშტაბიან პოლიტიკურ დარეგულირებას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ კონსულტაციებს საკოორდინაციო საბჭოს გამართვის თარიღის და დღის წესრიგის განსაზღვრასთან დაკავშირებით. **24 საათი**

### ედუარდ კოკოითი მოსკოვში ჩავიდა

სააგენტო „ინტერფაქსის" ცნობით, მოსკოვში დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ჩავიდა. როგორც სააგენტო იუწყება, კოკოითის რუსეთის დედაქალაქში ჩასვლის მიზეზი რუსეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან კონსულტაციების გამართვაა.

როგორც კოკოითის დაახლოებულ პირებზე დაყრდნობით, სააგენტო იუწყება, დე ფაქტო პრეზიდენტი მოსკოვში რეგიონში შექმნილ ვითარებაზე, ასევე თვითაღირებული რესპუბლიკისა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელებს. **24 საათი**

### სერგეი შამბა: გაერო-მ კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებზე არასაკმარისი რეაგირება მოახდინა

დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, გაერო-მ კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებზე არასკმარისი რეაგირება მოახდინა. ამის შესახებ შამბამ სააგენტო „რეგნუმთან" საუბარში განაცხადა.

მისი თქმით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გაერო დუმს და „ეს იმის მიუხედავად, რომ არსებობს საქართველოს მხრიდან შეთანხმებათა დარღვევის ნათელი მაგალითები".

ის რაც კოდორის ხეობაში ხდება, შამბას თქმით, საპოლიციო ოპერაცია სულაც არ არის. „თუ მიზანი ერთადერთი დამნაშავის კვიციანის დაკავებაა, მაშინ ამხელა ძალების თავმოყრა უბრალოდ სასაცილოა. კვიციანის ამ ტყესა და მთებში დაჭერა შეუძლებელია. არსებობს ერთადერთი გზა - თუ ის თავად გადაწყვეტს ჩაბარებას", - აღნიშნავს იგი.

ჭეშმარიტი მიზნის გამჟღავნება ქართულმა მხარემ დაიწყო, მიიჩნევს შამბა და განმარტავს, რომ ქართულმა მხარემ თავად განაცხადა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმის დაკავების განზრახვის შესახებ. შესაბამისად, შამბას თქმით, ის, რაც კოდორის ხეობაში ხდება, არის „არა საპოლიციო, არამედ სამხედრო ოპერაცია".

იგი ასევე დასძენს, რომ დიპლომატია კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი მშვიდობიანი საშუალებაა და ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესის შეწყვეტაზე საუბარი ნაადრევია. **ინტერპრესნიუსი**

### სერგეი ბაგაფში ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების შეწყვეტას არ აპირებს

კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში სიტუაცია სრულად კონტროლდება და რეზერვისტთა მობილიზების აუცილებლობა არ დგას. ამის შესახებ დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და ორგანიზაციების, ეროვნული და რელიგიური საზოგადოებების, ასევე ხელოვნების მუშაკთა გაერთიანების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. შეხვედრა კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა.

ხელისუფლებას, ბაგაფშის თქმით, საკუთარ მოქმედებათა სისწორისა და საზოგადოების აზრის გარკვევა სურს. „რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე, ხელისუფლება კონსულტაციებს გამართავს ყველასთან. თუმცა, ამ ეტაპზე პანიკის საფუძველი არ არსებობს", - აცხადებს იგი.

სერგეი ბაგაფშმა შეკრებილთ ინფორმაცია მიაწოდა უსაფრთხოების ზომების შესახებ, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში აფხაზეთი გამოიყენებს და საზოგადოებას სიტუაციის დაძაბვისგან თავის შეკავება სთხოვა.

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა დე ფაქტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გაწყვეტა მოსთხოვა და არგუმენტად „საქართველოს მიერ ყველა შეთანხმების დარღვევა დაასახელა".

თუმცა, როგორც სააგენტო „რეგნუმი" იუწყება, ბაგაფშმა „მსგავს სიტუაციაში მოლაპარაკებების პროცესის შეწყვეტის მიზანშეუწონლობას გაუსვა ხაზი". „ჩვენ უკვე მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს და მოლაპარაკებების შეწყვეტაზე საუბარი ნაადრევია", - აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტმა. **ინტერპრესნიუსი**

## ოპოზიციური შვიდეულის განცხადებები „ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკაზე"

*ქართველი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი ემზარ კვიციანის ქმედებებს უარყოფითად აფასებს. მაგრამ როდესაც საქმე ხელისუფლების საპასუხო რეაქციას ეხება, მოსაზრებები ორად იყოფა: მმართველი გუნდის მხარდამჭერები რადიკალური, გადამჭრელი ზომების მიღებას ემხრობიან, ოპოზიციური ძალები კი მეამბოხეებთან დიალოგს ითხოვენ და აცხადებენ, რომ ძმათამკვლელი ომი და სისხლისღვრა დაუშვებელია.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ („ახალი მემარჯვენეები", „მრეწველები", რესპუბლიკური პარტია, სახალხო ფორუმი, კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება" და ლეიბორისტული პარტია) მიიღო ერთობლივი განცხადება, რომელშიც კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენებია შეფასებული. ოპოზიციური პარტიის ლიდერები კოდორის ამბებს „ქვეყანაში არსებული უმწვავესი კრიზისის კიდევ ერთ გამოვლინებად" აფასებენ და ამტკიცებენ, რომ „მისი უმთავრესი მიზეზი სააკაშვილის ხელისუფლების უგუნური პოლიტიკაა".

**„ასეთი პოლიტიკის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებთან დაკავშირებული მოვლენები, რის შემდეგაც შინაგან საქმეთა მინისტრად ვანო მერაბიშვილის დამტკიცებამ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა მკვლელების დაუფარავ მხარდამჭერებად და მფარველებად აქცია, ხოლო საზოგადოებას საბოლოოდ გადაუწურა ქვეყანაში სამართლიანობის პოვნის იმედი"**, - ნათქვამია განცხადებაში.

ოპოზიციური პარტიების ლიდერების აზრით, კოდორის ხეობაში განხორციელებული ავანტიურის ორგანიზატორთა ერთ-ერთი მთავარი ჩანაფიქრი იყო გაუაზრებელი და იმპულსური ქმედებებით გამორჩეული ხელისუფლების პროვოცირება ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ოპერაციის წამოწყებაზე, სტრატეგიული თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვან და მგრძნობიარე რეგიონში.

**„სამწუხაროდ, ეს მიზანი მიღწეული იქნა და საქართველომ კოდორის ხეობაში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პლაცდარმის ნაცვლად, შეიძლება მიიღოს დესტაბილიზაციის კიდევ ერთი კერა, რომელიც ემზარ კვიციანის გაუვნებელყოფის შემდეგ უფრო მასშტაბური პრობლემების კატალიზატორად იქცევა"**, - ვარაუდობს შვიდი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი.

როგორც ისინი აცხადებენ, სააკაშვილის ხელისუფლებამ და მისმა გუნდმა ვერ გაითავისა საქართველოს ბოლო თხუთმეტწლიანი ისტორიის მთავარი გაკვეთილი და დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფამ, ძალადობის კულტის დანერგვამ, აგრეთვე კანონის უზენაესობის იგნორირებამ და საკუთარი მოქალაქეების ღირსების განუწყვეტელმა შელახვამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ქართული სახელმწიფოებრიობის მტრების მიერ შეიარაღებული ავანტიურისტების ასპარეზზე გამოსაყვანად.

**„სააკაშვილის უუნარო და უპასუხისმგებლო ხელისუფლება მომავალშიც არაერთი საფრთხის წინაშე დააყენებს ქვეყანას. მაგრამ ქვეყანას ყველაზე დიდი საფრთხე გარე თუ შიდა ძალებისაგან ემუქრება, ვინც ახალი შეიარაღებული დაპირისპირებით გეგმავს პოლიტიკური მიზნების მიღწევას"**, - აღნიშნულია განცხადებაში.

ოპოზიციური პარტიები ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობას იღებენ და საკუთარი ამომრჩევლის წინაშე დებენ პირობას, რომ მთელ ძალისხმევას მოახმარენ საზოგადოების კონსოლიდაციას „სააკაშვილის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შესაცვლელად".

**„ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიები, მოვახერხებთ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, პოლიტიკური პროცესების წარმართვასა და კონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილების ტრადიციის დამკვიდრებას საქართველოში"**, - საკუთარ პერსონებს ახლო მომავალში ხელისუფლების სათავეში მოაზრებენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები.

ოპოზიციის გუშინდელ განცხადებაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმალ მოახდინეს რეაგირება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ემზარ კვიციანის ქმედებას უჭერს მხარს. მას ძალზე აინტერესებს, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერით სარგებლობდა ემზარ კვიციანი. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს სურს დაიჯეროს, რომ ის შვიდი ოპოზიციური პარტია, რომლებსაც საგანგებო შტაბი აქვთ შექმნილი, ექს-რწმუნებულის ბანაკში არ შედიოდა.

**„მინდა იმედი ვიქონიო, რომ დაკავების შემდეგ ემზარ კვიციანი ამ შვიდი პარტიიდან არც ერთთან არ დაადასტურებს თავის ალიანსს,"** - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ოპოზიციის განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძეც ეხმაურება. სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე მან აღნიშნა, რომ ოპოზიციამ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ზურგი შეაქცია. არველაძე მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ოპოზიცია ეროვნულ ინტერესებს არ ითვალისწინებს".

## ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია

### ორი ნავთობგიგანტი ურთიერთობების გაღრმავებაზე ზრუნავს

თეა მაისურაძე

26 ივლისს მოსკოვს ვენესუელას ლიდერი ჰუგო ჩავესი ეწვია. გუშინ, რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან პირისპირ საუბრის შემდეგ, ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა კრემლში მხარეების დელეგაციებთან შეხვედრა მოაწყეს. ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია ვენესუელასა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობებით და მათი მჭიდრო თანამშრომლობით, განსაკუთრებით კი სამხედრო-ტექნიკურ სფეროში: **„ჩვენს შორის ურთიერთობები უფრო და უფრო ღრმავდება,** - განაცხადა პუტინმა, - **იზრდება ორმხრივი ვაჭრობა, ჩნდება თანამშრომლობის ახალი სფეროები"**.

ვენესუელას ლიდერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რუსეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ ვენესუელა სტაბილური ქვეყანაა: **„ჩვენ რუსეთში ჩამოვედით იმისათვის, რომ დავაფიქსიროთ ჩვენი სიმპათია და მეგობრული დამოკიდებულება ამ ქვეყნისადმი,"** - განაცხადა ჩავესმა რუსეთის დელეგაციათან შეხვედრის დროს. **„ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ რუსეთთან ერთად ეკონომიკის განვითარების გზას ვადგავართ,"** - ამბობს ვენესუელის ლიდერი.

ჰუგო ჩავესმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა რუსეთის პრეზიდენტს ვენესუელის ბლოკადიდან გათავისუფლებისათვის. მაშინ, როდესაც აშშ-მ ვენესუელა სრულიად განაიარაღა, რუსეთი ამ უკანასკნელს გვერდში ამოუდგა და დიდი დახმარება გაუწია: **„ჩვენ ახლა უკვე გვაქვს ისეთი ტიპის იარაღი, როგორიც არის კალაშნიკოვი"**- განაცხადა ჩავესმა. ვენესუელის ლიდერი იმ ქარხანასაც ესტუმრა, სადაც კალაშნიკოვის წარმოება ხდება, ხოლო ჟურნალისტებთან საუბრისას ვენესუელის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოფიციალურ მოსკოვთან ის ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომელიც ვენესუელაში კალაშნიკოვის მწარმოებელი ქარხნის აშენებას ითვალისწინებს.

კრემლში შეხვედრისას პრეზიდენტებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში. მათ ასევე ისაუბრეს ახლო აღმოსავლეთსა და ირანთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჰუგო ჩავესმა და პუტინმა განიხილეს ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე სტაბილურობის შენარჩუნების პრობლემა და ისაუბრეს ორმხრივ თანამშრომლობაზე ენერგეტიკის სფეროში.

საყურადღებოა, რომ 2005 წელს ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელმა 61,85%-ს მიაღწია და დაახლოებით 77 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.

ბოლო პერიოდში ვენესუელას ბიუჯეტი ძალიან გაიზარდა, შესაბამისად ბიუჯეტის 68 მილიარდი დოლარის პროფიციტის პირობებში კარაკასი თავს უფლებას აძლევს ეს თანხა შეიარაღებაზე დახარჯოს. გასული კვირას, პარასკევს, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ვენესუელასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ოფიციალური კარაკასი რუსეთისაგან 30 გამანადგურებელ Су-30 ტიპის თვითმფრინავს და ამავე რაოდენობის ვერტმფრენს იყიდის. ამ ტექნიკის შესაძენად ვენესუელის მიერ გაღებული თანხა დაახლოებით 1 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. აღნიშნულ ხელშეკრულებას ჩავესის მოსკოვში ვიზიტისას მოეწერა ხელი.

ჩავესის თქმით, მისი ვიზიტი მოსკოვში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან ხელი უნდა მოაწეროს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვენესუელას ენერგეტიკის, სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროსათვის.

შეგახსენებთ, რუსეთი და ვენესუელა ნავთობის მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნებს განეკუთვნებიან. ჰუგო ჩავესის განცხადებით, რუსეთი ვენესუელასთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ენერგეტიკის სფეროში. მოსკოვში ვიზიტის დროს ვენესუელას ლიდერმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ისეთ მსხვილ ნავთობკომპანიასთან, როგორიც არის ლუკოილი.

საყურადღებოა, რომ რუსეთი დადებითად არის განწყობილი და მჭიდროდ თანამშრომლობს ვენესუელასთან, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი აშშ-ს ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან რუსეთს არადემოკრატიულ რეჟიმებთან და უფრო კონკრეტულად კი აშშ-ს მოწინააღმდეგეებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობები გააჩნია.

ვენესუელას ლიდერმა არ დამალა თავისი უარყოფითი განწყობა მსოფლიოს ჰეგემონის მიმართ: **„ყველაზე დიდი საფრთხე, რაც მსოფლიოში არსებობს არის შეერთებული შტატების იმპერია, ეს უაზრო, ბრმა და უვიცი გიგანტია, რომელსაც არ ესმის მსოფლიოსი ... ის ვერც კაცობრიობაში, მის ცნობიერებაში და კულტურაში ვერ ერკვევა"**.

მისივე თქმით, აშშ უხეშად ერევა ერაყში, ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში.

ვენესუელას ლიდერი უკვე მეოთხედ ეწვია რუსეთს. 2001 წელს ის ოფიციალური ვიზიტით ორჯერ იმყოფებოდა მოსკოვში, ხოლო შემდგომ ის 2004 წელს ესტუმრა მოსკოვს.

მოსკოვში ჩასვლამდე ჩავესი ჯერ ბელორუსიაში, ვოლგოგრადის ოლქში და უდმურტიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ის შეხვდა ალექსანდრ ვოლკოვსა და იარაღის ცნობილ კონსტრუქტორს მიხაილ კალაშნიკოვს, მოინახულა „იჟმაშის" ქარხანა, დაათვალიერა აქ წარმოებული მსუბუქი ტიპის იარაღი.

ვიზიტის ფარგლებში ვენესუელას ლიდერი შეხვდა რუსეთის სახელმწიფო დუმის წარმომადგენელს ბორის გრიზლოვს, რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის-განვითარების პალატის ხელმძღვანელს და „რუსეთი-ვენესუელას საქმიანი საბჭოს" რუს წარმომადგენლებს.

ჩავესის ოფიციალური ვიზიტი რუსეთში გუშინ დასრულდა.




**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ახალი რეალობა კოდორის ოპერაციის შემდეგ

პირველი გვერდიდან

სადავო ამ შემთხვევაში შეიძლება ძალის ადეკვატურად გამოყენების საკითხი იყოს. ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ იმის წინასწარმეტყველება, რა წინააღმდეგობა დახვდებოდა ხეობაში სამთავრობო ძალებს, რა რაოდენობის მხარდაჭერას მიიღებდნენ მეამბოხეები გარედან, ოპერაციის საწყის ეტაპზე შეუძლებელი იყო.

ტერიტორიაზე სწრაფად კონტროლის დამყარების ოპერაციის ჩატარება საქართველოს პირველად მოუხდა. მისკენ იყო მიპყრობილი მრავალი თვალი. წარუმატებლობა, გაჭიანურება, დიდი მსხვერპლი - ყოველივე ეს საფუძველს მისცემდა საქართველოს რეალურ მოწინააღმდეგეს იმ დასკვნისთვის, რომ ქვეყანას, რომელსაც ასეთი მასშტაბის ამოცანების შესრულება არ შეუძლია, შეუმდგარია, ხოლო ხანგრძლივი მოლაპარაკებების გამართვა მეამბოხეებთან სახელმწიფოს უძლურების შთაბეჭდილებას შექმნიდა. იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს საზღვრებთან მომდგარია რუსეთის 58-ე არმია - „წვრთნების ჩასატარებლად", რომლის მთავარი მიზანი „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედების გეგმის დამუშავებაა", ამგვარი ფუფუნების საშუალება სახელმწიფოს არ გააჩნდა.

დღეიდან რუს სამხედრო ექსპერტებს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების გადაფასება აშკარად მოუწევთ. და მოუწევთ დაფიქრება იმაზეც, რამდენად წარმატებული შეიძლება გამოდგეს მათთვის საქართველოს მსხვილმასშტაბიან კონფლიქტში ჩათრევა და მასში რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩართვა. საქართველოს შეუძლია გარედან თავსმოხვეულ საფრთხეზე სწრაფად რეაგირება, გადაწყვეტილების დროულად მიღება, ძალების მობილიზება, ბრძოლა და გამარჯვება, ამისთვის პოლიტიკური ნება და სრული მზადყოფნა არსებობს - ასეთია კოდორის ოპერაციის შედეგები. როგორც ჩანს, გადაფასების პროცესი დაწყებულია, რასაც გენერალ ევნევიჩის ისტერიული რეაქციაც მოწმობს.

საქართველოს პოტენციური მოწინააღმდეგისთვის ოპერაციის ზონაში ინფორმაციის სრული ბლოკირება უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ინფორმაცია რეალურად არსებული ვითარების შესახებ მხოლოდ ოპერაციაში უშუალოდ ჩართულ სტრუქტურებს ჰქონდათ. სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ რუსული და აფხაზური მხარეები.

ინფორმაციის ნაკლებობის მიუხედავად, რუსულმა მედიამ „სვანების საქართველოსთან ბრძოლის" გარშემო ნამდვილი პროპაგანდისტული ისტერია მოაწყო, რომლის კულმინაცია თავად ამ „ბრძოლის გმირის" ემზარ კვიციანის ინტერვიუ გახდა. კვიციანი კამერისთვის, ფაქტობრივად, იგივე ტექსტს კითხულობდა, რასაც აქამდე ახმოვანებდნენ კოკოითი, ჩოჩიევი და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლები. ეს იყო ზღაპრები საქართველოს მხარეს მებრძოლი ჩეჩნების, არაბების და ამერიკელი შავკანიანების შესახებ. როგორც ჩანს, რუსულმა პროპაგანდამ საქართველოს შესახებ აქამდე ახალი ვერაფერი მოიგონა, ხოლო კვიციანის პირით ამ სისულელეების გამეორება ყველაზე კარგად მეტყველებს, რომ მასაც და კოკოითისაც ერთი შემკვეთი ჰყავთ.

გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების განთავსების შესახებ, ფაქტობრივად, სრულიად ახალი რეალობა გახდება კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ამით აფხაზეთი ხდება არა საქართველოსგან ცალკე არსებული არაღიარებული, თვითგამორკვევისთვის მებრძოლი წარმონაქმნი, არამედ შიდა კონფლიქტის შედეგად დროებით ორად გაყოფილი ტერიტორია, რომელზეც ქართულ მოსახლეობასაც იგივე უფლებები აქვს, რაც აფხაზებს და იქ მცხოვრებ სხვა ეროვნების ადამიანებს და აფხაზური საზოგადოების ქართულ ნაწილს გააჩნია აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთარი ლეგიტიმური მმართველობითი ორგანოები. ეს სოხუმის ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხს კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილე მხარეების თვალში მნიშვნელოვნად შეამცირებს.

თუმცა, ამაზე აფხაზური და რუსული მხრეების ძალზე მტკივნეული რაექციაა მოსალოდნელი. ისინი კოდორის ხეობის გაუკონტროლებლობას იმის გამო ეგუებოდნენ, რომ იქ საქართველოს იურისდიქცია პირობითი იყო. შეცვლილი რეალობა კი მათ აქტიური წინაღმდეგობისკენ უბიძგებს.

რამდენიმე დღის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრობა მნიშვნელოვანი გამოცდის წინაშე იდგა, რომლის წარუმატებლად ჩაბარებაც ქვეყანას დიდ სიძნელეებს შეუქმნიდა.

ამავე დროს, კოდორის ხეობის მართლაც უმძიმეს პრობლემებს ყურადღება დროულად უნდა მიექცეს. უნდა შესრულდეს ყველა დაპირება - გაკეთდეს გზა, დაინიშნოს ვერტმფრენის მუდმივი რეისი (ხულოს რაიონზე მეტად, ეს სწორედ კოდორს სჭირდება), აღდგეს კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა. ანუ გაკეთდეს ყველაფერი ის, რაც აქამდე უნდა გაკეთებულიყო და, რაც ამ რეგიონს ქვეყნის ორგანულ ნაწილად საბოლოოდ აქცევს.

# ლუსტრაციისთვის

პირველი გვერდიდან

არის საკითხები, რომელსაც ცალსახა შეფასება სჭირდება და არა ორჭოფული განცხადებები. ეს საკითხი კი, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება და თავისუფლებაა.

ის რომ, ქვეყანა მუდმივად დგას საგარეო საფრთხეების წინაშე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლების კრიტიკა შეწყდეს. მაგრამ ის ისტერია, რომელიც კვიციანიების მხარდამჭერებისგან, „წინ, საქართველოს", უფრო სწორად კი, იგორ გიორგაძის იდეოლოგიის გარშემო შეკრებილი ადამინებისაგან ისმის, არა ამ ხელისუფლების კრიტიკა, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკაა.

ხელისუფლებას ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი და საბედისწერო - ძალაუფლებისაგან გაზულუქებული და გათავხედებული ჩინოვნიკების მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა იყო.

მაგრამ კვიციანების, გიორგაძეებისა და მათი თანამოაზრეების მიერ ამ ფაქტით სპეკულირება და საკუთარი ბინძური მიზნებისათვის გამოყენება უკვე სრულიად ანტისაზოგადოებრივი ხდება.

გაურკვეველი ეროვნული კრებების, ფორუმების თუ დარბაზების წევრებს, რომლებიც „უნივერსიტეტის და ერის სულიერების გადარჩენას" ცდილობენ, იმ „საბჭოთა საქართველოს" დაბრუნება უნდათ, რომლის წიაღშიც თავს ბევრად უკეთასად გძნობდნენ და რომლებისთვისაც ნაცნობი „საბჭოთა-რუსული" გარემო გაცილებით უფრო მისაღებია, ვიდრე დასავლური ცივილიზაცია. ამიტომ, მათთვის კვიციანების თუ გიორგაძეების მხარდაჭერა დაკარგული კომფორტის დაბრუნებასთან ასოცირდება.

ძალიან მძიმეა, რომ დღეს ხელისუფლების ალტერნატივის შექმნას ეს ხალხი ცდილობს და ის ოპოზიციური ძალა, რომელსაც ჰქონდა რეალური ალტერნატივის შექმნის პოტენცია, სრული მარგინალიზაციის გზას დაადგა. ოპოზიციის კრებისაგან განსხვავებით, ამ დღეებში ერთადერთი სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა იყო ის, რასაც შეიძლება ჯანსაღი ოპონირება ეწოდოს.

**P.S.** პირადად ჩემთვის, სამწუხაროა, როცა ვხედავ, რომ პაატა ზაქარეიშვილი დოდო გუგეშაშვილის გვერდით ჯდება და მასთან ერთად კოდორში მიმდინარე სპეცოპერაციას არჩევს. თუმცა, ნამდვილად არ მჯერა გივი თარგამაძის, რომელმაც მტრების სიაში ზაქარეიშვილი შეიყვანა. არ ვიცი, ვისთან ათანხმებს თავის გამოსვლებს პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ ხელისუფლებისთვის ნამდვილად აჯობებს, უფრო მეტად გათვლილი განცხადებები გააკეთოს.

# „კოდორი ცხადდება აფხაზეთის დროებით ადმინისტრაციულ ლეგიტიმურ ცენტრად"

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ აფხაზეთის მოსახლეობას მიმართა და ქვეყნის სამშვიდობო ინიციატივების შესახებ აუწყა:

**„საქართველოს არ აქვს არანაირი აგრესიული განზრახვები აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის მიმართ. საქართველო არ აპირებს არანაირ კონფრონტაციაში გადასვლას. საქართველო აპირებს, რომ გააგრძელოს სამშვიდობო პროცესი, გამოიჩინოს ახალი სამშვიდობო ინიციატივები. ჩვენ გვინდა ჭუბურხინჯის შეხვედრა ჩავატაროთ უახლოეს დღეებში, სადაც ყველა საკამთო საკითხს განვიხილავთ".**

საქართველოს პრეზიდენტმა სეპარატისტი ლიდერების გასაგონად განაცხადა, რომ **„ნებისმიერი მოლაპარაკების, შეთანხმების, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი და საბოლოო აღდგენა, რა თქმა უნდა, ყველა მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით... აფხაზი ძმების ინტერესების გათვალისწინებით."**

**პრეზიდენტმა გუშინ კვიციანის და მისი თანამზარახველების დაჯგუფებას „ბანდა" უწოდა. „ეს არის ზუსტად ის ხალხი, რომელმაც მაშინ, როდესაც ჩვენ რუსეთის ტერიტორიიდან გაგვითიშა ელექტროენერგია და აღმოვჩნდით ენერგეტიკულ ბლოკადაში, გათიშა საქართველოს მოსახლეობის ერთადერთი მომმარაგებელი ხაზი ყველაზე ცივი ზამთრის დღეებში. მათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სცადეს ჩვენი შანტაჟი", - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.**

პრეზიდენტის თქმით, კვიციანის მიერ დაუმორჩილებლობის გამოცხადება საქართველოს ყველაზე სტრატეგიულ ტერიტორიაზე ხელისუფლების საშიში გამოწვევა იყო.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა კვიციანის ამბოხი ნაწილია ბოლო დროს განვითარებულ მოვლენათა იმ ჯაჭვისა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ სხვადასხვა ფომით გამოჩენილ პროვოკაციულ ინიციატივებზე, რომლებიც საქართველოში არეულობის შემოტანას ისახავდა მიზნად. საწადელს ვერ მიაღწიეს, - აცხადებს პრეზიდენტი. მისი თქმით, ქართველი ხალხი გაგებით შეხვდა რუსეთის მხრიდან გამოცხადებულ ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ბლოკადას და არნახული სიმტკიცე გამოიჩინა.

პრეზიდენტის შეფასებით, ძლიერი ძალები საქართველოზე წნეხს ახორციელებენ. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ საქართველოში არის სუსტი მთავრობა, ქართველ ხალხს არ სჯერა საკუთარი ხელისუფლების და საქართველოს არ აქვს პერსპექტივა. **„მაქსიმუმ, მათი მიზანია საქართველოს ხელისუფლების შეცვლა, რეჟიმის შეცვლა, როგორც ისინი ამას უწოდებენ, და ისეთი მთავრობის მოყვანა, რომელიც, პრაქტიკულად, საქართველოს მომავალს პერსპექტივას მოუსპობს".** პრეზიდენტის თქმით, ეს რომ არ დაინახო, ან ბრმა უნდა იყო, ან ბრიყვი, ან საკუთარი ხალხის მტერი.

**„ჩვენ ვისჯებით მთავარი რამის გამო - იმისათვის რომ საქართველომ გადაწყვიტა იყოს ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად დამოუკიდებელი, ერთიანი და დემოკრატიული, წარმატებული ქვეყანა",** - აღნიშნავს მიხეილ სააკშვილი.

პრეზიდენტის განმარტებით, ბანდიტებთან კომპრომისი შეუძლებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ კვიციანის დაჯგუფება ხელს უშლიდა ხელისუფლების ყველა მცდელობას, კოდირის ხეობის მოსახლეობისთვის პრობლემები მოეგვარებინა.

მიხეილ სააკაშვილი კოდორში წარმოებულ ოპერაციას წარმატებულს უწოდებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კრიმინალებს არაერთხელ შესთავაზეს, იარაღი დაეყარათ, მაგრამ ისინი ამ წინადადებას არ დათანხმდნენ. პრეზიდენტი საუბრობდა ბანდიტების დაუნდობლობაზე, რომელიც მათ სპეცრაზმის მიმართ გამოიჩინეს. **„რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში ჩვენმა ძალებმა განახორციელეს საპასუხო ცეცხლი".**

**„მე მინდა განსაკუთრებული გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ამ ცეცხლის დროს დაიღუპა ერთ-ერთი მცხოვრები. მე მინდა განსაკუთრებული მწუხარება გამოვთქვა ჩემი მხრიდან, ჩემი ოჯახის მხრიდან, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ქალბატონის დაღუპვის გამო"** - პრეზიდენტის თქმით, სოფელ ჩხალთაში დაღუპული ქალბატონის სიცოცხლე იმ ყაჩაღების სინდისზე არის, რომლებმაც ქალები და ბავშვები ფარად გამოიყენეს.

პრეზიდენტმა გააკრიტიკა ჩვენი მოსახლეობის ერთი ნაწილი, „თავზე ხელაღებული ხალხი", რომელიც, სააკაშვილის თქმით, ბანდიტებს თანაუგრძნობდა.

ჩვენი ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილში, აფაზეთის შუაგულში აღდგა საქართველოს იურისდიქცია. ყველაფერი ეს კოდორიდან „ერთი ხელის მიწვდენაზეა."

როგორც კი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა კოდორში გადავა, თბილისიდან კოდორში ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნება. პრეზიდენტის თქმით, ხეობაში დაიწყება რკინიგზის აღდგენა, აეროპორტის მოდერნიზაცია, სახელმწიფო კოდორში ინტენსიური ფრენების განხორციელებისათვის შეიძენს ახალ თვითმფრინავებს, ასევე კოდორში ჩატარდება სამუშაოები მოსახლეობის სოციალური რეაბილიტაციისათვის. პრეზიდენტის თქმით, კოდორის ხეობის თითოეული ოჯახი სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას მიიღებს.

პრეზიდენტმა გუშინდელი გამოსვლა პესიმისტური ფრაზით დაასრულა. მისი თქმით, კოდორიდან დანარჩენი აფხაზეთი **„ხელის ერთ გადაწვდენაზეა".**

*24 საათი*

# რეაბილიტაციისთვის საჭირო ოპერაცია

პირველი გვერდიდან

### მსხვერპლზე პასუხისმგებლობა კვიციანს ეკისრება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი არველაძის ინფორმაციით, ემზარ კვიციანი და მისი თანამზრახველების ძებნა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

როგორც არველაძე კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე იუწყებოდა, გუშინწინ შუაღამის 2 საათზე სამართალდამცველებმა კვიციანს და მის თანარაზმელებს სოფელ ჩხალთადან გასვლის საშუალება მისცეს. ამგვარი გადაწყვეტილება მათ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით მიიღეს.

რაც შეეხება მშვიდობიანი მოქალაქის, 50 წლის ქალბატონის, რუსიკო გუგუსიანის დაღუპვის ფაქტს, არველაძის თქმით, ამ ტრაგიკულ შემთხვევაზე მთელი პასუხისმგებლობა ემზარ კვიციანს ეკისრება. არველაძის განმარტებით, სამართალდამცველები ამბოხებულებმა იძულებული გახადეს, საპასუხო ცეცლი გაეხსნათ, რადგანაც მათ ქართველი ძალოვანების ვეტმფრენები დაცხრილეს. სწორედ ამ საპასუხო ცეცხლის შედეგად დაიღუპა რუსიკო გუგუსიანი.

### თბილისის მერია კოდორის ხეობაში

კოდორის ხეობასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლებიდან, რაც უნდა გასაკვირი იყოს, თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ გაკეთებული განცხადებები იყო.

ოქრუაშვილის თქმით, დღემდე კოდორის ხეობაში ხელისუფლების განცდა არ არსებობდა. ამიერიდან საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ამ ტერიტორიაზე სრულად გავრცელდება.

გიგი უგულავა კი, გუშინ ახალი ინიციატივით გამოვიდა: თბილისის მერი კოდორის ხეობაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩაატარებს.

იმ დროს, როცა უგულავა ამის თაობაზე განცხადებას აკეთებდა, პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტყეს აფარებდა თავს. ხელისუფლება, როგორც ჩანს, კოდორის ხეობაზე ზრუნვას იწყებს. ამას ადასტურებს გიორგი არველაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის დავალებით, უახლოეს მომავალში ხეობაში დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნება, დაიწყება აეროპორტის მშენებლობა, დაიგება გზები, ჯანდაცვის ობიექტებს და სკოლებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდებათ.

გუშინვე დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ თბილისის მთავრობას კოდორის ხეობის მცხოვრებთა სოციალური რეაბილიტაციისთვის შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დაავალა. მერის თქმით, ხეობის მცხოვრებნი უზრუნველყოფილნი იქნებიან მედიკამენტებით და პირველი მოხმარების ნივთებით.

*24 საათი*


Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების„ ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

- შ. რუსთაველის პრ. № 5; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები [illegible] განრიგში შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები [illegible] განრიგში შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები [illegible] განრიგში შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები [illegible] განრიგში შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |


## საქართველოს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია მიიღო

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა 115 ხმით გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია მიიღო. კონცეფციის მიღებამდე, აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტს განსახილველად წარუდგინა პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, დეპუტატმა გუგული მაღრაძემ.

კონცეფციის მიზანია, ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფლებების და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტურ განხორციელებას. იგი აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია შემუშავებულ იქნა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის წევრები. კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფს დახმარებას უწევდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში", გაეროს ქალთა ფონდი (UNIFEM), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და საერთაშორისო ექსპერტი.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიცირებით იკისრა ვალდებულება, უზრუნველეყო გენდერული თანასწორობა ყველა დონეზე. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება და პარლამენტის მიერ მისი მიღებაც სწორედ საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებას უკავშირდება.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
www.genderandpolitics.ge**

# აზერბაიჯანი ირანსა და აშშ-ს შორის შუამავლობას არ აპირებს

ოფიციალური ბაქო მიიჩნევს, რომ თეირანს სრული უფლება აქვს განავითაროს „მშვიდობიანი ატომი", - აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი ჟურნალისტებთან საუბარში.

„თეირანმა მიიღო გადაწყვეტილება განავითაროს „მშვიდობიანი ატომი", ბირთვული პროგრამები ყველა საერთაშორისო მოვალეობის დაცვით და აქვს კიდეც ამის უფლება", - აცხადებს მინისტრი.

მამედიაროვის განცხადებით, აზერბაიჯანსა და ირანს აქვთ მუდმივი კონტაქტი, რომლის დროსაც თეირანი აწვდის ბაქოს ინფორმაციას საკუთარი პოზიციის, „მაგატე"-სა და ევროკავშირთან კონსულტაციების შესახებ. მაგრამ, აზერბაიჯანის შუამავლობას ირანსა და აშშ-ის შორის ამ სიტუაციის გადასაჭრელად, მინისტრი გამორიცხავს. ამგვარი ინიციატივით ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოტაკი გამოვიდა.

როგორც მამედიაროვი აცხადებს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრსა და გერმანიას შორის არსებობს პირდაპირი დიალოგი ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით დარეგლირებისთვის. „ამ პროცესში მესამე ძალის ჩართვის აუცილებლობა არ დგას", - დასძენს მინისტრი.

ირანის ბირთვული პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური განხილვის საგანია. გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრებმა - დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, საფრანგეთმა, რუსეთმა, ჩინეთმა - და გერმანიამ ვენაში სპეციალური წინადადებათა პაკეტი შეათანხმეს, რომელიც ირანს, ურანის გამდიდრებაზე უარის სანაცვლოდ, გარკვეულ დახმარებას სთავაზობს. ირანს წინადადებაზე კონკრეტული პასუხი დღემდე არ გაუცია.

*ინტერპრესნიუსი*

# "რუსეთის გავლით საქართველოში ჩასვლისაგან თავი შეიკავეთ"

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო სპეციალურ განცხადებას აქვეყნებს, რომელშიც საკუთარ მოქალაქეებს რუსეთის გავლით საქართველოში ჩასვლისაგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს. ამის მიზეზად, ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის რუსეთის მონაკვეთის ჩაკეტვა სახელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ყაზბეგი-ზემო ლარსის ჩაკვეტის პირობებში საქართველო-რუსეთის ავტოსატრანსპორტო გზა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გადის, უკრაინის საგარეო უწყება საკუთარ მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსასვლელად საჰაერო, ან საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებას ურჩევს.

საკონტროლო-გამშვები პუნქტი ყაზბეგი-ზემო ლარსი 2006 წლის 8 ივლისიდან არის ჩაკეტილი, რის მიზეზადაც სამშენებლო სამუშაოების ჩატარება სახელდება. **ინტერპრესნიუსი**

# ფინანსური პოლიცია სამშენებლო ფირმას მითვისება-გაფლანგვას ედავება

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქმე თბილისის მერიის გაერთიანება „თბილმშენინდუსტრიას" მცირე საწარმო „ბერკეტის" დირექტორს ავთანდილ ლაგვილავას ეხება.

ფინანსთა სამინისტროს და მცირე საწარმო „ბერკეტს" შორის 1994 წელს ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად, „ბერკეტს" მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კორპუსი უნდა აეშენებინა (მიწის ნაკვეთი ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა). სამშენებლო სამუშაოებისთვის თანხის ნაწილი - 78 828 დოლარი ფინანსთა სამინისტრომ გამოყო, ნაწილი კი თავად „ბერკეტს" უნდა მოეძიებინა.

გამოძიების მასალებით, ბინები ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების თანამშრომლებზე უნდა გადანაწილებულიყო. „ბერკეტი" სამშენებლო სამუშაოებს ნელი ტემპით აწარმოებდა. 1997 წელს ფირმამ ფინანსთა სამინისტროს მიმართა და განაცხადა, რომ სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო თანხები ვერ მოიძია და სამინისტროს დამატებითი თანხების გამოყოფა მოსთხოვა. ფინანსთა სამინისტრომ ავთანდილ ლაგვილავას 330 ათასი ლარი გამოუყო, მოგვიანებით „ბერკეტმა" ფინანსთა სამინისტროსგან კიდევ 74924 ლარი მიიღო, რომელიც „ბერკეტის" ანგარიშიდან, რატომღაც, გურჯაანში მდებარე ღვინის ქარხანა „ზეგანის" ანგარიშზე გადაირიცხა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ბერკეტს" „ზეგანისგან" არაფერი შეუძენია. ფინანსური პოლიცია გადარიცხვის მიზეზსაც არკვევს. პოლიციის ინფორმაციით, 1999 წელს „ბერკეტმა" კვლავ მიმართა ფინანსთა სამინისტროს და, ამჯერად, სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთვის და სახლის კეთილმოწყობისთვის მილიონ 196 880 ლარი მოითხოვა. ფინანსთა სამინისტრომ ლაგვილავას მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა განიხილა და 572 ათასი ლარით დააფინანსა. „ბერკეტმა" საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლისთვის საჭირო სარემონტო სამუშაოები სრულად მაინც არ შეასრულა.

გარდა ამისა, „ბერკეტს" მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების შესრულება ევალებოდა, ბინების გაყიდვა-განაწილება კი ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. მიუხედავად ამისა, დირექტორმა ლაგვილავამ 1000 კვადრატული მეტრი ფართი 11 ოჯახს მიჰყიდა. თავის მხრივ, ამ ოჯახებმა საკუთარი სახსრებით დაასრულეს ბინის კეთილმოწყობის სამუშაოები, დაამონტაჟეს ლიფტი, დაასუფთავეს ეზო, გაიყვანეს საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები.

„აღნიშნული სახლი საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული და მიწის ნაკვეთი, რომელზეც ბინაა განთავსებული, დღემდე ფინანსთა სამინისრტოს ბალანსზე ირიცხება. აქედან გამომდინარე, თერთმეტივე ოჯახი სახლში უკანონოდ არის შესახლებული და ფინანსური პოლიციის გამოძიების მიერ დაზარალებულის სტატუსით მოიაზრებიან. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც „მითვისებას ან გაფლანგვას" გულისხმობს", - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*24 საათი*

# ჯილდო (პრიზი შსს-ს ჩინოსნის ვერსიით) ინფორმაციისთვის

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ კოდორის ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის ძირითადი ნაწილი დასრულებულად გამოცხადდა, კვიციანმა და მისმა დისშვილმა ბაჩო არღვლიანმა ტყეში მიმალვა მაინც შეძლეს. თუმცა, შს სამინისტრო მათი ძებნის ოპერაციებს კვლავ აგრძელებს.

**„ამჟამად მიმდინარეობს კვიციანის დევნის ოპერაცია, რომელიც დასრულდება, როდესაც კვიციანს დავაპატიმრებთ"**, - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი არველაძემ.

არველაძის თქმით, ოპერაციის მსვლელობა არ შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას, ვინაიდან სოფლები სამართალდამცავებს აქვთ დაკავებული. ფაქტობრივად, დამთავრებულია მათი წმენდა და, შესაბამისად, მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება.




შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის ბიოგრაფია გამოაქვეყნა. როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 45 წლის ემზარ კვიციანი წარსულში ორჯერ არის ნასამართლევი. პირველად იგი - 21 წლის ასაკში, 1982 წლის 28 მაისს გაასამართლეს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კვიციანს მეურნეობის სანაშენე საქონლის ქურდობა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება ედებოდა ბრალად და მას 3 წლით პატიმრობა მიესაჯა. ერთი წლის შემდეგ, 1983 წლის 28 მარტს ემზარ კვიციანი გაასამართლეს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის თანახმად. მას შრომა-გასწორების კოლონიაში ჩადენილი ხულიგნობისთვის 4 წლით პატიმრობა მიესაჯა.

„ხეობას არ დავტოვებთ მანამდე, სანამ ამ ხალხს არ ჩავაბარებთ მართლმსაჯულებას", - ასეთი განცხადება გააკეთა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

*24 საათი*

# უზენაესი სასამართლოს დაგვიანებული პასუხი

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის განკარგულებით დაპატიმრებულ ირაკლი კაკაბაძეს და მის მეგობრებს 30-დღიანი პატიმრობის ვადა ხვალ ეწურებათ. შესაბამისად, ისინი პატიმრობიდან ხვალვე გათავისუფლდებიან. თუმცა, თითქმის, ყველა მათგანს კვლავ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოუწევს ყოფნა, ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო. როგორც ცნობილია, წინასწარი დაკავების საკანში მყოფი „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები, რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოში მათ პალატებს ორ დღეში პოლიციელები აღარ გააკონტროლებენ.

უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც კარგა ხნის წინ უნდა განეხილა ირაკლი კაკაბაძისა და მისი მეგობრების პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი, გუშინ გაახმაურა, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების პატიმრობიდან გათავისუფლებაზე უარი განაცხადა - უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პატიმართა ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" საჩივარი, რომლის მიხედვითაც, ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყვნენ პატიმრობიდან. საჩივრის ავტორები თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულების გაუქმებას მოითხოვდნენ.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, უზენაეს სასამართლოს საჩივარზე რეაგირება სასწრაფოდ უნდა მოეხდინა. მათივე განმარტებით, ვინაიდან, სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველზე დაკავებული მოქალაქეები უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ, მათი გათავისუფლების შუამდგომლობა სასამართლოს სასწრაფო წესით უნდა განეხილა. მართალია, საჩივრის განხილვის პირდაპირი ვადა სამართლებრივ ნორმაში მითითებული არ არის, მაგრამ, რადგანაც, ირაკლი კაკაბაძე და მისივე თანაგუნდელები თავისუფლებააღკვეთილები იყვნენ, სასამართლოს საჩივრის განხილვის გაჭიანურების უფლება არ გააჩნდა.

როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით დაკავებულ პირთა გათავისუფლების მოთხოვნით, უზენაეს სასამართლოს 21 ივლისს მიმართეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც, ამავე ორგანიზაციის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის საბოლოო განხილვამდე 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედება შეაჩერა, ამით კი 208-ე მუხლით დაკავებულებს მათი პატიმრობის გასაჩივრების საშუალება მიეცათ.

ერთი სიტყვით, „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სასჯელის - 30-დღიანი პატიმრობის ვადა ხვალ იწურება.

უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების ადვოკატები ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში აპირებენ.

*24 საათი*

# გამოძიება მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებაზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ფილიალის დირექტორს, დავით ვაჩაძეს ეხება. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ფილიალის ხელმძღვანელობა ლიმიტირებულ პროგრამაში არარსებულ პირებს ატარებდა და მათი მკურნალობისთვის გამოყოფილ თანხებს სრულად ითვისებდა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში განმარტავენ, ლიმიტირებული პროგრამა, თავის მხრივ, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მკურნალობისთვის საჭირო თანხების გამოყოფას გულისხმობს. ამ პროგრამაში შედის 3 წლამდე ასაკის ბავშვების, მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისთვის და დედათა მკურნალობისთვის საჭირო თანხების გამოყოფა.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ფინანსურმა პოლიციამ ფილიალის დოკუმენტაცია უკვე ამოიღო და რევიზიას ჩაუტარებს. რევიზიის დასრულების შემდეგ მითვისებული თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება.

ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით („მითვისება ან გაფლანგვა") დაიწყო.

*მედიანიუსი*

## მოკლედ

### ყალბი პასპორტის მფლობელმა გაქცევა სცადა

რეგიონული სამმართველო ბათუმის სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში" სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, საქართველოდან თურქეთში გასვლისას უცნობმა პიროვნებამ ყალბი პასპორტი წარადგინა. მესაზღვრეების მიერ აღნიშნული დარღვევის აღმოჩენის შემდეგ უცნობმა სასაზღვრო კონტროლის ჯიხურთან სამგზავრო ჩანთა მიატოვა და გაქცევა და მიმალვა სცადა. მესაზღვრეებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად გაქცეული იქვე დააკავეს. როგორც გაირკვა, ის საქართველოს მოქალაქეა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

*ინტერპრესნიუსი*

### გამოძიება გადასახადების თავის არიდების მუხლით

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა შპს „ინტერენერგოს" წინააღმდეგ გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

გამოძიების მასალებით, ფირმამ ყაზახეთში ბუნებრივი აირის დაზგა-დანადგარების იმპორტი განახორციელა. დანადგარების შედეგად მიღებული შემოსავლიდან შპს „ინტერენერგომ" მოგების გადასახადი დაუმალა სახელმწიფო ბიუჯეტს. ფირმას საბუღალტრო დოკუმენტაციას კომპლექსური რევიზია უკვე ჩაუტარდა და მას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 240 548 ლარის გადახდა დაეკისრა.

გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით დაიწყო - „გადასახადისთვის თავის არიდება".

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ორგანიზებული ბანდები ყველა სფეროს მართავენ

Die Welt-ის ინფორმაციით, რუსეთის დედაქალაქში უმძიმესი კრიმინალური სიტუაციაა. „ნიღბიანი, შეიარაღებული პირები ხტებიან მანქანიდან, ქმნიან საავარიო სიტუაციას, ამტვრევენ სხვა მანქანების მინებს და მძღოლებს აყაჩაღებენ, თავს ესხმიან ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს. რუსეთის დედაქალაქში კატასტროფულად გაიზარდა სოლიდურ კლიენტებზე თავდასხმის შემთხვევები", - წერს გაზეთი.

ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ალექსანდრ ფრიდის ინფორმაციით, ასეთი კატეგორიის დანაშაულთა რიცხვმა მოსკოვში საგრძნობლად იმატა. ქუჩის თავდასხმებზე მუშაობს ხუთი დაჯგუფება და თითოეულ მათგანში 15 კრიმინალი შედის. მისივე განცხადებით, ამ განგსტერულ დაჯგუფებებს ხელმძღვანელობენ „კანონიერი ქურდები". რუსეთის შსს-ს განცხადებით, რუსეთში 200-ზე მეტი „კანონიერი ქურდი" მოქმედებს და კრიმინალური „სამყაროს" ელიტური წარმომდგენლები მართავენ 100-ზე მეტ კარგად ორგანიზებულ ბანდიტურ დაჯგუფებას, რომლის შემადგენლობაშიცაა ოთხი ათასზე მეტი კრიმინალი. გამძაფრებული კრიმინალური სიტუაციის გამო, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ცოტა ხნის წინათ განგაში გამოაცხადა, გენერალურმა პროკურორმა კი პირობა დადო, რომ „ხმაურიან საქმეებს" გახსნიდა.

**სს "გორიგაზის" აქციონერთა საყურადღებოდ!**

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს სს "გორიგაზის" შენობაში ჩატარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე წლის 6 თვის შედეგების განხილვა;
2. სს "გორიგაზის" წესდებაში ცვლილებების შეტანა.

**სს "გორიგაზის" ადმინისტრაცია**
**ქ. გორი, იოსებიძის ქ. 1**

## უცხოეთი

### იურისტები აშშ-ს პრეზიდენტს ანტიკონსტიტუციურ ქმედებაში ადანაშაულებენ

„არსებული პრაქტიკა, რომელსაც აშშ-ს პრეზიდენტი ხშირად მიმართავს და რომლითაც პრეზიდენტს ეძლევა უფლება, შეაჩეროს ამა თუ იმ კანონის მოქმედება, კონსტიტუციის დარღვევაა და საშიშროებას უქმნის დემოკრატიას", - ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა ამერიკელ ადვოკატთა ასოციაციამ, რომელიც ამერიკაში წამყვანი იურისტებითაა დაკომპლექტებული. ანგარიშში განხილულია აშშ-ს პრეზიდენტის მიერ შეჩერებული კანონპროექტები და პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შენიშვნები. იურისტები აცხადებენ, რომ signing statement-ით მინიჭებულ უფლებას, „განცხადებას კანონის შეჩერების შესახებ" პრეზიდენტი ბუში არაკონსტიტუციურად იყენებს. ასოციაციამ დაადგინა, რომ პრეზიდენტმა რეკორდი მოხსნა - ამ უფლების გამოყენებით 800 არაკონსტიტუციური ნორმა შექმნა, ამერიკის პრეზიდენტების მიერ შექმნილი ნორმებისგან 200-ით მეტი.

ამერიკელ ადვოკატთა განცხადებით, signing statemen-ის პრაქტიკას ბუში იყენებს ნაწილობრივ, აჩერებს მხოლოდ კანონის ამა თუ იმ ნაწილის მოქმედებას და იგი მთლიანად არ იყენებს ვეტოს უფლებას. არადა, ვეტოს მოხსნის უფლება მხოლოდ კონგრესს აქვს, რომელმაც აქამდე ვერ მიაღწია, რომ თეთრ სახლს აემუშავებინა კანონის ის ნაწილები, რომელიც პრეზიდენტს არ მოსწონს.

„თუ ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის, პრეზიდენტის მეთოდი სერიოზულ დარტყმას მიაყენებს დემოკრატიას", - აცხადებს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი მაიკლ გრეკო.

თეთრი სახლის პრესმდივანმა ტონი სნოუმ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა, რომ პრეზიდენტი იყენებს მის უფლებას და მის ქმედებაში არაკონსტიტუციური არაფერია. მსგავსი განცხადება გააკეთა ამერიკის იუსტიციის სამინისტრომაც.

### FBI-ი ახალ დანაყოფს ქმნის

გაზეთ Washington Post-ის ინფორმაციით, აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს განცხადებით, ბიურო ახალ დანაყოფს ქმნის, რომელიც იმუშავებს მოსალოდნელი ტერაქტების აღკვეთაზე, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება მასობრივი განადგურების იარაღი, მათ შორის - ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს უფროსის რობერტ მიულერის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, სტრუქტურის რესტრუქტურიზაციის ბოლო ეტაპზე. ბიუროს რესტრუქტურიზაცია 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაიწყო და ახლა სრულდება.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ახალ დანაყოფს უხელმძღვანელებს ამერიკელი მეცნიერი, ქიმიკოსი ბახიდ მახიდი, რომელიც ადრე ლოს-ალამოსეს ნაციონალურ ბირთვულ ლაბორატორიაში მუშაობდა.

ახალი დანაყოფი პასუხისმგებლობას აიღებს აშშ-ს ხელისუფლების მოქმედების კოორდინაციაზე, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ტერიტორიაზე დაიგეგმება აქცია, რომლის დროსაც გამოიყენებენ ბირთვულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს.

მიულერის განცხადებით, ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ და სხვა სააგენტოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ, იმ საშინელი საფრთხის თავიდან აცილებისთვის, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებამ.

„დანაყოფის შექმნა გამოიწვია მოსალოდნელმა დიდმა საფრთხემ, რისთვისაც აუცილებელია ჩვენი ძალების მობილიზება, რათა არ დავუშვათ აშშ-ში მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება", - აცხადებს მიულერი.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვა, შეუძლია გამოაგზავნოს [illegible] მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ. 72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# Αγορά

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com



# ეს აღმაშფოთებელია!

თამაზ ტყემალაძე

*ანუ ჩვენი სალამი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“*

დღეს ძალზე ძნელია გაიგო, ვინ რას წერს, რას ბეჭდავს. საიდან გამოტყვრნენ ამდენი თვითმარქვია პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები. მანიაკალური სურვილების დაკმაყოფილებას რა დააოკებს, თავს დაგვქათქათებს პიროვნებისა და სიტყვის ასე ნანატრი ჟამი.

ტელევიზია-რადიოში, პრესაში საქმიანობისას, ბევრჯერ წავწყდომივარ შეცდომებით სავსე, უგემოვნო, უნიჭო წიგნს. სამწუხაროდ, არასდროს მიცდია მასზე კრიტიკული წერილი დამეწერა და სადმე დამებეჭდა. ახლაც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ წიგნი, რომელმაც აღმაშფოთა დაუდევრობით, კურიოზული შეცდომებით, ჩვენი სკოლებისთვის არის განსაზღვრული და ამიტომ დუმილის ნება არა მაქვს.

წინასწარ ბოდიშს მოგახსენებთ, თუ ეს წიგნი უკვე იქცა განსჯის საგნად, იყო პუბლიკაციაც და მე უნებურად გამომრჩა.

გასულ წელს (როგორც ჩანს, სოლიდური ტირაჟით) გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ მაგარი ყდით დაბეჭდა და მოზარდების ბიბლიოთეკა „გაამდიდრა“ ჩემთვის უცნობი ქალბატონის, მარინა გოგოლაძე-გაბუნიას „მწერალთა ბიოგრაფიებით“. თურმე ნუ იტყვით, ეს მეორე „შევსებული და შესწორებული“ გამოცემაა. თუ მხატვრულ-ლიტერატურული წიგნები ყოველგვარი კონტროლის, რეკომენდაციის გარეშე იბეჭდება, ამას ვერ ვიტყვით საგანმანათლებლო, სკოლებისათვის გამიზნულ წიგნებზე. „მწერალთა ბიოგრაფიები“, ვიდრე გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ გადაეცემოდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კოლეგიას გამოწვლილვით (ალბათ) განუხილავს და ბოლოს დაუმტკიცებია, ანუ ნება დაურთავს დაებეჭდათ და გაევრცელებინათ. მკითხველი, ამ წიგნს რომ შეიძენს და გადაშლის, ნახავს, რომ ქალბატონ მარინა გოგოლაძე-გაბუნიას გარდა, კიდევ შვიდი ქალბატონის გვარ-სახელი ამკობს „მწერალთა ბიოგრაფიებს“: რედაქტორი მანანა გორგასლიძე, რეცენზენტები - მაია ინასარიძე, შორენა ქაჯაია, მაია მღებრიშვილი, ნინო უსტიაშვილი, ნინო ბალანჩივაძე, ციცინო მიქიაშვილი. ცხადია, ყველას მოეწონება, ამდენი პატრონი რომ ჰყოლია მოზარდთათვის განკუთვნილ წიგნს. ოღონდ არ ვიცი, ამ ზომის სიფრთხილე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოიჩინა თუ გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ ალღოიანმა ხელმძღვანელობამ. ამ ჩამოთვლილი ქალბატონებიდან რეცენზენტ მაია ინასარიძეს რომ წაკითხული არ ექნება ეს წიგნი, ამას ნამდვილად ვხვდები. სხვებისა კი რა მოგახსენოთ? წიგნის რედაქტორი, ქალბატონი მანანა გორგასლიძე კი, როგორც ჩანს, გულდასმით გაცნობია მასალას და წიგნს შესავალ-სარეკომენდაციო წერილს ურთავს.

ჩემი დაინტერესება კი ამ წიგნით ასე მოხდა...

ვინც მეტ-ნაკლებად მიცნობს, მოეხსენება, რომ ტელევიზიაში მუშაობის პარალელურად, 25 წელია სკოლაშიც ვასწავლი (თბილისის 161-ე, 51-ე, 23-ე, ფოთის III პროფილური, თბილისის საავტორო სკოლა „სადუნი“). აი, „სადუნელი“ VII კლასელი ავთანდილ ბაქრაძე, გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიას ყვება. იძულებული ვართ ორ-სამჯერ შევუსწოროთ ნათქვამი. მოსწავლე გაოცებული მიცქერის. რამდენიმე დღის შემდეგ გიო ქურთიაშვილი გვიყვება ილიას ბიოგრაფიას. ისიც შეცდომებს უშვებს. შევნიშნავთ, ვუსწორებთ. გიო განაწყენებულია და წიგნს მიჩვენებს, აი, აქ ასე წერიაო. ამის შემდეგ, ცხადია, ვეცნობი ამ წიგნს... სარჩევს გადავხედე, 250-ზე მეტი მწერალია. თვალში მომხვდა „ავთანდილ არაბული“... გამიკვირდა. გაგიხარიათ, იმდენი არაბული იცის ჩვენმა მწერლობამ, მაგრამ თუ ჩემი მეგობარი, ცნობილი ენათმეცნიერი, მწერალიც იყო, არ ვიცოდი. მინიშნებულ 23-ე გვერდზე გადავშალე და იქ ავთანდილის მაგივრად აწ გარდაცვლილი ალუდა არაბულის ბიოგრაფიაა წარმოდგენილი.

რედაქტორი, ქ-ნი მანანა გორგასლიძე კი ხსენებულ წინასიტყვაში წერს: „მწერალთა ბიოგრაფიები“, რომლის გამოცემის აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობა, განკუთვნილია მოსწავლეებისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის“... „სახელმძღვანელოში(?) ყველა მწერლის ფოტოა მოცემული“(?) - როგორც რედაქტორი გვამცნობს. ეს სიშლეგე (როგორც ჩვენმა თამაზ ჩხენკელმა იცის თქმა), სახელმძღვანელოდ მიუჩნევიათ განათლების სამინისტროში... წიგნში მწერალთა ფოტოები მართლაც არის „მოცემული“, მაგრამ იაკობ ხუცესის, იოსებ ტფილელის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს უსახურ ნახატებს ფოტოები ეწოდებათ? რედაქტორი დარწმუნებულია, რომ „წიგნი დააფიქრებს მოსწავლეებს მწერალთა ცხოვრებაზე, შესასწავლ ნაწარმოებებში დასმულ პრობლემებზე, გამოუმუშავებს მათ შორის არსებული კავშირისა და ცხოვრების სრულყოფილად გაცნობის უნარ-ჩვევებს“. ამ ამონარიდიდან აზრს გრაკალის მკითხავიც ვერ გამოიტანს. მთავარი წერილის ავტორისთვის მაინც, დღეს ასე მიმზიდველი და პოპულარული სიტყვის - „უნარ-ჩვევების“ წარმოჩენაა. ხსენებულ სამინისტროს კოლეგიაზე (ალბათ) ნამდვილად დიდ როლს ითამაშებდა ეს სიტყვა. „ანბანის რიგზეა წარმოდგენილი ბიოგრაფიები, როგორც ქართველი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების იმ მწერლებისა, რომელთა ნაწარმოებები შეტანილია (I-XI კლასები) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებში.“ - არაა სწორი. აქ წარმოდგენილ მწერალთა ასეულიც კი არაა დღევანდელ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში შეტანილი. წიგნში უამრავია ისეთი „მწერალი“, რომლის არსებობას, თუ არა ეს საოცარი „მწერალთა ბიოგრაფიები“, ნამდვილად ვერასდროს გაიგებდნენ ვერც ჩვენი მოსწავლეები და თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც მათი მასწავლებლები.

რასაკვირველია, ყველა შეცდომაზე ამ წერილში ვერ მივუთითებთ, რადგანაც წიგნი 440-გვერდიანია და თითო გვერდზე 8-10 ყოველი სახის ლაფსუსია საშუალოდ... ორთოგრაფიული, სტილური, ფაქტობრივი, კორექტურული... ყოველივე ამას კი ჩვენ ვარქმევთ ეპოქისმიერ გულგრილობას, უპასუხისმგებლობას, დაუდევრობას. რედაქტორს სჯერა, რომ ეს „წიგნი ყველას დააფიქრებს“. და თუ ეს „ყველა“ იმაზე დაფიქრდება, თუ რატომ იბეჭდება ასეთი წიგნი, რომ ბოროტებაა ასეთი წიგნების მოზარდთათვის მიძღვნა - მაშინ კიდევ გვშველებია და თუ დღემდე ჩვენი სკოლების თუნდაც ერთ მასწავლებელს არ გამოუთქვამს გულისწყრომა ამ „ნაშრომზე“, მაშინ ვაი ჩვენ!

ახლა კი მხოლოდ რამდენიმე შეცდომა-კურიოზს ამოვწერ მარინა გოგოლაძე-გაბუნიას „მწერალთა ბიოგრაფიებიდან“.

წიგნი ანბანის მიხედვითაა შედგენილი და ჩვენს ალექსანდრე აბაშელს მოუწია პირველობა, რომელსაც თურმე შინაურობაში „кукушка“-ს ეძახდნენ. „ალექსანდრე აბაშელი 1902 წლიდან, 18 წლისა კითხულობდა არალეგალურ ლიტერატურას“... და მერე იწყება აბაშელის დევნისა და დატუსაღების უაზრო ისტორია.

„ალ. აბაშელი XX საუკუნის ახალ ფესვგადგმული ქართული პოეტიკის პირველი მეგზურთაგანი იყო. მისი ლექსების სტროფები სავსეა მზის ენერგიით, თავისუფალია ნაღვლიანი ფერებისაგან და თანამოკალმეებსაც მოუწოდებდა ამოეღოთ სევდისმომგვრელი სიტყვები“.

ამ ჩვეულებრივ მცირე აბზაცში დიდი დომხალია. პირველი ღვარჭნილი წინადადების მერე დროში შეუთანხმებლობა იჩენს თავს. უნდა ყოფილიყო „პირველი მეგზურთაგანია“... უაზრობაა: „თანამოკალმეებსაც მოუწოდებდა ამოეღოთ სევდისმომგვრელი სიტყვები“ - საიდან, სკივრიდან? ჯიბიდან?

„სწორედ მისი რეზოლუციით მიიღო გრ. რობაქიძემ ვაჟა-ფშაველას აკადემიური გამოცემისათვის საჭირო ჰონორარი - ოთხი მილიონი მანეთი“ - და ალბათ ბევრი სხვა სიკეთეც გაუკეთებია, მაგრამ ბიოგრაფიის მნიშვნელოვან, აუცილებელ დეტალად ეს არ ჩაითვლება.

არც ეს: „ალექსანდრე აბაშელს გამორჩეულად უყვარდა კოსტა ბაბუა, რომელთანაც ალექსანდრე (შეიძლებოდა ერთი „ალექსანდრე“ ტექსტიდან ამოეღოთ) უფრო ახლოს იყო, ვიდრე მისი უფროსი ძმა. ალბათ ესეც მისი მგრძნობიარე გულით იყო გამოწვეული“. - ვერ ვხედავ ამ აბზაცის დიდ აუცილებლობას, ცხადია, კოსტა ბაბუა ისე ეყვარებოდა მომავალ პოეტს, როგორც ყველას უყვარს თავისი პაპა. აქ მგრძნობიარე გული რა შუაშია? - მაგრამ მთავარი მაინც ის უსულგულობა, დაუდევრობაა, რომ ეს აბზაცი ერთმანეთის მიყოლებით ამ ფურცელნახევარ ტექსტში მეორდება, ორჯერაა დაბეჭდილი!

გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფია ერთობ მწირია. უფრო წარმოჩენილია, როგორც საბავშვო მწერალი. მწერლის ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დასახელებული არაა. რომანი „ყორნალი“ ავტორს „ყორანალად“ მოუნათლავს. არ გვაწვდიან მწერლის რეგალიებზე ინფორმაციას...

ირაკლი აბაშიძე 1909 წლის ნოემბერში დაბადებულა... (და არა 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს). „ხუთი წლისას პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო (მიუსწრო?), რვა წლისას რუსეთის იმპერიის დაცემამ, თორმეტი წლისას - საქართველოს თებერვალმა...“ - რას ნიშნავს „საქართველოს თებერვალმა“ - ამას შესაძლოა ბევრი მიხვდეს, მაგრამ მოსწავლეები - არა მგონია!

წარმოდგენილია ძალზე მწირი ინფორმაციით. ბატონი ირაკლის სახელთან კი ბევრი, ძალზე ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენაა დაკავშირებული.

„მწერალთა ბიოგრაფიების“ ძირითადი წყარო ბატონი ირაკლის თავკაცობით გამოსული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაა“. ამ შემთხვევაში ავტორს დაზარებია ბევრი საჭირო ინფორმაციის ამოწერა, რადგან ენციკლოპედიის პირველი ტომის დაბეჭდვის ჟამს ბატონი ირაკლი ცოცხალი იყო, ამიტომ ავტორს ვერც მისი გარდაცვალების დღე დაუდგენია. თითქმის ყველა ბიოგრაფიას, ლექსიდან ამონარიდი სტროფი აქვს წამძღვარებული. ი. აბაშიძისთვის საკუთარი ლექსის სტრიქონიც ვერ შეურჩევიათ.

მწირია და უსახური ჩვენი ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფია. მხოლოდ ის დასტურდება, რომ „მწერალთა ბიოგრაფიები“ ავტორ-რედაქტორ-რეცენზენტებიანად სულ ქალბატონებია... 21-ე გვერდზე წერია: „ჭაბუა ენით აუწერელი სილამაზის იყო“... გეთანხმებით, მაგრამ დიდ პროზაიკოსზე უფრო საჭირო ინფორმაცია და ღირსეული ტექსტია საჭირო.

ლადო ასათიანი თვითონ წერს, რომ ასათიძეა ჩემი გვარის საფუძველიო. ეს იცის ქალბატონმა წიგნის ავტორმა, მაგრამ მაინც ზედმეტია ასეთი ნოვატორობა... (იხ. წიგნი).

„მათი სახლი სავსე იყო და მხიარულიო“, გვამცნობს წიგნი. ეს იქნებ ასეც იყო ოდესღაც, მაგრამ ლადოს დროს არა. თუნდაც გაკულაკებული და შეურაცხყოფილი, გულგახეთქილი „გუჯუ ბატონის“ მოგონება ვერ დააყენებდა ასათიანების ოჯახს მხიარულ ხასიათზე. რითი იყო სავსე ეს სახლი... ამ სახლიდან კომუნისტებმა ყველაფერი გაზიდეს, თეფშიც არ დაუტოვებიათ... ამ სახლში ხომ სოფლის კოლმეურნეობის კანტორა იყო. მერე კი ლადოს დედა, როგორც სოციალისტური სამშობლოს მტერი, შვილებს მოწყვიტეს და შუა აზიის ბამბის პლანტაციებში მონასავით ამუშავებდნენ. ამ უბედური ქალბატონის წერილი მოყავთ წიგნში. ის ლადოს წერს: „შიმშილსა და გაჭირვებაში გაზრდილო შვილო“... დიახ, ეს არაა საქართველოს უსაყვარლესი პოეტის ბიოგრაფია... ავტორი ფინალში წერს: „მწუხარება და სევდა ბევრჯერ შეიჭრა ლ. ასათიანის ცხოვრებაში, მაგრამ ღია კარი ვერსად იპოვა. სამარის კართან მისულმა წარმოსთქვა ომახიანად: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს“... და ა.შ. - რას ნიშნავს „ღია კარები ვერსად იპოვა“? ეს ლექსი სამარის კართან მისულმა წარმოსთქვა ომახიანადო... რა სამწუხარო თეატრალური, ყალბი პათეტიკაა... აუწყობელი წინადადება. თანაც სამარის კართან მისული როგორ იტყოდა? (ისეც ხომ ძალზე ცოტა ხანს იცოცხლა!) - ეს ლექსი ხომ 1939 წლით თარიღდება. მერე 50-მდე ლექსი კიდევ დაგვიწერა... ასე რომ, სამარის კარი რა მოსატანია!

მირზა გელოვანი... ზუსტად ისეთივე ბიოგრაფიაა, როგორც ყველა „ბედნიერი“ მწერლისა, ვინც ამ კრებულში მოხვდა. პოეტს „ბელორუსიის ველ-მინდვრების დამცველს“ უწოდებენ, თუმცა ამაზე როგორ ამოვიღებთ ხმას, რა ვუწოდოთ იმ ფაქტს, როდესაც მეომარ პოეტზე წერს ავტორი, რომ მირზამ „განსასვენებელი საძმო საფლავში ნაძვებთან ჰპოვა“. რომ „დაკრძალულია ვიტებროვის ოლქის, ბეშენკოიჩის რაიონში“!!? 1979 წელს თავად გახლდით ბელორუსიაში, მირზას საძმო საფლავი ვინახულე და არავითარი ნაძვი იქ არ მინახავს. რაც შეეხება „ვიტებროვს“ და „ბეშენკოიჩს“ (სადაც თურმე საძმო საფლავში წევს ჩვენი მირზა), არათუ ბელორუსიაში, დედამიწის ზურგზედაც ვერ იპოვით ამ დასახელების გეოგრაფიულ ადგილებს. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ დაუდევრობაა.

„ვიტებროვის“ ნაცვლად უნდა იყოს „ვიტებსკი“, ხოლო „ბეშენკოიჩის“ ნაცვლად, „ბერენკოვიჩი“...

ახლა ვაპირებთ მხოლოდ კლასიკოსთა ბიოგრაფიების „აღმოჩენები“ გაგაცნოთ. თუმცა, აგერ, წიგნის გადაფურცვლისას თვალი გამექცა და საბავშვო მწერალ დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას გამოსახულების ქვემოთ დაბეჭდილ ტექსტს შევხედე. „აქტიური საზოგადო მოღვაწე“ (sik). „დოდო ვადაჭკორიას დიდი იმედის მიმცემი იყო მამა (sik), შემდგომში რეპრესირებული კოტე ხიმშიაშვილი“. აი, უდიერობის, უპასუხისმგებლობის კლასიკური ნიმუში! მყვირალა ფრაზა და, რაც აღმაშფოთებელია - ნიჭიერებით მადლმოსილი, პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი „ჭონქას“ ავტორი, 1937 წელს რეპრესირებული კოტე ხიმშიაშვილი, ჩვენი საყმაწვილო მწერალ ქალბატონის მამა კი არა, ძმა იყო, ღვიძლი ძმა!!

პლატონ იოსელიანი... მამამ შეასწავლა თურმე წერა-კითხვა... მამა (ეგნატე) იყო „იმ დროისათვის მეტად განათლებული და ნასწავლი“, ცოტა ხნის შემდეგ კი შვილი, ეგნატე, „იმ დროისათვის დიდად განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა“. მას „კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა ნ. ბარათაშვილთან, ა. ჭავჭავაძესთან, ლ. ორბელიანთან“. პლატონ იოსელიანმა თავის ნაშრომებში საგრძნობლად ისარგებლა მამის მრავალრიცხოვანი ნაამბობით(?), რაც უხვად გამოიყენა ნაშრომში „ცხოვრება გიორგი XIII-სა“ - აი, წინადადება, აი, აზრი, აი, ქართული! „იგი მიმდევარი იყო ძველი ქართულისა, მან ახალ ქართულს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა, რის გამოც თავი მიანება ქართულად წერას“ - სრული უაზრობა, უცოდინარობა! თუ პ. იოსელიანი აღზრდილი იყო ანტონ კათალიკოსის სამწერლობო თეორიებით, ეს ამის თქმის უფლებას გვაძლევს? წაუკითხავს პლ. იოსელიანის წერილები? მაგ., მისი პასუხი აკად. მარი ბროსეს კრიტიკულ შენიშვნებზე? იმ წერილის დამწერია ახალი ქართულის წინააღმდეგი? და საერთოდ რას ნიშნავს ავტორისათვის „იგი მიმდევარი იყო ძველი ქართულისა“? - არა, ასე არ შეიძლება ქალბატონებო, ავტორო და რედაქტორო! მესამედ რომ გამოცემთ ამ წიგნს (აბა რას იზამთ!), გაითვალისწინეთ პლ. იოსელიანზე დაწერილი ბევრი კარგი წიგნის აზრი, თუნდაც პროფ. ალ. ფოცხიშვილის მონოგრაფია...

ესეც ვერ გავიგეთ: „პლატონ მოწმე იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, რადგან მასში ხედავდა საქართველოს კეთილდღეობას“. - რა გაუგებარია ეს უპასუხისმგებლო წინადადება... უაზრო, უნიჭო... „პლატონ“ - როგორ იყო მოწმე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა? ის ხომ 8 წლის შემდეგ დაიბადა? აქ „მოწმედ“ მისი მამა, სულკურთხეული ეგნატე გამოგადგებოდათ, იგი მაშინ 58 წლისაა. მოტანილი აბზაცი (დააკვირდით!) უაზროა! „მოწმე“ უნდა შეიცვალოს და შესაბამისად წინადადებაც. მაგ., „პლატონ იოსელიანი შეიწყნარებდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას“... და ა.შ. აბა, გამოიტანეთ აზრი ამ პატარა აბზაციდან: „პლატონი დიდად მიღებული პიროვნება იყო მეფისნაცვალ ვორონცოვთან. მისი მეორე ცოლი ნიკი (ბური) იყო ბაგრატიონი მუხრანსკის მამიდა“. რას ემსახურება ეს კურიოზი, ვერ დავადგინე. და საერთოდ, „გრიფირებულ“ სახელმძღვანელოში პლ. იოსელიანი სად გვხვდება?

რა ლამაზად შეიძლებოდა დაწერილიყო ჩვენი მოზარდებისათვის გიორგი ლეონიძის ბიოგრაფია... „1916 წელს შაჰ-აბასმა პატარძეული აჰყარა“. ისევ დაუდევრობა! „როცა წამოიზარდა გ. ლეონიძე, იორზე ხშირად დადიოდა. ივრისპირას ჰქონდა ვენახი და ატმები“. - როცა წიგნის ერთ გვერდზე წერ ამხელა შემოქმედის ბიოგრაფიას, ატმები და ვენახი სად ჰქონდა, ამაზე წერა არასერიოზულია. „მის რძიან სიტყვას ბოლომდე აქვს შენარჩუნებული თავისი პირველადი მიწისეული სურნელება, ჯვარი და სინოყივრე“. ამ თეატრალურ აბდაუბდაში „ბოლომდე“ - რას ემსახურება? „ჯვარი და სინოყივრე“ რაღა ჯანდაბაა? ეს გამოთქმა ქართულ მორიგ უნიჭო მრავალსერიიან ფილმში თუ გამოადგებოდათ!

გიორგი ერისთავი... პროფ. ალ. ცაგარელის აზრით, თავის დროინდელ საქართველოში ავტორიტეტით მას მხოლოდ რუსთველი უსწრებდა... ტავტოლოგიებით, კორექტურებითაა სავსე დიდი შემოქმედის ნახევარგვერდიანი ვაიბიოგრაფია. დავანებოთ ყველაფერს თავი. ამ მცირე „ბიოგრაფიაში“ არ უნდა ეწეროს, რომ გიორგი ერისთავმა დაარქვა პირველ ქართულ ჟურნალს სახელი „ცისკარი“ და იგი იყო მისი პირველი რედაქტორი? - წარმოუდგენელია! ავტორი და, ცხადია, რედაქტორიც ჩვენს მოზარდებს უფრთხილდებიან. ეშინიათ, ოსებმა ბავშვებს არა ავნოთ და ასეთ ტყუილ ცნობას გვაწვდიან - გიორგი ერისთავი დაკრძალულია ქურთას მონასტერში... აი, სამაჩაბლოში ყველაფერი რომ დაწყნარდება, იმ დროს დაბეჭდავენ ალბათ მესამედ, შევსებულ-შესწორებულ „მწერალთა ბიოგრაფიებს“ და იქ იტყვიან სიმართლეს, რომ ეს დიდებული შემოქმედი დაკრძალულია ზემო იკორთის მონასტერში (თანაც ვის გვერდით!).

მუხრან მაჭავარიანი... რომელიც თურმე „შოთა ნიშნიანიძესთან ერთად მუშაობდა „საუნჯის“ რედაქციაში“(?), რომელმაც „შეძლო გაზაფხული მოეყვანა თავის პოეზიაში“(?). „პირველი წიგნი 1958 წელს“ - აქ გამორჩენია სიტყვა „დაბეჭდა“? კი, ბატონო, მაგრამ ავტორი ასე აგრძელებს, „1958 წელს გამოვიდა პოეტის ორი კრებული“. ე.ი. 1958 წელს გამოვიდა პოეტის პირველი წიგნი და ამავე წელს დაიბეჭდა პოეტის 2 წიგნი!?

გიორგი ათონელის ბიოგრაფია... სრულიად გაუგებარი...

ეგნატე ნინოშვილი თურმე სოფელ ჩირგვეთში დაბადებულა (ნაცვლად „ჩიქვეთისა“) და აქვე ავტორის ნოვატორობაც... მწერალი დაბადებულა „ჩირგვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე“(?) - ასეთი მასშტაბურობა უნებლიეთ გაგახსენებს საჰარის უდაბნოს ან ანტარქტიდას... ჩვენ ვიცოდით, რომ ეგნატე ერთი წლისა იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. ქ-ნი მარინა გოგოლაძე-გაბუნია მოსწავლეებს ასწავლის, რომ ეგნატე მაშინ ექვსი წლის იყო! „სათუთი და ფაქიზი მზრუნველობა გაუწია ნინო მამიდამო“. აზნაურ ბესარიონ ჭყონიამ მონათლა და „მისი ინიციატივით 7-8 წლის სუსტი აგებულების (sik) ეგნატეს წერა-კითხვა დააწყებინეს“. მოსწავლეობის ჟამს ოზურგეთში „მის გარშემო თავს იყრიდნენ მეფის მთავრობის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი მოწინავე ამხანაგები“ - ასე 1930-იან წლებში წერდნენ... 1870 წელს თავისი სოფლის, ანუ „ლანჩხუთის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე სოფელ „ჩირგვეთში“ იწყებს მასწავლებლობას. ჩვენ კი ვიცით, რომ ეგნ. ნინოშვილი ლანჩხუთის სამხრეთ-აღმოსავლეთის (უფრო სამხრეთის ნაწილში), სოფ. ჩოჩხათში ასწავლის... 1892 წელს „შეხვდა მაქსიმ გორკს“ - ამას თუ რაღაც ფრაზას, წინადადებას არ დაუმატებ, რას ემსახურება იგი? ეგნ. ნინოშვილის აქტიური მონაწილეობით 1893 წლის 8 იანვარს დააარსდა „მესამე დასი“ (წყეულიმც იყოს ეს დღე. თ.ტ.), რომლის „პირველი ქართველი მწერალი თავადვე იყო“. - ვინც გაიგეთ ამ წინადადების შინაარსი, გამომეხმაურეთ. 1897 წლის 12 მაისს კი მწერალი თავის სოფელში დაასაფლავეს (ალბათ, ლანჩხუთის „სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე“).

გრიგოლ ორბელიანი... როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ვერ გავამახვილებთ ყველა კურიოზზე ყურადღებას.

ავტორი მხარს უჭერს საუკუნის წინანდელ შეხედულებას, რომ გრ. ორბელიანი 1800 წელს დაიბადა. 1933 წელს ამ საკითხს მშვენიერი წერილი უძღვნა პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა და სალიტერატურო კრიტიკამაც მიიღო ეს თარიღი: 1804 წელს დაბადებულა ჩვენი რომანტიკოსი. წიგნის ავტორი, ცხადია, უხვად სარგებლობს „ქსე“-თი, სადაც სწორედ 1804 წელს მიუთითებენ დაბადების თარიღად. ასევე გვიწერენ პროფესორები აკ. გაწერელია და ჯ. ჭუმბურიძე (გრ. ორბელიანი. 1939 წ. „საბჭოთა მწერალი“). ავტორს საკუთარი შეხედულებები აქვს ამ პრობლემაზე. გრ. ორბელიანი 1804 წელს რომ დაბადებულიყო, მაშინ 12 წლისა იქნებოდა, სამხედრო სამსახურში რომ ჩაირიცხა, ეს კი საეჭვოაო! ამ ლოგიკით კარგი იქნებოდა, თუ პოეტი 1795 წელს დაიბადებოდა, მაშინ 21 წლისა იქნებოდა და ა.შ. ჩვენ კი ვიცით, რომ 12 წლის ასაკის კაპიტნებიც კი იყვნენ რუსთმეფის არმიაში.

ბიოგრაფიაში სულ სხვადასხვა შინაარსის წინადადებები ცვლიან ერთმანეთს. „პოეტის დედა ხორეშანი, 13 წლის იყო, როცა შერთეს დიმიტრის - ღვთისმოშიშს და ჭკვიანს“ (რა შუაშია?). „საპყრობილედან გამოსულ გრიგოლს დედა გარდაცვლილი დახვდა (sik) ერთადერთი იმედი მისი (?). ზედიზედ დართულმა ჭირმა პოეტს ჩაუშხამა ყმაწვილკაცობა. მამა გარდაცვლილი ყავდა, ძმა სხვაგან მსახურობდა“ - აი, ჩვეულებრივი, რიგითი აბზაცი ამ საკვირველი „წიგნისა“. აბდაუბდა... რომელ ძმაზე ამბობს, სხვაგან მსახურობდაო... რომელი წელია... დავუშვათ და გავარკვიეთ ძმა კი არა, ძმები სად მსახურობენ, მერე რა?

„გრიგოლი წავიდა პოლონეთში, სადაც სამი წელი იყო. იგი უზომოდ იყო შეყვარებული სოფიკოზე, რომელიც გაუთხოვდა“. ჯერ ერთი, პოლონეთში კი არ „წავიდა“, გაგზავნეს, გაამწესეს. უაზროა აქ სოფიოს სიყვარულის თემა. ისე „უზომოდ“ რომ ყვარებოდა გრიგოლს ეს ქალბატონი, უსათუოდ შეირთავდა. ეს რომ არ ხდებოდა, სოფიო იმიტომ მითხოვდა ჩინოვნიკ ბეზაკს. ან ეს „იყო“, „იყო“ რაღაა?

პოეტი თავს ვერ ინუგეშებდა ვერც გრიბოედოვის ქვრივის ნინოს სიყვარულით. მას არ „უყვარდა პოეტი“ - ნინოს რომ არ „უყვარდა პოეტი“, ეს საიდან და როგორ მიაკვლია ჩვენმა ქალბატონმა ავტორმა?

„1844-46 წლებში გრიგოლ ორბელიანი საშამხლოს და მეხთულის მიწებს იცავდა ლეკებისაგან“. ეს იმას ჰგავს, ვინმემ რომ დაწეროს, რომ გენერალი კნორრინგი კახეთისა და ქართლის მიწებს იცავდა ქართველებისგანო... საერთოდ, მთელი ვაკხანალიაა ორბელიანის საბრძოლო დიდების ავტორისეულ თხრობაში.

„1827 წ. ამავე წესით თარიღდება „სადღეგრძელო ანუ ომის შემდეგ ლხინი ერევნის სიახლოვეს“. რაა ეს? არ მესმის. საერთოდ კი ეს პოემა 1827 წელს მხოლოდ დაიწყო და მთელი 48 წლის განმავლობაში იწერებოდა!! სამშობლოს წარსულს სევდიანი ლექსები „მიუზღვნა“ პოეტმაო... მწერლის ბიოგრაფიის გამოწვლილვით ცოდნას ღაღადებს ალბათ ეს ცნობა - „მკურნალობდა შინაური ექიმი გასპარიანცი“.

მწერალი „დაკრძალეს ქაშვეთის ტაძრის გალავანშიო“ - კი, ეს ასე იყო, როდესაც აქ იდგა ბაზილიკური ეკლესია... მერე, როდესაც სამთავისის განზომილებების ტაძარი აიგო, მას შემდეგ გრიგოლ ორბელიანის (მასთან ერთად ზაქარია და ილია ორბელიანების) საფლავი სწორედ ამ ტაძარშია და არა „გალავანში“.

„მწერალთა ბიოგრაფიებში“ სამი ძმა რაზიკაშვილის ბიოგრაფიას ვეცნობით. ნიკო რაზიკაშვილს, რომლის „მამა - პავლე სოფლის მთავარდიაკონი იყო“, თედო რაზიკაშვილის მამაც პავლეა, ოღონდ, „სოფლის მღვდელია“... ვაჟა-ფშაველას (ვაჟა რაზიკაშვილის) მამაც, თქვენ წარმოიდგინეთ, იგივე პავლეა, ოღონდ „ჩარგლის თვითნასწავლი მღვდელია“!!! - მოდი და ამის შემდეგ სხვა რაიმე ლაფსუსზე გაამახვილე ყურადღება... ვაჟას მაინც არ გაუმართლა. თედოს და ნიკოს მამა - პავლე, ორივე შემთხვევაში მაინც პროფესიონალი სასულიერო პირია, ვაჟას მამა კი, საწყალი ფიროსმანისა არ იყოს, თვითნასწავლია...

მხოლოდ ერთი აბზაცი ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიიდან: „ვაჟას რაზიკაანთ ლომს ეძახდნენ“ - არა, ვაჟას „რაზიკაანთ დევს“ ეძახდნენ.

„1880 წელს ვაჟას მშობლები გარდაეცვალა. მისი (ვისი?) ქონება ძმებს გაუყვიათ და ვაჟა ჩარგალში დარჩენილა. (sik) ამავე წელს ვაჟა-ფშაველას მარცხენა თვალი დაუსახიჩრა ციმბირის წყლულმა. ეს თვალი მას სამუდამოდ ჩამოხეული დარჩა (sik) და თვალდასახიჩრებული მგოსანი მეტწილად მთვარის შუქზე წერდა. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი ტომი 1893 წელს გამოვიდა“. - ასე ხომ, რომ მოინდომო, მაინც ვერ შეადგენ წინადადებას... ვააჰ!!

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი გადაწითლებული იქნება ის ოთხი ფურცელი, რომლებზეც ილიას და აკაკის ბიოგრაფიებია დაბეჭდილი. აი, პატარა აბზაცი აკაკის ბიოგრაფიიდან: „აკაკი წერეთლის შვილის ლოლიას პირად არქივში დაცულია დიდი პოეტის ხელით დაწერილი 90-მდე პირადი წერილი თავის მეუღლისა (1950 წელს მოსკოვში ცოლად შეირთო ნატალია ბაზილევსკაია, გარდაიცვალა 1933 წელს. შეეძინათ ერთი ვაჟი, ალექსანდრე - ლოლია), რომელიც 1943 წელს გარდაიცვალა საფრანგეთში“... დაუდევრობაამეთქი, ასე ორ-სამჯერ გამოვხატე ჩემი წყრომა. არა, ეს უფრო მძიმე, სხვა სიტყვით უნდა გამოიხატოს... ვინ ექცევა დედამიწის ზურგზე ასე თავის მომავალს, „სახელმძღვანელოს“ რომ უწერს? ვინ ექცევა ასე თავისი ერის საუკეთესო შვილებს? მხოლოდ ჩვენი ქალბატონი ავტორი და ქალბატონი რედაქტორი?

და კიდევ ერთი საოცრება ქალბატონ მარინა გოგოლაძე-გაბუნიასი და „სახელმძღვანელოს“ - ასე ყურადღებიანი რედაქტორის, ქ-ნ მანანა გორგასლიძისა... „ილიას მკვლელობაზე აკაკიმ თქვა მაშინ, „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“ - მან იმ საქართველოს მიმართა, რომელმაც საკუთარ თავს ესროლა ტყვია წიწამურში (??)“ - კი, მაგრამ, როდესაც ამ ორი ბუმბერაზი შემოქმედის ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებულ მოვლენაზე წერთ და იმოწმებთ ლექსის ასე ცნობილ და გახმაურებულ სტრიქონს „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“ - არ უნდა შეამოწმოთ, არ უნდა ნახოთ ეს ლექსი, ის სტრიქონი საკუთარი თვალით, ავტორო და რედაქტორო? თუ ელემენტარული კეთილსინდისიერებით მოიქცეოდით, ნახავდით, რომ ეს ლექსი 24 წლის აკაკიმ 1864 წელს დაწერა (მაშინ ილია 27 წლისა ხდებოდა!), ე.ი. ეს მოხდა ილიას ტრაგიკულ მოვლენებამდე 43 წლით ადრე!! წაიკითხეთ ეს ლექსი და მესამე შევსებულ-შესწორებულ გამოცემაში, ჩემი ხათრით, ნუღარ შეიტანთ.

ახლა ეროვნული გამოცდები მიმდინარეობს. ვაი, იმ უბედურ აბიტურიენტს, ვინც ამ სახელმძღვანელოდან თუნდაც ერთ წინადადებას გამოიყენებს...!

- ილიას გამზრდელი ყოფილა, სალომე ლოლაძე (გამდელი!).

- წერა-კითხვა ყვარლის ეკლესიის მთავარდიაკონმა შეასწავლა... (ყვარლის ეკლესია არ არსებობს. ყვარლის კვირაცხოვლის ეკლესია კი! ისე, წერა-კითხვა ილიას დედამ, მარიამმა შეასწავლა!).

- პაპა - პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძე ერეკლე II და გიორგი XIII დროს გამოჩენილი პირი იყო („გამოჩენილი პირი“? - გიორგი XIII კი არა, XII).

- 1877 წელს დააარსა „ივერია“ (რა „ივერია“ - ჟურნალი, გაზეთი... სოსისი?).

- 1868 წელს დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე... (sik)

დავანებოთ თავი ამ ათასგვარ გაუგებრობას. ვინ უნდა დაწეროს (გადმოიწეროს სხვადასხვა წიგნიდან) ილიას ბიოგრაფია, რომ უგულებელყოს ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიცაა „მამათა და შვილთა ბრძოლა“, მისი ორივე ეტაპი! ქართული სალიტერატურო ენის დაფუძნება... ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსება და ა.შ. და ა.შ.

აქვე ვაპირებდი დასრულებას, მაგრამ ილიას გვერდით ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაცაა...

- ალექსანდრე სწავლობდა პეტერბურგის კერძო პანთეონში. (პანსიონის მაგივრად)

- გენერალ-ლეიტენანტ პაულიჩის ადიუტანტია (უნდა იყოს პაულუჩი!).

- ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰყავდა ოთხი შვილი: ნინო - მითხოვდა გრიბოედოვს, რომელზეც უზომოდ იყო შეყვარებული ნიკოლოზ ბარათაშვილი და რომელიც აჯანყებულებმა მოკლეს თეირანში. ეკატერინე - სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, დავით დადიანს მითხოვდა (რომელთა ოჯახს 1860 წელს პეტერბურგიდან ეწვია სტუდენტი ილია)...

ვერვინ მოახერხებს ამგვარი სისულელის „სახელმძღვანელოდ“ ქცევას. ეს მოახერხა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“. ავტორმა, მარინა გოგოლაძე-გაბუნიამ და რედაქტორმა მანანა გორგასლიძემ. მათ ღვაწლს, ცხადია, არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა!

ე.ი. ნინო, რომელზეც უზომოდ იყო შეყვარებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, აჯანყებულებს მოუკლავთ თეირანში(??!!).

ეკატერინეს და დავითის ოჯახს 1860 წელს პეტერბურგიდან ეწვია სტუდენტი ილიაო... ალბათ ზუგდიდს გულისხმობენ... სინამდვილეში ეს ასე იყო: 1858 წელს ილია და კოხტა აბხაზი ტიარლევოდან (სადაც საზაფხულო არდადეგებს ატარებდნენ ქართველი სტუდენტები) ესტუმრნენ ეკ. ჭავჭავაძის სახლობას ცარსკოე-სელოში. სწორედ ამ დღეს გადმოსცეს ილიას ნიკ. ბარათაშვილის (ნინო რომ ყვარებია უზომოდ!) ლექსები და პოემა... სწორედ ამ დღეს დაიბადა თავიდან ილია, როგორც შემოქმედი, ამ დღეს დაიბადა ქართული მწერლობაც, რომლის შესახებ ზემოთ ნახსენებმა სამინისტრომ, გამომცემლობამ, ავტორმა და რედაქტორმა, რა თქმა უნდა, არაფერი იციან!

შეაგროვეთ და დაწვით ეს წიგნი!

პაულო კოელიოს სვეტი

## ოცი წლის შემდეგ



ლეონში, პატარა ბაღში ვზივარ. გვერდზე მდინარე ჩამოუდის. 2006 წლის 27 მარტია. ხის მერხზე ჩემთან ერთად ჩემი ცოლი კრისტინა ზის და წიგნს კითხულობს. ევროპაში გაზაფხული დგება. თანდათან უნდა გავიხადოთ ზამთრის თბილი ტანსაცმელი. ბოლო დღეებია მანქანით ვმოგზაურობთ, იმ ადგილებში ვბრუნდებით, რომლებმაც ჩვენს მოგონებებზე განსაკუთრებული კვალი დატოვეს (კრისტინამ სანტიაგოს გზა 1990 წელს გაიარა). არსად გვეჩქარებოდა და 500 კილომეტრი ერთ კვირაში დავფარეთ.

მინერალური წყალი. ყავა.

ხალხი ლაპარაკობს. ხალხი სეირნობს.

ხან მინერალურ წყალს სვამენ, ხან - ყავას.

მე კი ვბრუნდები ჩემს წარსულში, ოცი წლის წინანდელ პერიოდში. ვიხსენებ 1986 წლის აგვისტოს თუ ივლისის ერთ შუადღეს. ასევე ყავას და მინერალურ წყალს. ხალხს - მოლაპარაკეს და მოსეირნეს. ჩემი დაბადების დღე ახლოვდება. ერთი პატარა ფრანგული ქალაქიდან ცოტა ხნის წინ გამოვედი და სანტიაგო დე კომპოსტელასკენ მიმავალი უკვე ნახევარი გზაც დავფარე. 20 კილომეტრი დღეში - ამ სიჩქარით დავდივარ.

წინ ვიყურები. გარშემო არაფერი იცვლება. უცებ გზაზე სრულიად მოულოდნელად ბარს ვხვდებით. გიდი ყავის დასალევად ჩერდება. მე უკან ვიყურები - ისევ იგივე ხედი იშლება. ფეხსაცმელზე გზაზე ადენილი მტვერი მაყრია, მაგრამ არ ვწმენდ - დაბინდდება, ქარი ამოვარდება და ფეხსაცმელებს თვითონ გამიწმენდს.

ყველაფერი მეუცხოება.

რას ვაკეთებ აქ? რა მინდა? - ეს კითხვა მუდამ თან მდევს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე კვირა გავიდა.

ხმალს ვეძებ. რამის რიტუალს ვასრულებ. რამი პატარა ორდენია კათოლიკურ ეკლესიაში, რომელსაც არავითარი იდუმალი და საიდუმლო რიტუალები არ გააჩნია. უბრალოდ, სამყაროს სიმბოლური ენის ამოცნობას ცდილობენ. ვადგავარ გზას და თავს მოტყუებულად ვგრძნობ. მგონია, რომ სულიერ ძებნას არავითარი ლოგიკა არ გააჩნია, რომ ჯობია, ბრაზილიაში დავბრუნდე და იმ საქმეს დავუბრუნდე, რომელიც მუდამ მიყვარდა და რომელსაც მუდამ ვაკეთებდი.

უკვე საკუთარი გულწრფელობისაც აღარ მჯერა. ეჭვები მღრღნის, რადგან ღმერთის ძებნა რთული საქმეა; ღმერთი ხომ არასდროს გეჩვენება, მასთან მისაახლოებლად ხომ გარკვეულ საათებში უნდა ილოცო, უნდა იმოგზაურო უცხო გზებზე, უნდა ისწავლო და განათლდე, გაწევრიანდე სამრევლოებში, რომლებიც აბსურდულად გეჩვენება.

მოკლედ, ასე: ჩემი გულწრფელობის აღარ მჯერა. მთელი ამ დღეების განმავლობაში მახსენდებოდა პეტრუსის გამონათქვამი, რომ გზა ყველას ეკუთვნის, მაგრამ უკვე ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაც მაეჭვებს. არადა, იყო წუთები, როცა მეგონა, რომ თუ ამ გზას გავყვებოდი, რჩეულთა შორის დავიმკვიდრებდი ადგილს; იმ რჩეულთა შორის, რომლებიც სამყაროს მთავარ არქეტიპსაც გრძნობენ. მეგონა, რომ რამდენიმე ნაბიჯილა მაშორებდა ჭეშმარიტებას; რომ გადმოცემები ტიბეტელი ბრძენების საიდუმლო გაერთიანებების შესახებ, თეორია სიყვარულის იქ გაღვივების შესახებ, სადაც ნაკვერჩხალიც არ ღვივის, და ამ ყველაფრისადმი მიძღვნილი რიტუალები - სრული ჭეშმარიტება იყო.

მაგრამ ის, რასაც პეტრუსი მეუბნება, სრულიად საწინააღმდეგოს მიმტკიცებს: რჩეულები არ არსებობენ. ჩვენ ყველანი რჩეულები ვართ. ჩვენ ვირჩევთ იმ საქმის კეთებას, რაც ჩვენს გულებს ენთუზიაზმითა და სიყვარულით ავსებს. და სამოთხეც სწორედ ასე უნდა ვეძებოთ - არჩეული საქმის სიყვარულით, ენთუზიაზმით. ეს არის არჩევანი, რომელსაც ღმერთამდე მივყავართ.

სიყვარული და მონდომება - აი, რა გვაკავშირებს სულიწმიდასთან და არა ასობითა და ათასობით კლასიკური ტექსტის კითხვა. რწმენა, რომ ცხოვრება სასწაულია, გვაძლევს სასწაულების მოხდენის ძალასაც და არა „საიდუმლო რიტუალები“ და „ორდენები“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ადამიანის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული - მიჰყვეს საკუთარ ბედისწერას - ანუ იმას, რაც მას კაცად აქცევს და არ აჰყვეს თეორიებს, რომელსაც ადამიანის არსებობის საიდუმლოს შესახებ თავადვე აყალიბებს.

და აი, აქ ვდგავარ მეც. სანტიაგო დე კომპოსტელასკენ მიმავალ შუაგზაზე. თუ ყველაფერი ისე მარტივია, როგორც პეტრუსი ამბობდა, მაშინ ვის სჭირდება ეს მოგზაურობა?




# მთასა ვარ, მწვერვალსა ვდგავარ!

### ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვილჰელმ სტეინიცის დაბადებიდან 170 წლისთავის გამო

ლუბა ნათლიაშვილი

„მე არ ვარ ჭადრაკის ისტორიკოსი. მე თვითონ ჭადრაკის ისტორიის ის ნატეხი ვარ, რომელსაც გვერდს ვერავინ ჩაუვლის. ჩემს შესახებ მე - არა, მაგრამ მწამს, რომ ვინმე აუცილებლად დაწერს!“

ასე იმპოზანტურად განაცხადა 60 წლის გენიალურმა მოჭადრაკემ, ჭადრაკში მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვილჰელმ სტეინიცმა 1896 წელს, თავისი განმარტოებულ სიკვდილამდე 4 წლით ადრე.

ამბობდა რა სიამაყით გამსჭვალულ ამ სიტყვებს, სრულიად ბუნებრივია, რომ მას არ შეეძლო, არ გაეხსენებინა თავისი მძიმე და რთული, მაგრამ უჩვეულოდ ხმაურიანი, ვულკანივით მფეთქავი საჭადრაკო ცხოვრების თითქმის 40 წელიწადი.

სტეინიცი მართალი აღმოჩნდა: ის ყოველთვის იყო და არის უდიდესი და განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი და მასზე მრავალჯერ დაიწერება მომავალშიც!

საჭადრაკო ლიტერატურის ავტორებმა საუცხოოდ იცოდნენ, რომ საქმე ეხებოდა არა მხოლოდ მოჭადრაკეს, არამედ გენიალურ მოაზროვნეს ჭადრაკის სფეროში, დაუცხრომელი ჟინის და დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე, მიზანსწრაფულ და აქტიურ მაძიებელს, შეუპოვარ და მოუსვენარ ნოვატორს, არაორდინალურ პიროვნებას.

ვილჰელმ სტეინიცი დაიბადა 1836 წლის 14 მაისს ღარიბ ებრაულ ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ყოფილი ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ქალაქ პრაღის ერთ-ერთ კვარტალში.

მამამისის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას ეკავა თემში ძალიან დაბალი თანამდებობა, მუშაობდა უბრალო გამყიდველად რკინა-კავეულის მაღაზიაში და ჰყავდა 13 შვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი ვილჰელმი იყო. სტეინიცების ოჯახი თითქმის ღატაკად ითვლებოდა, თუმცა პრაღის 10 000-მცხოვრებიან თემში ბევრი იყო შეძლებულიც.

იმ დროს პრაღა თავისი მნიშვნელობით პრაქტიკულად მე-3 იყო ზემოაღნიშნულ მონარქიაში, ხოლო იქაური ებრაული თემი კი - ერთ-ერთი უძველესი მთელს ევროპაში, დიდი ხნის ისტორიული ტრადიციით და მემკვიდრეობით მიღებული უმდიდრესი კულტურით.

ებრაულ გეტოში ძველი დროიდან პრესტიჟულ, ელიტარულ და ღირსეულ საქმიანობად ძირითადად ჭადრაკი ითვლებოდა. ვილჰელმს კი უკვე 12 წლის ასაკიდან იცნობდნენ როგორც ნიჭიერ, გამორჩეულ მოთამაშეს.

ბავშვობისას სტეინიცი გატაცებული იყო მათემატიკით, ხოლო 1858 წელს მან დატოვა პრაღა და ქალაქ ვენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. მას ჰქონდა უბადლო მათემატიკური ნიჭი და შესანიშნავი მეხსიერება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდნენ პროფესიონალი მოჭადრაკეები. ამ თამაშისკენ რეალურად მხოლოდ მოყვარულები, ძირითადად მატერიალურად უზრუნველყოფილი პიროვნებები ისწრაფოდნენ.

ევროპის საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები - უმაღლესი კლასის მოჭადრაკენი - ანდერსონი, სტაუნტონი და სხვები - ცხოვრების სახსრებს სხვა წყაროებიდან იღებდნენ. იმისი წარმოდგენა, რომ ჭადრაკის თამაში შეიძლებოდა გამხდარიყო შემოსავლიანი სპორტი, - იმ დროისთვის აბსოლუტური უაზრობა იყო.

სტეინიცისთვის ნათელი გახდა, რომ როგორადაც უნდა წარმართულიყო მისი ცხოვრება, მხოლოდ და მხოლოდ ჭადრაკი შეიძლებოდა და უნდა ყოფილიყო მისი სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა, არსებობის ძირითადი აზრი და შინაარსი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მდიდარი სულიერი საზრდო და ძლიერი მუხტი ეძლეოდა მის პატივმოყვარეობას, როდესაც იგი, ღარიბი სტუდენტი, საჭადრაკო დაფასთან უპირისპირდებოდა ფინანსურად ძლიერ, წელგამართულ ადამიანებს, რომელთაც თვალსაჩინო საზოგადოებრივი მდგომარეობა ეკავათ.

საჭადრაკო დაფასთან ჯერ კიდევ პირველი სვლის წინ ის თანასწორად გრძნობდა თავს ყველასთან: პოლკოვნიკთან და ლუდის მხარშავთან, იურისტთან და ბანკირთან, ხოლო მე-3, მე-4, მე-5 და შემდგომ სვლებზე კი ცხადად ხედავდა, რომ ის თავის პარტნიორზე მნიშვნელოვნად უფრო ჭკვიანია და გონებამახვილი, გაცილებით უფრო ღრმად აზროვნებს, უფრო გაბედულად და ოპერატიულად ითვლის, ოპტიმალურად აწყობს კომბინაციებს და წარმოადგენს უდაოდ დიდ ფასეულობას, ვიდრე მეტოქე.



ვილჰელმი ხედავდა, რომ პარტნიორი-მოწინააღმდეგეც გრძნობდა ამას და ბრწყინვალედ ესმოდა ყოველივე ეს. და მაშინ სტეინიცს ეუფლებოდა უპირატესობის გრძნობა, ესოდენ ჩვეული და ნაცნობი ყოველი გამორჩეული მოჭადრაკისათვის.

საჭადრაკო უპირატესობის აღმოჩენამ სტეინიცს ადრეულ წლებშივე ჩაუნერგა აგრესიული, შეიძლება ითქვას, ამბიციური, საკუთარი ღირსების გადაჭარბებული შეფასების გრძნობა.

ამაში ერთხელ დარწმუნება მოუხდა სტეინიცის ერთ-ერთ სოლიდურ, მნიშვნელოვან პარტნიორს, ქალაქ ვენის უდიდეს, უმდიდრეს ებრაელ ბანკირს ეპშტეინს საჭადრაკო დაფასთან კაფეში, სადაც ის ეთამაშებოდა პარტიას არასასიამოვნოდ, ღატაკურად ჩაცმულ სტუდენტს - სტეინიცს.

ვილჰელმი, რომელმაც მოწინააღმდეგს წინასწარ მისცა მხედარი, როგორღაც თითქოს დიდხანს დაფიქრდა სვლაზე.

„ნუ, ნუ!“ - წარბშეჭმუხვნით, უკმაყოფილოდ წარმოთქვა და თან გააგრძელა ბანკირმა.

სტუდენტი - ვილჰელმი დაფიქრდა იმდენხანს, რამდენიც საჭირო იყო და შემდეგ გააკეთა სვლა. ახლა კი უკვე ბანკირს მოუხდა დაფიქრება.

„ნუ, ნუ!“ - გაუმეორა სტეინიცმა ბანკირს მისივე სიტყვები, ესე იგი ფაქტიურად დასცინა ეპშტეინს.

ბრაზმორეულ ბანკირს ალმური მოეკიდა სახეზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტეინიცის უტაქტო, არაკორექტულ საქციელს ემატებოდა კიდევ ის, რომ ეპშტეინი პარტიას აგებდა.

„ახალგაზრდავ, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ელაპარაკებით ბანკირს - ბატონ ეპშტეინს!“ - რისხვით ანთებული თვალებით და იმპერატიული ტონით მედიდურად მისცა შენიშვნა სტუდენტს ეპშტეინმა.

სტეინიცმა უკან არ დაიხია. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადა, პირიქით - ქედმაღლურად და თავდაჯერებულად უპასუხა: „საზოგადოდ, ამიერიდან იცოდეთ! - საჭადრაკო დაფასთან ერთადერთი ეპშტეინი ყოველთვის ვარ მარტო მე და მხოლოდ და მხოლოდ მე!“

1858-61 წლებში ვილჰელმი ქალაქ ვენის ერთ-ერთ კაფეში საჭადრაკო ოთახის მუდმივი სტუმარი იყო და მონაწილეობდა ვენელი მოჭადრაკეების სამ ტურნირში, რომელიც ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა. 1859 წელს მან მე-3 ადგილი დაიკავა, 1860 წელს მე-2, ხოლო 1861 წელს ისე მოიპოვა პირველობა, რომ 31 პარტიიდან 30 მოიგო.

1862 წელს 26 წლის ვილჰელმი ვენიდან გაიგზავნა ლონდონში მე-2 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე (პირველი ტურნირი 1851 წელს ჩატარდა).

სწორედ ამ მიწვევისას სტეინიცმა რეალურად დაინახა, რომ მის წინ სრულიად ახალი პერსპექტივა, ახალი ნათელი ფურცელი გადაიშალა: ვენა ნამდვილად ვერ შეედრებოდა ლონდონს საჭადრაკო ტრიუმფების მხრივ!

1863-65 წლებში სტეინიცმა სასტიკად დაამარცხა იმდროინდელი ინგლისის თვალსაჩინო მოჭადრაკეები: ბლეკბერნი და მონგრედიენი, დიკონი და გრინი. მის გამარჯვებას მონგრედიენზე კი ეწოდა „ავსტრიელი ჩემპიონის ბრილიანტი.“

სტეინიცის აზროვნებაში და ცნობიერებაში დამკვიდრდა ურყევი რწმენა იმისა, რომ მხოლოდ ჭადრაკი უნდა ყოფილიყო მომავალშიც მთელი მისი შეგნებული ცხოვრების ძირითადი ღერძი. 1866 წლის სექტემბერში სტეინიცმა მიიღო იმ დროს ფრიად სახელმოხვეჭილი ინგლისელი მოჭადრაკის - ბერდის გამოწვევა. სტეინიცმა მოიგო მატჩი, თანაც რა შედეგით! 7 გამარჯვება, 5 დამარცხება, 5 ყაიმი.

შემდეგ მოდის პრაქტიკული თამაშების და პრაქტიკულ დამარცხებათა 6 წელი (1867-1873):

1867 წელს ფრეზერთან მეორე მატჩში 7 მოგება, 1 დამარცხება, 1 ყაიმი.

1872 წლის ლონდონის ტურნირი:

აქ იყო ტრიუმფით მოპოვებული პირველი პრიზი - 6 მოგება 6 პარტიიდან, გამარჯვება ბლეკბერნზე და იმ მომენტში დაწინაურებულ და აღიარებულ ისტორიულ სერიოზულ და საუცხოო ოპონენტზე - ცუკერტორტზე. ცუკერტორტთან მატჩში დაფიქსირდა 7 მოგება, 1 დამარცხება და 4 ყაიმი.

იმ პერიოდში საჭადრაკო ცის კაბადონზე გამოჩნდა კაშკაშა ვარსკვლავი, საჭადრაკო ნიჭის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოსხივება - პოლ მორფი, ადვოკატი ნიუ ორლეანიდან.

მორფის ტრიუმფი ევროპაში დაიწყო ლონდონიდან, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1851 წელს ორგანიზებული იყო ჭადრაკის ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი.

სტეინიცს ერთხელაც არ ჰქონია ვიზუალური კონტაქტი მორფისთან, სამაგიეროდ, საათობით ატარებდა დროს საჭადრაკო დაფასთან მორფის პარტიების შესასწავლად.

პრაქტიკულად, ამ პარტიების გარჩევის პროცესში მას ჰყავდა მხოლოდ ვირტუალური პარტნიორი და მეტოქე. საჭადრაკო დუელი წარმოსახვით დონეზე ტარდებოდა.

სტეინიცს ესმოდა, რომ ჭადრაკის თამაშის ხელოვნების კანონებისა და პრინციპების დაუფლება მდგომარეობდა მხოლოდ „მორფის საიდუმლოების“ ამოცნობაში, რომელიც დაეხმარებოდა მას ამ პიროვნების იდუმალებით მოცულ საჭადრაკო სამყაროში შესაღწევად.

„მორფის საიდუმლოება“ ასოცირდებოდა პოზიციური და კომბინაციური თამაშის შერწყმასთან ესე იგი გულისხმობდა იდეალური სინთეზის საფუძველზე 2 საჭადრაკო მიმართულების ოპტიმალურ ინტეგრაციას, საუცხოო კონგლომერატის შექმნას.

ასეთი საუკეთესო შეთავსების შესაძლებლობებს და აუცილებლობებს, საბედნიეროდ, პირველად ჩასწვდა სტეინიცი, რომელმაც მოახდინა მორფის თამაშის ძირითადი პრინციპების მეცნიერულ დონეზე ფორმულირება და დიდებული ინტერპრეტაცია ყოველი მოჭადრაკისთვის.

1873 წელს სტეინიცს შესთავაზეს სპორტული გაზეთის The Field-ის საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელობა. სტეინიცის კომენტარები შემოქმედებით-პოლემიკური ხასიათისა იყო. იგი პირდაპირ ამბობდა ყველაფერს, რისი თქმაც სურდა, მაგრამ არა აწონ-დაწონვით და ღრმა, წინდახედული გააზრებით, არამედ მკვეთრად და უხეშად, იმპულსურად და აფეთქებით, ამბიციურად და აგრესიულად, ურთიერთობის ეტიკეტის ნორმების დაცვის გარეშე. თავისი აზრის გამოთქმის, ანალიზისა და შეფასების მომენტში მისთვის კორექტულობა და ცივილიზებური ფორმა, დელიკატურობა და ინტელიგენტური თავშეკავება სრულიად უცხო იყო, ამიტომ საკმარისად უჭირდა ურთიერთობა კოლეგებთან.

წინდაუხედავი მოქმედება მას ბუმერანგივით დაუბრუნდა და მკვეთრად აირეკლა მის ცხოვრებაში: ჰოფერისა და ცუკერტორტის მატჩის შემდეგ სტეინიცი The Field ჩამოაშორეს და მისი საჭადრაკო რუბრიკის რედაქტორობა ცუკერტორტსა და ჰოფერს მიანდეს.

ეკონომიური თვალსაზრისით ვილჰელმისათვის ეს ფაქტი საგანგაშო გამოდგა. ცოლ-შვილის პატრონს ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა, რადგან არსებობის ძირითადი წყარო შეუწყდა.

1883 წელს სტეინიცმა დატოვა ინგლისი, სადაც 20 წელიწადი იცხოვრა. იმავე წლის 14 ოქტომბერს ნიუ იორკში ჩავიდა. იქ მან აირჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მანჰეტენის საჭადრაკო კლუბის მფარველობის ქვეშ.

პირველმა ორკვირიანმა საგასტროლო მოგზაურობამ ამერიკაში ვილჰელმს 200 დოლარი მოუტანა. მას ნორმალური არსებობის საშუალება მიეცა და იმდენად კმაყოფილი და იმედიანი შეიქმნა, რომ დაუყოვნებლივ შეიტანა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობაზე. მისი გამოსვლები განსაკუთრებით საინტერესო და შთამბეჭდავი იყო 1884-85 წლებში. ერთდროული თამაშის სეანსებში ის მუდმივად იგებდა თითქმის ყველა პარტიას. ასეთივე შედეგები ჰქონდა „ბრმა“ სეანსებში.

თავისი ამერიკული ცხოვრების პირველი დღეებიდანვე სტეინიცი ცდილობდა, რომ შეხვედროდა ღირსეულ და სახელმოხვეჭილ, ელიტარულ და წარჩინებულ პიროვნებას, სერიოზულ მეტოქეს - ცუკერტორტს და მიზანს მიაღწია კიდეც.

იოჰან გერმან ცუკერტორტი (1842-1888) გერმანელი ებრაელი მოჭადრაკე-პროფესიონალი, ლონდონში სტეინიცის მსგავსად, 1872 წელს დასახლდა.

1886 წლის 11 იანვარს დღის 2 საათზე ისინი დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ ისტორიულ საჭადრაკო მაგიდასთან. მიუხედავად იმისა, რომ ცუკერტორტი თითოეულ სვლაზე ერთ წუთს ხარჯავდა, ხოლო სტეინიცი კი ოთხ წუთს ანდომებდა, გაიმარჯვა მაინც სტეინიცმა.

მატჩის შედეგმა ცუკერტორტს ისეთი მორალური დარტყმა და ფსიქიური ტრამვა მიაყენა, რომ მან ვეღარ შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა და 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გერმანიის ქალაქ ხერფორდის კლუბმა სტეინიცს გამარჯვება გულმხურვალედ და ზარ-ზეიმით მიულოცა. ტრიუმფი მნიშვნელოვანი იყო ფაქტიურად იმით, რომ ვილჰელმმა მატჩი არა მარტო მოიგო, არამედ უკანასკნელი 15 პარტიიდან მხოლოდ 1 წააგო. სტეინიცი ოფიციალურად აღიარებულ იქნა ჭადრაკში მსოფლიოს პირველ ჩემპიონად.

ვილჰელმს მრავალი ტკივილი ჰქონდა გადატანილი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა და შორს გატყორცნილმა სახელმა, ცხადია, სულიერი ჭრილობები მოუშუშა და უდიდესი ბედნიერება მოუტანა. დიადი გამარჯვება არა მარტო მისი უბადლო ტალანტისა და მგზნებარე მოღვაწეობის ტრიუმფი, არამედ, პირველ რიგში, ღვთის ჯილდო და მადლი იყო!

1889 წელს კუბის ქალაქ ჰავანაში მდიდარმა კლუბმა სტეინიცს შესთავაზა, რომ თვითონ დაესახელებინა მომდევნო მატჩის ღირსეული მოწინააღმდეგე. ეს იგი მისთვის ფრიად სასურველი პარტნიორი, რათა პრესტიჟული, მაღალპროფესიონალური საჭადრაკო დუელი შემდგარიყო. სტეინიცმა რეალური და ლოგიკური, მართებული არჩევანი გააკეთა სახელმოხვეჭილ რუს მოჭადრაკე ჩიგორინზე, რომელსაც ვილჰელმი კომბინაციური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლად თვლიდა.

ვენისა და ლონდონის ტურნირებში ჩიგორინთან შავებით თამაშისას სტეინიცმა წააგო ევანსის გამბიტით ნათამაშევი პარტიები. შემდეგ მან იპოვა შავებისათვის მე-6 სვლაზე ახალი თეორიული ვარიანტი და ცდილობდა მის შემოწმებას, აპრობირებას პრაქტიკულ ასპექტში. ეს მან ჰავანაში შეძლო.

ჩიგორინმა 9-ჯერ შესთავაზა სტეინიცს ევანსის გამბიტი. სტეინიცმა სიჯიუტით 9-ჯერვე გააკეთა სულ ერთი და იგივე, თავისი მე-6 სვლა (!) და 5 პარტია წააგო, 3 მოიგო და 1 ყაიმით დაამთავრა.

სტეინიცი ჩიგორინთან პაექრობისას თეთრებით თამაშობდა ცუკერტორტის დასაწყისს. ამ დახურულ დებიუტში სტეინიცი განსაკუთრებით ძლიერი იყო, თანაც აქაც იპოვა ახალი გარანტი. ამ დასაწყისით სტეინიცმა 8 პარტიიდან 7 მოიგო და 1 წააგო.

ამგვარად, მთელი მატჩი გადაიქცა ხანგრძლივ თეორიულ ექსპერიმენტად, რომელიც სტეინიცმა ჩინებულად დაასრულა: 10 გამარჯვება, 6 წაგება, 1 ყაიმი...

1891 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ვილჰელმის ჟურნალმა International Chess Magazine-მა, რომელიც 1885 წლიდან გამოდიოდა. ჟურნალის გამოცემა შეწყდა ფინანსური მიზეზების გამო.

1892 წელს სტეინიცს ცხოვრების ქარიშხალმა უდიდესი უბედურება დაატეხა თავს: დროის მცირე მონაკვეთში გარდაეცვალა მეუღლე და 18 წლის ქალიშვილი.

ცოლ-შვილის დაღუპვიდან რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი დაბრუნდა ნიუ იორკში, სადაც მას დაეწყო ძლიერი ნერვული დეპრესია: ეჩვენებოდა, თითქოს მისი სხეულიდან გადმოდიოდა ელექტრული დენი, რომელიც ფიგურებს გადაადგილებდა საჭადრაკო დაფაზე.

1900 წლის 11 თებერვალს ვილჰელმი სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსეს.

სიცოცხლის ბოლო დღეებში ავადმყოფს საშინლად აწამებდა ფსიქიური სტრესი, სულიერი სკეპსისი, ფსიქოლოგიური კრიზისი, უჩვეულო ისტერია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული და საბედისწერო აღმოჩნდა.

1900 წლის 12 აგვისტოს კი უკვე დადგა აღსასრული.

ამბობენ, - გედი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ - სიკვდილის წინ მღერისო და იქნებ სიმბოლურად სწორედ გედის სიმღერა და რექვიემი იყო ის მომენტი, როდესაც სტეინიცმა მხოლოდ ერთხელ, როდესაც მისი გულის ფეთქვა წყდებოდა, საჭადრაკო დაფა უსაზღვრო თავდავიწყებით მკერდზე მიიკრა.

ჩიგორინმა სიკვდილის წინ დაფა და ფიგურები ღუმელში შეყარა, სტეინიცმა კი სიცოცხლე თითქოს თავის პოსტზე დაამთავრა.

# ძლიერი საზოგადოება ბავშვთა კეთილდღეობისთვის





„World vision - საქართველოს“ პროექტი „ძლიერი საზოგადოება ბავშვთა კეთილდღეობისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვთა კეთილდღეობისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერას დასრულდა. პროექტი გულისხმობდა ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისა და ზოგადად ბავშვთა კეთილდღეობისაკენ მიმართული ისეთი ალტერნატიული სერვისების ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებას, რომელსაც შემდგომ დაეფუძნება საქართველოს ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკა.

პროექტი ჩამოყალიბდა ბავშვთა კეთიილდღეობის ეროვნული პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიის საქმიანობის მხარდასაჭერად, რომლის წევრებიც არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ბავშვთა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები.

პროექტის თანამშრომლების აზრით, ბავშვთა კეთილდღეობა არამხოლოდ მთავრობას, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთლიანად, ქართული საზოგადოების საზრუნავია. მხოლოდ ამ მონაწილეების გაერთიანებული ძალისხმევით, ძლიერი და სტაბილური საზოგადოების არსებობის პირობებში არის შესაძლებელი რეალური ცვლილებების მოხდენა.

განხორციელებული საქმიანობა შეიძლება რამდენიმე ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდეს:

1. ინსტიტუციებში მყოფი და სხვა კატეგორიის ბავშვების შეფასების ზოგადი ფორმების შემუშავება და შეფასების პროცესის განხორციელება:

პროექტის სოციალური სამსახურის მიერ მოხდა ბავშვთა ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების მდომარეობის შეფასების ზოგადი ფორმის შემუშავება, რომელიც მოწონებულ და დამტკიცებული იქნა საქართველოს განათლების და მეცნიერების შესაბამისი სამსახურის მიერ. ამავე ფორმების გამოყენებით მოხდა ბავშვების შეფასება 7 ინსტიტუციაში: რუსთავის, თიანეთის, ახმეტის, თელავის, ბროწეულას, ქუთაისის სკოლა-ინტერნატი და თემქის სკოლა-ინტერნატი. სულ შეფასებული იქნა 638 ბავშვის მდგომარეობა. შეფასების მიზანს წარმოადგენდა ბავშვის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება და ზრუნვის ყველა მისაღები ალტერნატიული გზების მოძიება. შეფასების პროცესში სოციალური მუშაკების დახმარებით ამ სახელმწიფო დაწესებულებებში მცხოვრები 128 ბავშვი დაუბრუნდა ოჯახურ გარემოს. მათგან 71 ბავშვი დაუბრუნდა თავის ბიოლოგიურ ოჯახს, 8 ბავშვი საცხოვრებლად გადავიდა ნათესავებთან, 5 ბავშვი შვილობილად მიიღეს მზრუნველმა ოჯახებმა, ხოლო 44 ბავშვი გადარჩა მიტოვებას.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დაგეგმვა:

პროექტის პარტნიორების, „პირველი ნაბიჯის“, „ბავშვი და გარემოს“, ასევე Every Child-ისა და World Vision-ის სხვა პროექტების მეშვეობით საქართველოს რამდენიმე ქალაქში მოხდა სახელმწიფო ინსტიტუციებში მყოფი ბავშვების ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეზღუდულობის ხარისხისა და მათი სოციალური ინტეგრაციის პირობების დადგენა, განათლების სამინისტროსთვის ასეთი ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის მოდელების შეთავაზება, ბავშვებზე მზრუნველობის ალტერნატიული მოდელის, მაგალითად, შვილობილობის შეთავაზება და შეზღუდულობის მქონე ბავშვების მიტოვების პრევენცია. ამ მიმართულების ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ადგილობრივი მთავრობის დახმარებით ქალაქ ბოლნისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ახალგაზრდული ცენტრის, „სხივი“-ს ჩამოყალიბება, რომელიც მიმართულია ამ ბავშვების რეაბილიტაციისა და განათლების დონის ამაღლებისკენ. ცენტრი ამჟამად 30 ბავშვს ემსახურება.

3. „დროის ბანკის“ ინიციატივის დანერგვა:

ეს პილოტური ინიციატივა, რომელიც საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, თელავი, ქუთაისი) უკვე მოქმედი ახალგაზრდული ცენტრებისა და საინიციატივო ჯგუფების ბაზაზე დაარსდა და წარმატებულად მოქმედებს, გვთავაზობს საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთდახმარების ახალ ფორმას, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ცალმხრივი მოსახლეობისაგან და ეუფლება ორმხრივობის პრინციპს. იგი საშუალებას აძლევს საზოგადოების ყველაზე გაჭირვებულ და დაუცველ ფენასაც კი გამოავლინოს და სხვა ადამიანების სასიკეთოდ გამოიყენოს ისეთი ელემენტარული უნარ-ჩვევებიც კი, როგორიცაა კომპანიონობა მოხუცებულებისთვის, ბავშვის მოვლა, მებაღეობა, ხელსაქმის სწავლება, კულინარია, სხვადასხვა გაკვეთილები და სხვა მრავალი, ხოლო სანაცვლოდ სხვა ადამიანებისგან მიიღებენ ისეთ მომსახურეობას და დახმარებას, რომელიც მათ ესაჭიროებათ და, ამავდროულად, თავი იგრძნონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

დაბოლოს, პროექტის მიმდინარეობისას დიდი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა კეთილდღეობისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ირგვლივ, რა მიზნითაც დეინსტიტუციონალიზაციის, შვილობილობისა და პრევენციის შესახებ, აგრეთვე სათემო შეხვედრები მოსახლეობასა და განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს შორის ამ საკითხებთან დაკავშირებით.

*24 საათი*

# ვენეციის კინოფესტივალი



ვენეციის კინოფესტივალზე, რომელიც გაიმართება 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე, სამი რუსული ფილმი მიიღებს მონაწილეობას. გრან-პრისთვის იბრძოლებს ახალგაზრდა თეატრის რეჟისორის ივან ვირიპაევას პირველი მხატვრული ფილმი „ეიფორია“. პროგრამა „ჰორიზონტში“ ნაჩვენები იქნება ბორის ხლებნიკოვის „თავისუფალი ცურვა“, ხოლო ფესტივალს დახურავს პავლა ლუნგინას „სანაპირო“, რომელმაც გახსნა ამ წელს „კინოტავრი“. ვენეციის ფესტივალის ჟიურიში მიწვეულია სამი რუსი: მსახიობი ჩულან ხამატოვა უხელმძღვანელებს მთავარ კონკურსს, რეჟისორი ალექსი ფედერჩენკო - მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ფიპრესის პრეზიდენტი ანდრეი პლახოვი - სადებიუტო ფილმებს. ფესტივალის ფარგლებში შედის აგრეთვე რუსული ფილმების რეტროსპექტივა.

ცნობილ ფილმებს შორის ფესტივალზე ოლივერ სტოუნი აჩვენებს თავის ფილმს „საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი“ და დევიდ ლინჩი „შიდა იმპერიას“. ფესტივალს გახსნის ბრაინ დე პალმის ფილმი „შავი ორქიდეა“.

როგორც ცნობილია, ვენეციაში ორჯერ გაიმარჯვა რუსულმა ფილმმა. პირველად 1962 წელს „ოქროს არწივი“ გადაეცა ანდრეი ტარკოვსკის ფილმს „ივანეს ბავშვობა“, ხოლო 2003 წელს - ანდრეი ზვიაგინცევის ფილმს „დაბრუნება“. ვენეციის კონკურსებზე ბოლო წლებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე უმცროსი ალექსეი გერმანის ორი ფილმი „უკანასკნელი მატარებელი“ და „გარპასტუმ“.

ნინია კაკაბაძის სვეტი

## აგრესიული მოძალადეები პარადოქსების ქვეყანაში



დღეს არსებული მდგომარეობის ანალიზი და არა მცდარი შეფასებები იმდენად ძნელია, რომ ბევრი სიჩუმეს ამჯობინებს. რასაკვირველია, სიჩუმე საუკეთესო გამოსავალია. ამიტომ თავს შევიკავებ სიღრმეებში წვდომისგან და მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებზე ვისაუბრებ, რაც როგორც ჩემთვის, ისე ნებისმიერი მოქალაქისთვის მედიის საშუალებით და მის გარეშეც ძალიან აშკარა ხდება.

ბოლო დროს წერილის დაწყება ყოველთვის აღიარებითი ჩვენებით მიწევს. ამ ჩვენებას თავდაპირველად იუმორისტული სარჩული ჰქონდა, დროთა განმავლობაში კი სრულიად სხვა ფუნქციები შეიძინა: პირველი ის არის, რომ სახელისუფლო დემაგოგიას გაუჭირდეს განცხადებების თავის სასიკეთოდ გადასხვაფერება და მეორე - დაპატიმრების და ახლა უკვე სამშობლოს გამყიდველის იარლიყის შიში. დაპატიმრება ჩვენს ქვეყანაში იმდენად ადვილი გახდა, რომ მეშინია ჩემი წინაპრების ბედი არ გავიზიარო. მაგალითად, 30-იან წლებში ბებიაჩემი დააპატიმრეს „ყბედობის“ ბრალდებით და ციხეში 10 წელი გაატარებინეს. ამ პერსპექტივისგან შორს არც ჩვენი ქვეყანაა და არც რომელიმე „მოლაყბე“. ვიდრე დაგვაპატიმრებენ, მანამდე სხვა საშიშროების წინაშე ვდგავართ - გივი თარგამაძე სამშობლოს მტრად, მოღალატედ გამოგვაცხადებს. სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ვიტყვი:

დღეს საქართველოს ძალიან ცუდი ხელისუფლება ჰყავს (რამდენიმე მიზეზს მოგვიანებით მოგახსენებთ), მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ემზარ კვიციანი პროვოკატორი, მოძალადე, გამყიდველია. მისი სატელევიზო განცხადებების შემდეგ, როდესაც ის იარაღით ხელში და ძალადობრივი გზით ქვეყანაში „სამართლის“ აღდგენით იმუქრებოდა, მის წინააღმდეგ სამართლებრივ დევნას ნამდვილად იმსახურებს. მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, რომ არც ჩვენი ხელისუფლებაა ჰუმანური, მშვიდობიანი, დიპლომატიური გზების მომხრე. ის არანაკლებ აგრესიული და საშიშია, ვიდრე ემზარ კვიციანი. სიტუაციაში, როდესაც საქმე ეხება არა ერთ ან ორ კონკრეტულ ბანდიტს, არამედ თუნდაც ასეულ ადამიანს, ვფიქრობ, გაცილებით მისაღები იქნებოდა მშვიდობიანი ინიციატივის გამოჩენა, ამ ლოკალური კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებისკენ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მაინც. მაგრამ, როგორც ქვეყნის პირველმა პირმა, ასევე მისმა მორჩილებმა ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგეს. მიკვირს, რომ ჩვენი იდეოლოგიური მასწავლებლისგან ესეც კი ვერ ვისწავლეთ. ამერიკამ ერაყის ომი განმათავისუფლებელ ბრძოლად მონათლა. მათ უდიდესი აგრესია ლამაზ, ფერად და მშვიდობიან ქაღალდში შეფუთეს. მაგრამ თუ ჩვენი პრეზიდენტი ძველბიჭურად ემუქრება მეამბოხეებს (დედას ვუტირებთ ყველას - მიკვირს, რატომ არ შემოგვთავაზა ამ გინების სრულყოფილი ვერსია), მისი აპარატის პატარა უფროსი გაცილებით აგრესიულია ტერმინოლოგიაში (გავანადგურებთ ყველას). ნურც იმ რეალობას გავექცევით, რომ მრავალ მემარჯვენე, ბოლშევიკური შემართების მოქალაქეს (ამ შემთხვევაში მაყურებელს) ეს გამონათქვამები გულს ეფონება და ტელეეკრანს საკუთარ წამოძახილებს ამატებს: მიდით, ამოჟლიტეთ, დახოცეთ, მაგათი მოჭრილი თავები ჩამოიტანეთ და ა.შ. სამწუხაროა, მაგრამ ცხადია, რომ ამ აგრესიული პოლიტიკის მომხრეც ბევრია ჩვენს ქვეყანაში. და ამ ბოლშევიკურ იდეოლოგიას კიდევ უფრო ამყარებს, ანოყიერებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და მისი „თვალსაჩინო“ წარმომადგენლები: ოქრუაშვილი, მერაბიშვილი, თარგამაძე, მაჭავარიანი და სხვა მრავალი. ეს რაც შეეხება ძალადობრივ აგრესიას, რიმელიც ემზარ კვიციანმა გამოიჩინა და ხელისუფლებამაც უპასუხა. თუმცა...

საკითხი გაცილებით რთულია, საზოგადოება დაბნეულია და ვერ გაიგო რა ხდება სინამდვილეში. ვინ დგას ემზარ კვიციანის პროვოკაციის მიღმა? საით მიდის ქართული ჯარი? კოდორში გაჩერდება თუ აფხაზეთისკენ აიღებს გეზს? შედგა თუ არა მოლაპარაკება ჩვენს ყოფილ და ახლანდელ ძმებს (რუსეთი, აშშ) შორის? ეს პოლიციური ოპერაცია ამ კონკრეტულ მიზანს ისახავს, რომ განაიარაღოს არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფი თუ ეს ომის დასაწყისია? ერთი სიტყვით, კითხვა ძალიან ბევრია და მასზე პასუხები, სავარაუდოდ, ახლო მომავალში გამოჩნდება. ჩნდება კიდევ ერთი, ძალიან მარტივი კითხვა: თუ კვიციანის რაზმი ორი წლის წინ ოფიციალურად გააუქმეს, რატომ მაშინვე არ განაიარაღეს ისინი? და დღეს, როდესაც ეს ნაწილობრივ უკვე მომხდარია, ამაყად რატომ გვიცხადებენ, რომ ამოღებულია რუსული წარმოების იარაღი? განცხადება აქცენტს აკეთებს რუსეთზე, როგორც პროვოკაციის ავტორზე. რასაკვირველია, ეს დასაშვები და მოსალოდნელია, მაგრამ საინტერესოა, ვისი წარმოების იარაღი შეიძლებოდა ჰქონოდათ, ან რომელი ქვეყნის მიერ დამზადებულ იარაღს ფლობს ქართული ჯარი?! ამ კითხვებზე პასუხსაც მომავალში ველოდოთ, მანამდე კი...

პარადოქსები ქართულ პოლიტიკაში. სრუალიად პარადოქსული განცხადებები, ტენდენციები რიგ შემთხვევაში კომიკური და რიგ შემთხვევაში ტრაგიკულია. თუმცა არც ეს ორი ჟანრი გამორიცხავს ერთმანეთს. სამაგალითო გროტესკის ნიშანია მაგალითად ასეთი სცენა, რომელიც ქართული ტელემედიით იხილა და მოისმინა საქართველოს მოსახლეობამ. ორ სხვადასხვა არხზე ერთი მშვიდობისკენ მოგვიწოდებდა, მეორე კი დიდაქტიკურად გვესაუბრებოდა სახელწიფოებრივ ინტერესებზე. დღეს ისინი სხვადასხვა ფრთას წარმოადგენენ, მაგრამ სასაცილოა, როდესაც დოდო გუგეშაშვილი მშვიდობაზე და არაძალადობრივ ხერხებზე გვარიგებს ჭკუას და ტრაგიკულია მორალური პედესტალიდან მოსაუბრე ნიკოლოზ რურუას მოსმენაც. გაუგებარია კახა ლომაიას უეცარი მეტამორფოზაც - სამაგალითო პრინციპულობიდან სამაგალითო მოძალადედ რომ გადაკეთდა. სასაცილონი არიან ბოკერიები, თარგამაძეები და არველაძეები, რომლებიც თავიანთი ოპონენტების შიშსა და ზიზღს დღესაც, მათთვის მეტად საპასუხისმგებლო სიტუაციაშიც ვერ მალავენ. ქვეყნის მტრების, მოღალატეების სიას წარმოგვიდგენს გივი თარგამაძე და ბედნიერების მწვერვალზე მყოფი „კურიერი“ ამას კონტექსტიდან ამოგლეჯილად, ათჯერ და ასჯერ იმეორებს. დაახლოებით ასეთი სურათია: „კურიერი“ მისთვის კომფორტულ, ჩვეულ რეჟიმში მუშაობს, წარმოგვიდგენს დღის უახლეს ინფორმაციას. სიახლეები, ბუნებრივია, მხოლოდ კოდორის ხეობაში მიმდინარე პოლიციურ ოპერაციას ეხება და ბოლოს წამყვანი მოგვახსენებს: ახლა კი კიდევ ერთხელ მოისმინეთ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დასახელებული მოღალატეების სია...“ ეს უკვე სასაცილოა, მაგრამ უცნაურია თავისთავად სია. იქ ბევრი მიუღებელი ან მისაღები ადამიანია, მაგრამ სამშობლოს მტრებად მათი გამოცხადების მოტივაცია გაუგებარი და რიგ შემთხვევაში გაუმართლებელია. მე არ ვაპირებ გიგა ლორთქიფანიძის უფლებების დაცვას - თავად გადაწყვეტს, დაიცვას თუ არა, მაგრამ მტრად გამოცხადება იმისთვის, რომ მოსკოვში კულტურულ ღონისძიებებზე დადიოდა, ოდნავ სასაცილოა. მაშინ როდესაც გივი თარგამაძის დღევანდელი თანამოაზრეები და ახლობლები სამეგრელოში მოსახლეობას აწიოკებდნენ, მაროდიორობდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს და ჩვენ ისინი არ გაგვისამართლებია, მგონი ნაადრევია მოსკოვში სიარულისთვის გავასამართლოთ ვინმე. ყველაზე დიდი პარადოქსი კი ის არის, რომ უზნეო აგრესორები ქვეყნის მტრად მიცხადებენ პაატა ზაქარეიშვილს. რისთვის? იმისთვის, რომ ომისკენ არ მოგვიწოდებდა და ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. ზაქარეიშვილის საქმიანობას ჩემი რეკლამირება არ სჭირდება, მაგრამ სამარცხვინო და საშიშია ქვეყანა და მისი ხელისუფლება, რომელიც მშვიდობიანი მოწოდებებისთვის ადამიანებს სამშობლოს მტრად აცხადებს. დიახ, ბატონო გივი, მეც მზად ვარ ბოდიში მოვუხადო აფხაზებს, თუ მომავალში მათთან თანაარსებობა მინდა. ცოდვა არც ქართველებს გვაკლია აფხაზეთის ომში და არც აფხაზებს. ბოდიშის მოხდა კი მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების მსგავს უღირს, სუსტ, პატარა ადამიანებს ეთაკილებათ, რომლებიც მხოლოდ აგრესიაში, ძალადობაში, ტერორში ხედავენ საკუთარ ძალას. ისიც ცხადია, რომ მომავალში ჩვენ, როგორც ყოფილი ხელისუფლების, „მხედრიონისა“ თუ გვარდიელების მაგივრად, ისე ამ აგრესიული ხელისუფლების ნაცვლადაც მოგვიწევს ბოდიშის მოხდა.

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

### სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესაქმნელად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge



## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

### 2006 წელს დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 100 000 (ასი ათასი) ლარი.

ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 26 წუთზე ნაკლები.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ დოკუმენტური ფილმების კონკურსში (N 03) და ვერ მოაგროვეს 45 ქულაზე მეტი.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთაც ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებული არ აქვთ.

პროექტი უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 დეკემბრამდე პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 7 აგვისტო 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე.

კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: o www.filmcenter.ge


## თელავის რაიონის გამგეობის ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ 2006 წლის 29 მაისს თელავის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებს:

1. ქ. თელავში, ცენტრალურ მოედანზე შადრევნის სამშენებლო სამუშაოები --
ლოტი 1. შ.პ.ს. "თელავის ინფრასტრუქტურის და უზრუნველყოფის სამმართველო"

ლოტი 2. სს "ენერგომშენკონსტრუქცია"
ლოტი 3. შ.პ.ს. "თელავის ინფრასტრუქტურის და უზრუნველყოფის სამმართველო"
ლოტი 4. ფ/პ გიორგი ჯაფარიძე
ლოტი 5. ფ/პ ჯუმბერ ჯიქია.

2. ქ. თელავში, ცენტრალური ქუჩების გზების რეაბილიტაციის სამუშაოები -- შპს "სერპანტინი".

3. ქალაქ თელავში ფასადების შეღებვა-რესტავრაცის სამუშაოები -- შ.პ.ს. "თელავის ინფრასტრუქტურის და უზრუნველყოფის სამმართველო"

4. ქალაქ თელავის გარე განათების რეაბილიტაციიის და ფასადების მინათების მოწყობის სამუშაოები -- შ.პ.ს. "ვიქტორია სთარი".

## TV5MONDE

### 28 ივლისი

28 ივლისი **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00, 00.45** (შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ნიუ იორკის ფრანგული ოპერა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **12.15** უკანასკნელი განმათავისუფლებელნი. დოკ.ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი. ეპიზოდი 25. სერიალი. **16.30** დამალული განძი. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ პინოტო. 1994 . **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. ტელესერიალი. **20.30** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** სასწაულის შვილები. (სინჯარის ბავშვები)მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2002. **04.40** მდინარე განგას გზაზე. დოკ.ფილმი.


**ქირავდება 4930მ² ფართი, საოფისე ფართი 230მ2, 3300მ² ეზოთი, 800მ² სასაწყობო ფართით, 600მ2 საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**


## ლონდონის გალერეა



თანამედროვე ხელოვნების ლონდონის გალერეა „ტეიტის" გეგმაა ორმაგად გაზარდოს გამოსასვლელი მოედნები, რათა აიგოს მინის კონსტრუქციები. ეს განცხადება გააკეთა გალერეის დირექტორმა ნიკოლას სეროტმა.

მისი თქმით, ახალი ნაგებობები შესრულებული იქნება კუბიზმის სტილში, რომელიც შეიცავს 70 მეტრის სიმაღლის მინის პირამიდებს. მშენებლობა, რომლის ღირებულება 398 მილიონ დოლარს შეადგენს, დაგეგმილია დასრულდეს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე, რომელიც ლონდონში უნდა გაიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ თანხა ჯერ არ არის ნაშოვნი, გალერეის დირექტორმა უკვე განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია, რომ აუცილებლად მოიძიებს ფინანსებს და მშენებლობა ოლიმპიურ თამაშებამდე დასრულდება.

## პატარა შავი კაბა



პატარა შავი კაბა, რომელშიც მსახიობი ოდრი ჰეპბერნი გადაიღეს ფილმში „სადილზე ტიფანისთან", გაიყიდება აუქციონზე. შემოსული თანხა კი გადაეცემათ ინდოეთის გაჭირვებულ მცხოვრებლებს. კაბა შექმნილია ცნობილი დიზაინერის იუბერამ ჟივანშის მიერ სპეციალურად ფილმისთვის 1961 წელს. ხოლი გოლაიტი, ვის როლსაც ასრულებდა ცნობილი მსახიობი, გამოჩნდება პატარა შავ კაბაში ფილმის დასაწყისშივე, როცა იგი გადმოდის ტაქსიდან. Christie's აუქციონის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ კაბა გაიყიდება 50-დან 70 ათას ფუნტამდე. აუქციონი დეკემბერში გაიმართება.

ოდრი ჰეპბერნი დაიბადა 1929 წელს ბრიუსელში, ანგლო-ირლანდიელი ბანკირის ჰოლანდიის არისტოკრატიულ ოჯახში. ის ინგლისისა და საფრანგეთის მეფეების შთამომავალია. ომის წლებში სწავლობდა ინგლისის სკოლაში, რის შემდეგაც დედასთან, ჰოლანდიაში გადავიდა და მოხვდა ოკუპაციაში. სწავლობდა ლონდონის საბალეტო სკოლაში და მუშაობდა მოდელად. პირველი როლი ფილმში ითამაშა 1948 წელს ჰოლანდიაში. დიდხანს ეწეოდა ქველმოქმედებას, ეხმარებოდა ბავშვთა ფონდს. მსახიობი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, კიბოთი.

ფილმი „სადილზე ტიფანისთან" გადაღებულია ტრუმან კაპოტეს ნოველის მიხედვით. მასში აგრეთვე ითამაშეს ჯორჯ პეპარდმა, მიკი რუნმა და პატრიცია ნილმა.

## ელტონ ჯონი



ბრიტანელი კომპოზიტორი, მუსიკოსი და მომღერალი ელტონ ჯონი გამართავს თავის ერთადერთ კონცერტს მსოფლიოში ცნობილ კოპაკაბანას პლაჟზე რიო დე ჟანეიროში. შოუ, რომელიც რეკორდული მაყურებლის შეკრებას გვპირდება, უფასო იქნება. რიო დე ჟანეიროს მერიის პრესსამსახურის განცხადებით, კონცერტი 20 იანვარს შედგება. კონცერტის ჩასატარებლად მოეწყობა სწორედ ის სცენა, რომელზეც ამა წლის თებერვალში კონცერტი ჩაატარა ჯგუფმა Rolling Stones-მა. კონცერტი 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდება. ეს იქნება შოუ The Red Piano, ვერსია იმ კონცერტისა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ლოს ანჯელესში ცნობილ Coliseum Art Caesar's Palase სცენაზე. ელტონ ჯონმა გადაწყვიტა კონცერტში ჩართოს თავისი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც კარიერის 30 წლის განმავლობაში დაწერა. მერიის წარმომადგენლების გათვლით, კონცერტზე უნდა მოვიდეს ლოს ანჯელესის დაახლოებით 500 ათასი მცხოვრები და სტუმარი. 18 თებერვალს Rolling Stones კონცერტზე კოპაკაბანაზე მილიონ-ნახევარმა ადამიანმა მოიყარა თავი.

## ნიკოლას ქეიჯი



ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა ნიკოლას ქეიჯმა შეისყიდა დიდი ციხესიმაგრე ბავარიაში, ნაიდშტაინში, რომელიც აშენებულია XVI საუკუნის დასაწყისში. მსხიობმა 2 მილიონი ევრო გადაიხადა.

ციხესიმაგრე, რომელიც 42 წლის მსახიობმა იყიდა, განთავსებულია ობერ-პლაფცეში, ნიურნბერგის ახლოს. თუმცა მსახიობი ცხოვრობდა კალიფორნიის შტატში, ლოს ანჯელესის ვილაში, რომელიც ძალიან ჰგავს ციხე-სიმაგრეს. როგორც ცნობილია, მას ეკუთვნის აგრეთვე 165 ჰექტარი ტყე. „ეს ნამდვილი ციხესიმაგრეა და თანაც ძალიან ოჯახური", - განაცხადა მსახიობმა თავის ახალ საცხოვრებელზე.

ნაიდშტაინი ააშენა 1505 - 1512 წლებში არისტოკრატმა იობსტომ ფონ ბრანდომმა. მას შემდეგ ის ეკუთვნოდა მის შთამომავლებს.

ბავარიაში, ამ ევროპული რეზიდენციის არჩევანით ქეიჯმა გერმანიის პრესტიჟს დაუჭირა მხარი, მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის მსახიობებმა ჯორჯ ქლუნმა და ჯონი დეპმა არჩიეს იტალიისა და საფრანგეთის ფუფუნება.

## „ნათლია"

დაახლოებით 100 ნივთი, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ მსახიობს მარლონ ბრანდოს, გაიყიდება აუქციონზე, რომელსაც დალასის კომპანია Heritage Auction Galleries უწევს ორგანიზებას. ნივთებში შედის „ნათლიას" სცენარი, 1952 წლის ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო BAFTA, ბრანდოს ფოტოები გადასაღები მოედნიდან და კიდევ ბევრი სხვა.

ეს იქნება მეორე აუქციონი მსახიობის გარდაცვალებიდან, რომელზეც ბრანდოს ნივთები გაიყიდება. შეგახსენებთ, რომ იგი გარდაიცვალა 2004 წელს, 80 წლის ასაკში. 2005 წელს ნიუ იორკში, Christie's აუცციონზე, მისმა ნივთებმა 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა. აუქციონი დალასში წლეულს, 6-7 ოქტომბერს გაიმართება.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### ავტომობილმა-ამფიბიამ გინესის რეკორდი მოხსნა

შვეიცარიულმა ავტომობილმა-ამფიბიამ Rinspeed-მა ლა-მანშის სრუტე ერთ საათში, 33 წუთსა და 47 წამში გადაცურა და ამით გინესის რეკორდიც მოხსნა. ავტომობილ-ამფიბიას კომპანია Rinspeed-ის პრეზიდენტი ფრენკ რინდერკნახტი მართავდა. კომპანიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გზაში ავტომობილი-ამფიბია რაღაც გაუთვალისწინებელ პრობლემას წააწყდა, რის გამოც მან მაქსიმალური სიჩქარე ბოლომდე ვერ განავითარა. რეკორდსმენი ავტომობილი-ამფიბია ფირმის მიერ 2004 წელს შემუშავებული პლატფორმის საფუძველზე შეიქმნა. წყალში მოძრაობისას ავტომობილს წყალქვეშა ფრთები გამოდის, რაც მას სიჩქარის აკრეფაში ეხმარება. ავტომობილ-ამფიბიას წყლის ზედაპირზე მოძრაობას 142 ცხენის ძალის მქონე ორცილინდრიანი ძრავი ეხმარება. Rinspeed-ი წყალში საათში 60 კილომეტრს ავითარებს, რაც მისი მაქსიმალური სიჩქარეა. გასულ კვირას ლა-მანშის სრუტე კიდევ ერთმა ავტომობილ-ამფიბიამ გადაცურა, რომელიც იტალიელმა ავტომოყვარულებმა Fiat Panda-ს პლატფორმაზე შექმნეს. იტალიური ავტომობილი-ამფიბია რეკორდს ვერც კი მიუახლოვდა, რადგან მან საფრანგეთამდე მისვლას ექვსი საათი მოანდომა.

### ჩინელები პირველ SuperCar-ს ევროპაში გაყიდიან



ჩინური საავტომობილო კომპანია Geely-ი თავის ახალ პროდუქციას, სპორტულ კუპე Beauty Leopard-ს დასავლეთ ევროპის ბაზარზე 2008 წლის დასაწყისში გაიტანს. აღნიშნული SuperCar-ის წარმოება ჩინეთმა 2003 წელს დაიწყო. ჩინეთის გარდა, Beauty Leopard-ი ეგვიპტეში, კუბასა და სირიაშიც იყიდებოდა. ახალი სპორტული Beauty Leopard-ის შექმნაში მონაწილეობა კორეული კომპანია Daewoo-ს სპეციალისტებმა მიიღეს. აღნიშნული მოდელი 1,3 და 1,5-ლიტრიან ძრავაზე მუშაობს და სიჩქარის მარეგულირებელი როგორც ავტომატური, ასევე მექანიკური ბლოკია ჩამონტაჟებული. ამ კომპაქტური სპორტული ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე საათში 180 კილომეტრია. უნდა აღინიშნოს, რომ Beauty Leopard-ი პირველი ავტომობილია, რომელშიც კარაოკეა მოთავსებული. ჩინეთში Geely-ს სპორტული კუპე 7,5-დან 15 ათას დოლარამდე ღირს, დასავლეთ ევროპის ბაზარზე კი, კომპანიის წარმომადგენლების ინფორმაციით, მისი ფასი ბევრად უფრო მაღალი იქნება. ევროპელი მყიდველების დაინტერესებისა და მოზიდვის მიზნით და ევროპის მკაცრი ეკოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად Geely-ს სპეციალისტებს ავტომობილის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოუწევთ.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3372 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9858 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4805 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7650 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8241 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1359 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2978 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3073 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2211 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4197 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3394 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1589 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1512 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2485 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1926 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2424 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3991 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5485 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1802 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4688 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3142 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2796 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5670 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5930 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0654 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1148 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4227 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5285 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4387 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4992 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8159 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1033 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1494 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2404 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4104 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0784 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2210 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2269 |




# რატომ არის საქართველოს სავაჭრო სალდო უარყოფითი

## ქვეყანაში ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია არ არსებობს

ნინო ნატროშვილი

*დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საექსპორტო პოტენციალის დინამიკა ტრანზიტული ეკონომიკის პრობლემაა. ამ ქვეყნების ძირითადი სტრატეგია საექსპორტო წარმოების ხელშეწყობა და მსოფლიო ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრაციაა. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგომატარებლებით მდიდარ ქვეყნებს - რუსეთს, აზერბაიჯანს და ყაზახეთს. თუმცა, თუ დინამიკას გადავხედავთ, საექსპორტო წარმოების ზრდა ამ ქვეყნებში ენერგორესურსების გარეშეც სოლიდურია.*
*ექსპერტების შეფასებით, ექსპორტის კუთხით, საქართველოს მნიშვნელოვანი ზრდა აქვს - 2005 წლის მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებში მეოთხე ადგილზეა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის კუთხით - ბოლოდან მეოთხეზე.*




B2

# ყველაზე აზარტული მილიარდერი

## ექსტრავაგანტული დიდი ბიზნესმენი კერი პაკერი

გოცა ქიმუცაძე

*გასული წლის ბოლოს 68 წლის ასაკში ამ ქვეყნიდან წავიდა უმდიდრესი ავსტრალიელი, მედიამაგნატი კერი პაკერი, რომლის კაპიტალი ჟურნალ Forbes-ს 5 მილიარდ დოლარად ჰქონდა შეფასებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პაკერმა სახელი არა იმდენად თავისი საქმიანობით და ქონებით გაითქვა, რამდენადაც საოცარი აზარტულობითა და მხიარული ხასიათით. სწორედ მას ეკუთვნის სარეკორდო წაგებები ამერიკულ ლას ვეგასსა და დიდ ბრიტანეთში. პაკერმა ერთგან 20 მილიონი დოლარი წააგო, მეორეგან კი - 13 მილიონი ფუნტი სტერლინგი. მასვე ეკუთვნის ოფიციანტისათვის "ჩაის ფულის" დატოვების რეკორდი - 250 ათასი ფუნტი სტერლინგი.*

**ერთადერთი შემთხვევა, როცა პაკერმა თავისი ვერ გაიტანა, ავსტრალიის ანტიმონოპოლიური უწყების მიერ მისთვის გამომცემლობა FairFax-ის შეძენაში ხელის შეშლა იყო. ეს გარიგება რომ განხორციელებულიყო, პაკერი, რომელიც თავის მედიაიმპერიას ახალი გამოცემებით და ტელეარხებით გამუდმებით მეთოდურად ზრდიდა, ადგილობრივი მედიაბაზრის 80 პროცენტს გააკონტროლებდა.**



B3

# ქალბატონი, რომელმაც ცოდნა ბიზნესში გამოიყენა

ლელა ჩიტაშვილი

*ყველა ჩვენგანის სურვილია, ლამაზად და მოხდენილად გამოვიყურებოდეთ. საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას როგორც ქალბატონები, ისე მამაკაცები საკმაოდ ბევრ დროს უთმობენ. შიდა ქართლის ერთ პატარა ქალაქში, გორში, დღეისათვის უკვე სილამაზის მრავალი სალონია გახსნილი. მათ შორის რამდენიმე მათგანი, აქ მცხოვრებთა შეფასებით, პრესტიჟული სალონების რიცხვშია. ეს სალონები, სხვებისგან განსხვავებით, მომსახურების მაღალი ხარისხით, თანამედროვე ტექნიკითა და კომფორტით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ გორში არსებულ სილამაზის ყველა სალონს ყოველდღიურად მომხმარებელი არ აკლია, პრესტიჟულ სალონებში, ძირითადად, განსაკუთრებული სტილისა და სიახლის მოყვარული ქალბატონები დადიან. ამ სალონებში მომსახურების ფასები შედარებით მაღალია, თუმცა, არც ისე მაღალი, რომ გორის "ელიტარული" წრის წარმომადგენელთა ბიუჯეტი ვერ გასწვდეს. დღეს გორში სილამაზის ერთ-ერთ პრესტიჟულ სალონად მიჩნეულ "ვიპ"-ზე გიამბობთ, რომლის მფლობელი მარიამ ბიბილაშვილი გახლავთ.*

- **როგორ გაჩნდა სილამაზის სალონის გაკეთების სურვილი**
- **ბიზნესი - სტაბილური შემოსავალი**



B4

## საფონდო ბირჟის მეშვეობით სს "ფოთის გემთსაშენზე" გარიგება დაიდო

საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 57(642)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 20 კომპანიის აქციებიდან, რომელთაგან გარიგება დაიდო 4 კომპანიის - საქ. ნატურ. პროდ. კომპანიის, საქართველოს ბანკის, საქწყალპროექტის და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქციებზე გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 49, ჯამური მოცულობა 56,388 ფასიანი ქაღალდი ხოლო ჯამური ღირებულება - 148,896.80 ლარი. საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირდა გარიგება სს "ფოთის გემთსაშენზე". სულ "ფოთის გემთსაშენზე" 930 000 გარიგება დაიდო და მისმა ღირებულებამ 1 674 000.00 ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ავარია ქვეყნის ენერგოსისტემაში

როგორც "ინტერპრესნიუსს" სახელმწიფო ენერგოსისტემაში განუცხადეს, სისტემური ავარიის მიზეზი ქვესადგურ "დიდ ზესტაფონში" მომხდარი ავარიაა, რის გამოც საქართველოს ენერგოსისტემა ორ ნაწილად გაიყო. ამ დროისთვის დენი შეზღუდვით მიეწოდება აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისის ნაწილს. თბილისში დეფიციტი დაახლოებით 30 მგვ-ს შეადგენს. ენერგოსისტემაში ვარაუდობენ, რომ ავარიის მიზეზები დღესვე აღმოიფხვრება.

## საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7650 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7650 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, დღევანდელ სავაჭრო სესიაზე მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ოთხმა მყიდველის სტატუსით). დაიდო ექვსი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 890 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1.7650 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 3 250 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1 890 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი - 1.7650 ლარი. 28 ივლისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 1.7650 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

## გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის დასკვნით, ქართული ღვინო არცთუ ხარისხიანია

რუსეთის მიერ ქართულ ღვინოზე დაწესებული აკრძალვის გაუქმების მიზნით საქართველომ ღვინის ნიმუშები ექსპერტიზაზე გაგზავნა. FAO-ს დასკვნით, ქართული ღვინო არასაკმარისად ხარისხიანია. მათი განცხადებით, ფალსიფიცირებული ქართული ღვინო წარმოადგენს ალკოჰოლურ კოქტეილს, რომელიც შეიცავს სპირტს, საღებავსა და ესენციებს. FAO-ს საინვესტიციო ცენტრის წარმომადგენლის ემანუელ ჰიდიერის განცხადებით, მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია შიდა ბაზარზე ფალსიფიცირებულ პროდუქციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მაგრამ ექსპორტთან დაკავშირებით სიტუაცია არ გამოსწორებულა.

როგორც "იზვესტია" წერს, FAO-საქართველოს ურთიერთობა 2000 წლიდან იწყება. მაშინ საქართველომ თხოვნით მიმართა ორგანიზაციას, დახმარებოდა ღვინის ბაზრის დამრეგულირებელი კანონის მომზადებაში. ამ კანონის თანახმად, ამუშავდა სისტემა, რომელიც მწარმოებლისგან მასალის წარმოშობისა და პროდუქციის მომზადების ხერხების მითითებას მოითხოვს. იგივე სისტემა მოქმედებს საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, ფალსიფიკატორებმა კანონმდებლობაში მაინც აღმოაჩინეს "ხვრელები" და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ის ფაქტი, რომ არ არსებობდა მოთხოვნა ოფიციალურ დოკუმენტებზე პროდუქციის ტრანსპორტირების დროს. ამჯერად FAO საქართველოს ხელისუფლებას კანონის დებულებათა უკეთ რეალიზაციისთვის სადამკვირვებლო კომისიის შექმნაში ეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი $1/1,7650 ნიშნულზე შენარჩუნდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 28 ივლისიდან $1/1,7650 ნიშნულზე დააფიქსირა. პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 27 ივლისს მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ოთხმა მყიდველის სტატუსით). დაიდო ექვსი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 890 000 აშშ დოლარი შეადგინა.

დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7650 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 3 250 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1 890 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.7650 ლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## სებ-ის სადეპოზიტო აუქციონებზე თანხები 9%-იანი განაკვეთით განთავსდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ხუთშაბათს ჩაატარა N21, 28-დღიანი სადეპოზიტო აუქციონი, რომელზეც გამოცხადებული 5 მლნ ლარის საერთო მოცულობის თანხიდან ორმა კომერციულმა ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსა 5 მლნ ლარი წლიური 9%-იანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს.

სებ-ის ინფორმაციით, 2006 წლის 27 ივლისს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა N22, 56-დღიანი სადეპოზიტო აუქციონი, რომელზეც გამოცხადებული 2 მლნ ლარის საერთო მოცულობის თანხიდან ერთმა კომერციულმა ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკში დეპოზიტის სახით განათავსა 400 000 ლარი წლიური 9%-იანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# რატომ არის საქართველოს სავაჭრო სალდო უარყოფითი

პირველი გვერდიდან

მნიშვნელოვანია ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. სიტუაცია აქაც მძიმეა. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს მიხედვით, დსთ-ს წევრ ქვეყნებთან შედარებით საქართველო, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის შემდეგ, ბოლო ადგილზეა.

რა იწვევს საქართველოში უარყოფით სავაჭრო სალდოს? ამ შემთხვევაში ექსპერტების შეფასება ცალსახაა - საბანკო რესურსები საექსპორტო წარმოებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. საბანკო სექტორში ექსიმბანკის სისტემა საერთოდ არ არის. არადა, მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აშშ-ს და სხვა წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკის სისტემებში. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის მიზეზი, რაც ჩვენს ქვეყანაში საექსპორტო პროდუქციის განვითარების დინამიკას აფერხებს. საგულისხმოა ისიც, რომ საგადასახადო ადმინისტრირების შემოწმების სიხშირე საექსპორტო წარმოების მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ასევე ექსპორტზე ნეგატიურად მოქმედებს დავების განხილვის არასრულყოფილება და სასამართლო სისტემა. ეს ყველაფერი ერთად ბიზნესის განვითარებას უამრავ ბარიერს უქმნის, რასაც საბოლოოდ, ყველაზე მეტად საარბიტრაჟო სასამართლოს არარსებობაც ამძიმებს.







საქართველოში საექსპორტო წარმოების განვითარებას, მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პრობლემებიც აფერხებს. საქართველოში სახეზეა ტრანსპორტის განვითარების დაბალი დონე. ამისთვის მარტივი მაგალითიც კმარა. ჰონკონგიდან ფოთამდე 20-ფუტიანი კონტეინერის ჩამოტანა 1000 დოლარი ჯდება. ფოთიდან თბილისამდე იგივე მოცულობის ტვირთის ჩამოტანას 100 დოლარი სჭირდება. ექსპერტების შეფასებით, ექსპორტს სატრანსპორტო დაზღვევის არასრულფასოვანი სისტემა აფერხებს.

ექსპერტს, ემზარ ჯგერენაიას ექსპორტის ძირითად შემაფერხებელ მიზეზად დროში გაწელილი დამატებითი ღირებულების პროცედურა მიაჩნია. “2006 წელს, დღგ-ს სახით, ექსპორტიორებს დაუბრუნდათ 18 მილიონი ლარი, თუმცა დასაბრუნებელი იყო 85 მილიონი ლარი. ამიტომ უნდა შეიცვალოს დღგ-ს სისტემა და მისი დაბრუნების ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპორტო პროდუქციის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.” ექსპერტის შეფასებით, საქართველოს საექსპორტო პოტენციალი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ხელისუფლებამ ექსპორტის განვითარების სტრატეგია უნდა მოამზადოს. შემდეგ ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარება უფრო ადვილი იქნება.

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ხელმძღვანელის კოტე ზალდასტანიშვილის შეფასებით, უნდა მოხდეს ახალი ბაზრების ძიება. თუმცა ეს არ არის მარტივი, რადგან ევროპის ბაზარი არის რთული და იქ შეღწევა ძნელია. არსებობს როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერები, რაც კიდევ უფრო რთული გადასალახია. ექსპერტის შეფასებით, ევროკავშირის ბაზარზე ბრენდმა სახელი ისტორიული ფასეულობებითაც უნდა დაიმკვიდროს.

# ევროგაერთიანებაში მომხდარი სიახლეები ბიზნესმენებისთვის თავსდამტყდარი მოულოდნელობაა

თინა შავაძე

*ევროკავშირს დღეისათვის მსოფლიოს 180-მდე ქვეყნისთვის აქვს მინიჭებული GSP-ს ბენეფიციარის (ანუ მოსარგებლე ქვეყნის) სტატუსი, რომელიც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის ბაზარზე საქონელი შეიტანონ შემცირებული ან, საერთოდ, ნულოვანი განაკვეთით. საქართველო გასული წლის პირველი ივლისიდან იმ 14 ქვეყანას შორისაა, რომლებზეც GSP პლუსის სქემით დამატებითი შეღავათები გავრცელდა. რა წინააღმდეგობას აწყდებიან ქართველი ექსპორტიორები ევრობაზარზე პროდუქციის გატანისას და რა უნდა გაკეთდეს არსებული პრობლემების გადასალახად? - ამის შესახებ საუბრობენ ექსპერტები, აგრეთვე - წარსულის გამოცდილების გათვალისწინებასა და სამომავლო ნაბიჯების მიზანდასახულად გადადგმაზე.*

რას ამბობს წარსულის გამოცდილება? 2001 წელს ევროგაერთიანების ქვეყნებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც ამოქმედდა სერტიფიცირების სისტემა ცხოველურ პროდუქტში დიოქსინის - ძლიერი ტოქსიკური ნივთიერების შემცველობის აღმოფხვრის მიზნით. მაშინ ამოქმედებულმა შეზღუდვამ ბევრი ქართული კომპანიის საქმიანობა შეაფერხა. ევროპის ქვეყნები ამ შეზღუდვის ამოქმედებაზე ორი წელი მუშაობდნენ, ქართულმა კომპანიებმა კი სიახლე მოგვიანებით შეიტყვეს. რუსთავში, ფირმა “ემოს" მიერ დამზადებული მანგანუმის ოქსიდი და მანგანუმის სულფატი (მონოჰიბრიდი) 100 პროცენტით ექსპორტზე გადის. რადგან საქართველოში აღნიშნული სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაცია არ არსებობს, კომპანია იძულებული გახდა სერტიფიკატი ევროპაში მიეღო. მეწარმე ერთი ტესტის ანალიზში 1500 ევროს იხდის. მართალია, ახლა ეს შეზღუდვა გამკაცრებული აღარ არის, მაგრამ მისი დაცვა აუცილებელია.

მეორე მოულოდნელობა, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებს ხის მასალების ქიმიურად დამუშავებისას სერიოზულ სირთულეებს უქმნის, ფიტოსანიტარული მოთხოვნაა. ეს მოთხოვნა ევროგაერთიანების ქვეყნების კანონმდებლობაში რამდენიმე თვის წინ შევიდა. დადგენილი წესით, ყველა სახის პროდუქცია, რომელიც ქვეყნიდან ევროპის ბაზარზე გადის, ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაში პალეტზე (ხის მასალისგან დამზადებული სადგამი) იდგმება. პალეტისთვის საჭირო ხის მასალა კი ქიმიურად უნდა დამუშავდეს. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერი ექსპორტირებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე ვერ შევა. საქართველოში ამ საქმეს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი მცირე გუნდით და ერთი პატარა ლაბორატორიით ემსახურება. ამიტომაც, მხოლოდ ეს სამსახური დადის მთელ საქართველოში და, შესაბამისად, შეკვეთის შესრულებას დღეები სჭირდება.

მესამე მოულოდნელობა ის იყო, რომ ორი წლის წინ ქართულმა კომპანია “ჯორჯია ინჟინირინგმა" პარტნიორ ბრიტანულ კომპანია “ნორკესგან" გაფრთხილების წერილი მიიღო. შეტყობინებით გაირკვა, რომ ევროგაერთიანება აპირებს, შემოიღოს ქიმიური პროდუქტებისთვის ტესტირებისა და რეგისტრაციის სპეციალური პროგრამა, რომლის გავლაც 50 ათასი დოლარი ღირს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საქართველოს ევროპის ბაზრის დატოვება დაემუქრებოდა. მაშინ, ექსპორტიორთა ასოციაციისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით, ამ ინიციატივის განხორციელება საქართველოს მიმართ გადაიდო. ამ , ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას.

ევროგაერთიანების დოკუმენტებში, რომ ცხოველური კვების დანამატების საზღვარგარეთიდან მომწოდებელი, სერტიფიცირების ახალ სისტემას უნდა დაექვემდებაროს. ეს არის "ჯემპის" სტანდარტი, რომელიც "ასპის" მოთხოვნითაა გამყარებული.

კომპანია “ჯორჯია ინჟინირინგის" გამგეობის თავმჯდომარე თამაზ აგლაძე ამბობს, რომ “ამ მოთხოვნაში ცუდი არაფერია. პირიქით, აუცილებელია მისი შესრულება, რათა ქართული პროდუქცია ევროპის ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდეს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მიმდინარე წლიდან ევროგაერთიანების ზოგიერთ ქვეყანაში ამ სისტემის დანერგვა დაიწყო და მთლიანად პროცესი მომავალ წელს დასრულდება. არა მგონია, ბევრ ქართველ ექსპორტიორ კომპანიას ჰქონდეს საკმარისი დრო და ფინანსური რესურსიიმისთვის რომ, ასეთ მოკლე დროში აღნიშნულ სისტემაზე გადავიდეს, ანუ ევროგაერთიანების ამ გამოწვევას უპასუხოს." ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ქვეყანაში ამ სისტემის შემოღებისა და დამკვიდრებისთვის.

რა უნდა გაკეთდეს, რომ ქვეყნიდან ექსპორტის მოცულობა ევრობაზარზე არათუ შეფერხდეს, არამედ გაიზარდოს? საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საქმეში ჩართულმა სამსახურებმა სწრაფად უნდა გაავრცელონ ინფორმაცია მიმდინარე ცვლილებების შესახებ. აგლაძის თქმით, ყველა ადგილობრივ კომპანიას არ აქვს იმის საშუალება, ევროგაერთიანების საიტზე შევიდეს და ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში თავისთვის საჭირო ინფორმაცია იპოვოს. მეწარმეები ამბობენ, რომ ევროგაერთიანებაში მომხდარ სიახლეს იმ სახით არ უნდა გაეცნონ, როგორც ახლაა - ეს არის რამდენიმე თვის დაგვიანებით გაგებული სიახლე, ანუ თავსდამტყდარი მოულოდნელობა, რომელიც ახალი შეზღუდვის დაწესებას იტყობინება. განსაკუთრებით, ეს შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა კანონმდებლობა, სტანდარტირება და რისკის შემცველობის პროდუქტებზე შეზღუდვების დაწესება.

# ქართულ-გერმანული თანამშრომლობა ტექნიკური დახმარების სფეროში

*ფინანსთა სამინისტროში, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის გაფორმდა სამთავრობათაშორისო შეთანხმება, რომელიც საქართველოში ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში კონკრეტული პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში პატრიცია ფლორმა.*

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, დოკუმენტი ითვალისწინებს გერმანიის მხრიდან, ქართულ-გერმანული ორმხრივი ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, დაახლოებით 8 მლნ ევროს ოდენობის დახმარების გაწევას, რომელიც 8 პროექტის დაფინანსებას მოხმარდება.

მინისტრის თქმით, ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის ამგვარი ჩარჩო-შეთანხმდება ფორმდება.

შეთანხმებით განსაზღვრულ პროექტებს საქართველოში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) განახორციელებს.

შეთანხმებით ასევე გათვალისწინებულია გერმანიის მთავრობის მიერ "კავკასიის ინიციატივის" ფარგლებში განხორციელებული პროექტების დაფინანსებაც (ცნობისათვის, “კავკასიის ინიციატივა" მოიცავს რეგიონის სამივე ქვეყანას).

დღეს გაფორმებული სამთავრობათაშორისო შეთანხმება ეფუძნება "საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" 1998 წლის 11 მაისს გაფორმებულ შეთანხმებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 25 ივნისს მოახდინა.

1992 წლიდან 2005 წლამდე, ტექნიკური დახმარების სახით, გერმანიის მთავრობამ საქართველოს დაახლოებით 40 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია, რომელიც ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე, სამართლის სფეროებს მოიცავდა.

ამჟამად ქართულ-გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო მართვა, ეკონომიკური რეფორმა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობა. **24 საათი**

## ბანკებში დეპოზიტების მოცულობამ 1,5 მილიარდ ლარს გადააჭარბა

საქართველოს საბანკო სისტემაში ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა 2006 წლის იანვარ-ივნისში მკვეთრად - 380,2 მლნ ლარით გაიზარდა და 1555 მლნ ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების მოცულობამ 189,1 მლნ ლარით მოიმატა და 522,7 მლნ ლარი გახდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები 113 მლნ აშშ დოლარით 582.3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

დეპოზიტების ოდენობის წლიურმა ზრდამ (მიმდინარე წლის 30 ივნისისათვის, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით) 56,8 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულმა დეპოზიტებმა 106 პროცენტით მოიმატა.

მიმდინარე წლის ივნისში, გასული წლის დეკემბერთან შედარებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 5,2 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2005 წლის ივნისთან შედარებით 8,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 66 პროცენტი შეადგინა. კომერციულ ბანკებში ვადიან სალარე დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით დენომინირებულზე უფრო მეტია, რაც დეპოზიტების დოლარიზაციის შემცირებას უწყობს ხელს. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სალარე დეპოზიტების ზრდა განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში აღინიშნება, როდესაც ლარის კურსის გამყარების მოლოდინია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქართული ბანკების მიერ გაცემული სესხები 0,5 მილიარდი ლარით გაიზარდა

ქართული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები 2006 წლის იანვარ-ივნისში 500 მლნ ლარით გაიზარდა და 2,237 მილიარდი ლარი შეადგინა, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა 189,3 მლნ ლარით მოიმატა 596.3 მლნ ლარამდე, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 183,5 მლნ აშშ დოლარით 925,5 მლნ აშშ დოლარამდეა გაზრდილი.

მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპმა (2006 წლის 30 ივნისისათვის, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით) 85% შეადგინა. ამავე პერიოდში ეროვნულ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა 170%-ით მოიმატა.

ეროვნული ბანკის ცნობით, ივნისში სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 66 პროცენტი შეადგინა.

ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 59 პროცენტი მოკლევადიანია და 67 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემულ სესხებზე მოდის. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების 25 პროცენტი ასევე მოკლევადიანია და 76 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაიცა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კოდორში განხორციელებულმა სპეცოპერაციამ საქართველოს ტურისტულ ფირმებს სირთულეები შეუქმნა

საქართველოს ტურისტულ ფირმებს სვანეთში ტურიზმთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ. საქართველოს ტურისტული სააგენტოები იტყობინებიან, რომ კლიენტების მოთხოვნა, სვანეთში ტურისტულად ჩასვლასთან დაკავშირებით, გაუქმებულია. ისინი საკუთარი უსაფრთხოების გამო შიშობენ და ამიტომაც სპეცოპერაციის დასრულებამდე სვანეთში გამგზავრებისაგან თავს იკავებენ. მათი განცხადებით, მხოლოდ აგვისტოში ზუგდიდი-ხაიში-მესტიის მარშრუტით სვანეთში 300-მდე ტურისტი ჩავა. დღეს სვანეთიდან ხაიშის გავლით ამერიკელი და სლოვაკელი ტურისტები უკან ბრუნდებიან. მათ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიციის თანამშრომლები გააცილებენ. ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კოდორის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაცია არა მარტო სვანეთის, არამედ მთელი საქართველოს ტურისტულ იმიჯზე უარყოფით ასახვას ჰპოვებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამერიკა პორნოგრაფიას ებრძვის

ამერიკის შეერთებული შტატების სარეკლამო საბჭო პორნოგრაფიას ბრძოლას უცხადებს. ანტიპორნოგრაფიულ კამპანიას საბჭო V-ჩიპების პოპულარიზაციით დაიწყებს, რომელისთვისაც ამ ეტაპზე, დაახლოებით 300 მილონი დოლარია გამოყოფილი. Violence Chip-ები პორნოარხების ხელმისაწვდომობას, ფაქტობრივად, შეუძლებელს გახდის. სარეკლამო კამპანიამ, რომელიც V-ჩიპების პოპულარიზაციას ემსახურება, სტარტი 2006 წლის 26 ივნისს აიღო. ამერიკის შეერთებული შტატების სარეკლამო საბჭო ზრდასრულ ამერიკელებს პორნოგრაფიის მავნე ზემოქმედებისგან ახალგაზრდა თაობის დასაცავად V-ჩიპების გამოყენებისკენ მოუწოდებს. ფილტრაციის თანამედროვე სისტემა ციფრული ტელევიზორებისთვის არის შექმნილი და სპეციალური პროგრამული პაკეტის სახით არის წარმოდგენილი, რომელიც პორნო-არხებს ავტომატურად ბლოკავს. ჯერ კიდევ 10 წლის წინ, ძალადობისა და ეროტიკული ელემენტების შემცველი პროგრამები ტელევიზორში ჩასადები სპეციალური ჩიპებით იზღუდებოდა. 13-დიუმიანი V-ჩიპების გამოყენება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე 1999 წლიდან ოფიციალურად სავალდებულო გახდა.

## კომპანია Quanta ღარიბებისთვის ნოუთბუქებს გამოუშვებს

პერსონალური კომპიუტერებისა და ნოუთბუქების ტაივანური მწარმოებელი კომპანია Quanta სულ მალე, სპეციალურად ღარიბებისთვის OLPC-ის ნოუთბუქებს გამოუშვებს. მათი ღირებულება კი მხოლოდ 100 დოლარი იქნება. კომპანია OLPC-ის წარმოებას 2007 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყებს. უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბები კომპანია Quanta-სგან ნოუთბუქებს ჯერ კიდევ 2006 წლის ოქტომბერში ელოდნენ, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა ნოუთბუქების წარმოების დაწყება დააგვიანეს. კომპანია Quanta-ს პრეზიდენტი მაიკლ ვენგი აცხადებს, რომ ღარიბებისთვის შექმნილი ასდოლარიანი ნოუთბუქები გაყიდვაში 2007 წლის პირველი ნახევრიდან გამოვა. OLPC-პროექტის ავტორი კომპანია MIT-ის ყოფილი თანამშრომელი ნიკოლას ნეგროპონტეა. პროექტი, ძირითადად, ღარიბი ქვეყნებისთვის არის გათვლილი. OLPC-ი 500-მეგაჰერციანი პროცესორით, 128-მეგაბაიტიანი ოპერაციული მეხსიერებითა და 512-მეგაბაიტიანი ფლეშ-დისკით იქნება აღჭურვილი.

## Nemiroff -ი მსოფლიო ალკოჰოლურ ბრენდებში შედის




ჟურნალ Drinks International-ის ინფორმაციით, სავაჭრო მარკა Nemiroff-ი მსოფლიოში ცნობილი ალკოჰოლური ბრენდების სამეულში მოხვდა. აღნიშნულმა ალკოჰოლურმა ფირმამ ერთ წელიწადში 9 მილონ ლიტრზე მეტი სასმელი გაყიდა. ექსპერტები აცხადებენ, რომ სასმელი არა მარტო გემრიელია, არამედ ფალსიფიკაციისგანაც საიმედოდ არის დაცული. აქამდე, მესამე ადგილი შვედურ ბრენდს - Absolut-ს ეკავა, წელს კი მან პოზიცია Nemiroff-ს დაუთმო. მეორე ადგილზე არაყი Stolichnaya მოხვდა. რეიტინგში ლიდერული პოზიცია კი ბრენდმა Smirnoff-მა მოიპოვა. დღეისათვის კომპანია Nemiroff-ის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკული სპირტიანი სასმელების ჟურნალ Impact-ის რეიტინგში კი Nemiroff-ი მეთექვსმეტე პოზიციაზე მოხვდა. ბრიტანელი ექსპერტები აცხადებენ, რომ კომპანია Nemiroff-ის მთავარი მიღწევა ის არის, რომ ბოთლი ლაზერული დამცავი ფენით არის დამზადებული, რაც პროდუქციის ფალსიფიკაციას აბსოლუტურად გამორიცხავს. ბოთლზე გამოსახულ ლაზერული ღრუბლების საფარზე პროდუქციის ჩამოსხმის დრო და ვარგისიანობაა გამოსახული. ამასთან, ყოველი ბოთლი სპეციალურ კოდს შეიცავს, რომლის შესახებაც ინფორმაცია Nemiroff-ის ქარხნის კომპიუტერებში ინახება, ასე რომ, კომპანიისთვის პროდუქციის ხარისხის გაკონტროლება ძალიან მარტივია..

# ყველაზე აზარტული მილიარდერი

პირველი გვერდიდან










რომ მოკვდა, უცნაური, ექსტრავაგანტული კაცის მოგონებები დატოვა.

### უტვინო შვილი

ლეგენდის მიხედვით, აზარტული თამაშებისადმი სიყვარული კერის ბაბუისაგან გადაედო, რომელმაც ერთხელ უკანასკნელი ათი შილინგით დოღზე გვარიანი თანხა მოიგო. ეს ფული მას ინგლისიდან ავსტრალიაში გადასაბარგებლად თავისუფლად ეყო, სადაც გამომცემლობაში მუშაობა დაიწყო. მის კვალს დაადგა შვილიც, კერის მამა სერ ფრენსის პაკერი. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მომავალ იმპერიას.

საგამომცემლო საქმის კარგად ათვისების შემდეგ ფრენსის პაკერმა 1933 წელს ქალთა ჟურნალის Women's Weekle გამოშვება დაიწყო. ამ ყოველკვირეულმა გამოცემამ გაამართლა და მისგან მიღებული შემოსავლით უფროსმა პარკერმა კიდევ რამდენიმე გაზეთი, მათ შორის Sydney's daily Telegraph-ი დააარსა. იგი დღემდე შედის კომპანია Consolidated Press Holdings-ის შემადგენლობაში, რომლის მეშვეობითაც პაკერების ოჯახი ავსტრალიის ერთ-ერთ წამყვან მედია-კონცერნს Publishing & Broadcasting-ს აკონტროლებს. როგორც ამბობენ, სერ ფრენსისი საოცრად მშრომელი და მკაცრი კაცი იყო და კერი და მისი ძმა კლაიდი მამას მხოლოდ მაშინ ხედავდნენ, როცა რაიმეს დააშავებდნენ და ისიც გემრიელად მიასილაქებდა.

5 წლის კერი დახურულ სკოლა-ინტერნატში სასწავლებლად გაგზავნეს, მაგრამ 1 წლის შემდეგ პოლიომიელიტი აღმოუჩინეს და შემდეგი რამდენიმე წელი სხვადასხვა საავადმყოფოში გაატარა. ცხადია, სკოლაში დაბრუნებული კერი თანატოლებს გვარიანად ჩამორჩა. მან სკოლა 19 წლის ასაკში დაამთავრა და ამის შემდეგ სწავლა აღარც გაუგრძელებია.

ბიჭმა მამის ერთ-ერთ გაზეთში მუშაობა დაიწყო, მაგრამ სერ ფრენსისს შვილი უტვინოდ მიაჩნდა და სიცოცხლის ბოლომდე მისთვის სერიოზული საქმე არ ჩაუბარებია. უფროს პაკერს ვერც კლაიდი ახარებდა, რომელიც ბიზნესმენის თვისებებით ნამდვილად ვერ გამოირჩეოდა. მოკლედ, სერ ფრენსისის ორივე მემკვიდრე ახლოსაც ვერ მივიდოდა კიდევ ერთ ახალგაზრდა ავსტრალიელ რუპერტ მერდოკთან, რომელიც ადგილობრივ მედია-ბაზარს იპყრობდა. აღსანიშნავია, რომ მათი მეტოქეობა ბოლო დრომდე გრძელდებოდა და თუ პარკერი მერდოკს მსოფლიო მასშტაბით ჩამორჩებოდა, ავსტრალიაში გვარიან კონკურენციას უწევდა. თანაც, საბოლოოდ კერიმ მერდოკზე არანაკლები ფული იშოვნა.

თუმცა, დავუბრუნდეთ 70-იანებს. მამის ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკური დამოკიდებულება კერის ბიზნესის მემკვიდრეობას ნამდვილად არ უქადდა. მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სერ ფრენსისი კლაიდს მაგრად ეჩხუბა და ცხელ გულზე დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც კომპანიის მთავარი წილი უმცროს შვილს დაუტოვა. პაკერი-უფროსი 1974 წელს გარდაიცვალა და 37 წლის კერი კომპანიას სათავეში ჩაუდგა. მალე კლაიდმა მას თავისი წილიც მიჰყიდა და ამერიკაში გადაბარგდა, სადაც თავისი საქმე წამოიწყო. კერიმ კი, ყველასათვის მოულოდნელად საშური ფხა გამოჩინა და კომპანია, რომელიც იმ დროს 100 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, 90-იანების დასაწყისისათვის 5 მილიარდი დოლარის კაპიტალის მქონე იმპერიად აქცია.

### კრიკეტის ომი

Consolidated Press-ის ხელმძღვანელის რანგში კერი პაკერმა პირველი დიდი გამარჯვება მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი, კრიკეტის ტურნირის ორგანიზატორებთან დაპირისპირებისას იზეიმა. სპორტის ეს სახეობა ავსტრალიაში ძალიან პოპულარულია და მისი ტრანსლაციის უფლება ნებისმიერი არხისათვის უგემრიელესი ლუკმა გახლავთ. 1976 წელს პარკერმა ავსტრალიაში ჩასატარებელი რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის თავის ახლადგახსნილ არხზე Channel Nine-ზე ჩვენების შეძენა 500 მილიონ დოლარად მოინდომა, მაგრამ

უარი უთხრეს. მაშინ განრისხებულმა მაგნატმა მსოფლიოს 50 საუკეთესო მოთამაშესთან კონტრაქტები საიდუმლოდ გააფორმა და საკუთარი ტურნირის - World Series Cricket - ჩატარება გადაწყვიტა.

მაგრამ ყველაფერი გაირკვა და სკანდალი აგორდა, რასაც პაკერთან კავშირში მყოფი მოთამაშეების ავსტრალიის ნაკრებიდან მოკვეთა მოჰყვა. ჰოდა, მწვანე კონტინენტის გუნდიც ყველა შეჯიბრს აგებდა. ამან გულშემატკივართა უზარმაზარი არმიის აღშფოთება გამოიწვია და Australian Cricket Board-ი არჩევანის წინაშე დადგა: ან პაკერისათვის ტრანსლაციის უფლება უნდა მიეყიდა, ან კიდევ საუკეთესო მოთამაშეების გარეშე მარცხი მარცხზე ეწვნია.

ეს მძიმე ბრძოლა 1979 წელს პაკერის გამარჯვებით დასრულდა და მისი კომპანია ტრანსლირების უფლებას დღემდე ფლობს. კრიკეტის მოედანზე პაკერის გამოსვლას რევოლუციური ცვლილებები მოჰყვა: სპორტსმენებმა პროფესიონალური სტატუსი, რომელიც იქამდე არ გააჩნდათ, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს, რამაც კრიკეტის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. გარდა ამისა, პაკერმა პოპულარულად აქცია ერთდღიანი შეჯიბრებები, შემოიღო მატჩების საღამოს, ხელოვნურ განათებაზე ჩატარება, რაც კრიკეტის საუკეთესო საეთერო დროს პირდაპირი ტრანსლირების საშუალებას იძლეოდა.

### დიდი კომბინატორი

პაკერის მეგობრები და მოწინააღმდეგეები ერთნაირად აღნიშნავდნენ ბაზრის კონიუნქტურის შეგრძნების მის საოცარ უნარს. იგი ყოველთვის უტყუარად ხვდებოდა, როდის უნდა გაეყიდა და როდის ეყიდა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი 1987 წელს Channel Nine-ში შემავალი ორი არხის კიდევ ერთი ავსტრალიელი მედიამაგნატის ალან ბონდისათვის 1 მილიარდ დოლარად მიყიდვა გახლავთ. სხვათა შორის, ეს კერის პირველი მილიარდი იყო. ერთი წლის შემდეგ ბონდი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და პაკერმა არხები 250 ათას მილიონ დოლარად უკან გამოისყიდა.

ძალიან საინტერესო გახლდათ 1989 წელს Consolidated Press-ის მიერ საინჟინრო კომპანიის Australian National Industries (ANI) შეძენა, რომელიც ორი წლის შემდეგ პაკერმა ისევ გაყიდა და 180 მილიონიც იხეირა. თავად ANI-მ კი 400 მილიონი დოლარი იზარალა, რადგან "ერთობლივი ცხოვრებისას" პაკერმა მის ბალანსზე თავისი ერთ-ერთი წაგებიანი ფირმა გადაიყვანა.

გარდა ამისა, პაკერის კრიტიკოსები კიდევ ერთ ამბავს იხსენებენ: როცა 90-იანი წლების დასაწყისში ავსტრალიის მთავრობამ Sydney's Casino-ს მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა, აზარტული თამაშების დიდმა მოტრფიალემ თავისი პროექტი წარმოადგინა. პოზიციების გასამყარებლად პაკერმა პარტნიორი, სათამაშო ინდუსტრიის ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი კომპანია Circus Circus-ი ლას ვეგასში იპოვნა. საპატიო და მძლავრი კავშირის დამყარების შემდეგ პაკერმა გამარჯვება ნაადრევად იზეიმა და გამოეპარა მეორე ლას ვეგასური კომპანია Snowboat-ის და ავსტრალიური სამშენებლო ფირმა Leighton Holding-ის ალიანსი, რომელმაც მოიგო კიდეც ტენდერი.

განრისხებულმა პაკერმა და მისმა შვილმა ჯეიმსმა ჯერ ჩინოვნიკებს დაურეკეს და გალანძღეს, შემდეგ კი Snowboat-ის დისკრედიტაციის კამპანია წამოიწყეს. მაგნატმა იმდენი მოახერხა, რომ ამ კომპანიის ხელმძღვანელობის მაფიასთან კავშირის დამადასტურებელი საბუთები მოიპოვა და იმ დროს ოპოზიციური, ლეიბორისტული პარტიის თავკაცთან, ბობ კართან ერთად მოწინააღმდეგეს შეუტია. ამას ამერიკელ სამართალდამცავთა დაინტერესება მოჰყვა, მაგრამ პაკერმა მათ არ აუწყა, თუ როგორ მოახერხა ამ საიდუმლო დოკუმენტების ხელში ჩაგდება. საბოლოოდ იგი კონკურენტებმა დოკუმენტების მოპარვაში დაადანაშაულეს და პაკერმაც მათ და Snowboat-ს სასამართლოში უჩივლა. მართალია, ორივე საქმე წააგო, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა: 1997 წელს სკანდალებით დაღლილმა ამერიკულმა კომპანიამ კაზინოს მშენებლობაზე უარი თქვა და საქმე პაკერს დარჩა. ამის შემდეგ მან თავის საყვარელ სათამაშო ბიზნესს ხელი სერიოზულად მოჰკიდა და ავსტრალიასა და აზიაში კაზინოების ქსელი გახსნა.

ერთადერთი შემთხვევა, როცა პაკერმა თავისი ვერ გაიტანა, ავსტრალიის ანტიმონოპოლიური უწყების მიერ მისთვის გამომცემლობა FairFax-ის შეძენაში ხელის შეშლა იყო. ეს გარიგება რომ განხორციელებულიყო, პაკერი, რომელიც თავის მედიაიმპერიას ახალი გამოცემებით და ტელეარხებით გამუდმებით მეთოდურად ზრდიდა, ადგილობრივი მედიაბაზრის 80 პროცენტს გააკონტროლებდა.

### სიცოცხლით ტკბობა

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უმდიდრესმა ავსტრალიელმა (მერდოკი ამერიკის მოქალაქეა) ბიზნესი თანდათანობით შვილს გადასცა, თავად კი სიცოცხლით ტკბობას შეუდგა. თანაც, ამას მთელი გატაცებით აკეთებდა. როგორც ამბობენ, წელიწადში 200-300 მილიონ დოლარს ხარჯავდა.

პაკერი ცხენებმა გაიტაცა და ჯიშიანი სადოღე ცხოველების შეძენას შეუდგა, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებში იღებდნენ მონაწილეობას. ცხადია, პატრონი მათ თან დაჰყვებოდა, გულმოდგინედ ქომაგობდა და დიდძალ თანხასაც დებდა ფსონად. გარდა ამისა, ერთობ სოლიდურ ასაკში პოლოს თავადაც მშვენივრად თამაშობდა.

კაზინოებსაც გამუდმებით სტუმრობდა. მის საარაკო წაგებებზე უკვე გესაუბრეთ, რაც შეეხება მაქსიმალურ მოგებას, 1995 წელს მან ლას ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში ბლექ ჯეკში 20 მილიონი დოლარი მოიგო. თვითმხილველები ყვებიან, როგორ თამაშობდა იგი ერთდროულად 8 მაგიდაზე და 250-ათასიან ფსონებს აკეთებდა. ხოლო მოგებული, ბავშვივით ხარობდა და თითოეულ კრუპიეს 5000-5000 დოლარი აჩუქა. ამგვარი ცხოვრებისათვის მას ბევრი აკრიტიკებდა, მაგრამ პაკერი სამართლიანად აცხადებდა, რომ "თავისი საქმისა და ფულის თავად იცოდა". როცა მისი ვაჟი ფოტომოდელზე დაქორწინდა, პაკერმა დიდებული წვეულება გამართა და თვით ელტონ ჯონი მიიწვია, რომელსაც წუთში 10 ათასი დოლარი გადაუხადა.

აღსანიშნავია, რომ თან სიკეთის თესვაც არ ავიწყდებოდა. ზემოთ ოფიციანტისათვის უზარმაზარი "ჩაის ფულის" დატოვებაზე გესაუბრეთ. ბარში ყოფნისას მან შემთხვევით გაიგო, რომ იმ ოფიციანტს ბინის კრედიტის დასაფარად 250 ათასი ფუნტი სტერლინგი სჭირდებოდა. როცა პაკერი ბარიდან გავიდა, ოფიციანტს მის მაგიდაზე დანახარჯი და სწორედ ამოდენა თანხაზე გამოწერილი ჩეკი დახვდა.

პაკერმა მშვენივრად იცოდა, რომ მალე "წერილს წაიღებდა" და ცდილობდა, ამქვეყნიური სიამით რაც შეიძლება მეტად დამტკბარიყო. მას ხომ გული ხშირად ღალატობდა, ორჯერ ინფარქტიც გადაიტანა, გადანერგილი თირკმელით ცხოვრობდა და კიბოც ღრღნიდა. ჰოდა, რომ მოკვდა, დიდი ბიზნესმენისა და უცნაური, ექსტრავაგანტული კაცის მოგონებები დატოვა.

## უკრაინამ ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციები გადალახა

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი ერთხმად აცხადებს, რომ 2006 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემების გათვალისწინებით, უკრაინამ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში არსებული ნეგატიური ტენდენციები გადალახა.

ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნულ პერიოდში საერთო შიდა პროდუქტი 5 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 4,1 პროცენტი იყო. განსაკუთრებულად მაღალი ტემპებით ვითარდება მანქანათმშენებლობის წარმოება, რომელიც დღევანდელი მონაცემებით, 12,2 პროცენტამდე ავიდა. სამშენებლო მასალების წარმოება 10,5 %-მდე, კვების მრეწველობა კი 7,7%-მდე გაიზარდა. უკრაინამ მეტალურგიულ, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში მიდინარე სირთულეების გადალახვაც შეძლო, ეს სფეროები სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი დონორები არიან. ყოველთვიური ნომინალური ხელფასი კი 2006 წლის იანვარიდან ივლისამდე 970 გრივენამდე (194 დოლარი) გაიზარდა.

## "გაზპრომ"-სლოვაკეთის მეგობრობა

კომპანია "გაზპრომი" სლოვაკური ნავთობსადენის კომპანია Transpetrol -ში "ძკ ჟ"-ის წილს 105 მილიონ დოლარად შეისყიდის. მართალია, სლოვაკეთის ხელისუფლება, შეიძლება, გარიგების წინააღმდეგ წავიდეს, თუმცა რუსეთის მთავრობა აღნიშნულ პროცესში ჩარევას ნამდვილად არ აპირებს.

UKOS-ის Transpetrol-ის წლის შესყიდვის შესახებ მოლაპარაკება რუსული კონცერნის წარმომადგენლებსა და UKos-ის ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელ სტივენ ტიდს შორის ლონდონში შედგა.

"შემდგარი მოლაპარაკებების შედეგად, კომპანია "გაზპრომის" მიერ transpetrol-ის აქციების 49%-ის 105 მილიონ დოლარად შესყიდვის წინადადება, შეიძლება ითქვას, მიღებულია. თუმცა გარიგების პირობებზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა," - განაცხადა კონცერნის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. მისივე თქმით, გარიგება მას შემდეგ შედგება, რაც სასამართლო UKOS-ის გაკოტრების საქმის მოსმენას დაასრულებს.

კომპანია UKOS-ის წარმომადგენლები კომენტარების გაკეთებისას ჯერ სიფრთხილეს იჩენენ.

"UKOS-ი თავისი ევროპული შვილობილი კომპანიის მიერ 49-პროცენტიანი აქციების Transpetrol-ზე რეალური საბაზრო ღირებულებით მიყიდვის პროცესს დიდი სიფრთხილით ეკიდება. აღნიშნულ გარიგებაში ჩვენ კომპანია "გაზპრომი" 105 მილიონ დოლარს გვთავაზობს," - აცხადებს კომპანია UKOS-ის პრესმდივანი კლერ დევიდსონი.

ეს მართლაც რეალური საბაზრო ღირებულებაა. 2006 წლის თებერვალში UKOS-ის წარმომადგენლების ინფორმაციით, კომპანია Transpetrol-ში თავის წილს კომპანია "RusNeft"-ს სთავაზობდა. გარიგების თანხა 103 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაშინ, სლოვაკეთის ხელისუფლება თავად იყო კომპანიის წილის შესყიდვით დაინტერესებული, რის გამოც გარიგება არ შედგა.

გამორიცხული არ არის, რომ იგივე ბედი ელის კომპანია "გაზპრომსაც".

სლოვაკეთის ხელისუფლება UKOS-ის წილის საბოლოოდ გაყიდვის საკითხზე გადაჭრილად ჯერ ვერ საუბრობს. "UKoS-ი გარიგების დეტალებს ხელისუფლებასთან ათანხმებს. მანამ, სანამ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, გარიგების წარმატებაზე საუბარი ნაადრევია. სლოვაკეთის ხელისუფლებას სრული უფლება აქვს, UKOS-ის წილის გაყიდვას 2007 წლამდე ვეტო დაადოს," - აცხადებენ კომპანიაში.

## Ferrari, რომელიც 3 მილიონი დოლარი ეღირება



ამერიკელმა რეჟისორმა ჯეიმს გლიკენჰაუსმა იტალიურ სახელოსნო Pininfirina-ს ოსტატებს სრულიად ახალი ექსკლუზიური ავტომობილის შექმნა სთხოვა. რეჟისორის მოთხოვნის შესაბამისად, ახალ ავტომობილს Ferrari Enzo-ს პლატფორმაზე შექმნიან და ის 660 ცხენის ძალის მქონე V12 ძრავაზე იმუშავებს.

კომპანიამ რეჟისორის სურვილი შეასრულა, რის შედეგადაც სულ ახლახან ახალი, ექსკლუზიური Ferrari P4\5-ი გამოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სუპერქარი არც ერთ ავტომობილს არ ჰგავს. უნდა აღინიშნოს, ჯეიმს გლიკენჰაუსის ავტომობილით თვით კომპანია Ferrari-ის კრიტიკოსებიც კი აღფრთოვანდნენ. ისინი აცხადებენ, რომ სახელოსნო Pininfarina-ს ოსტატებმა ნამდვილად უნიკალური ავტომობილი შექმნეს.

რეჟისორმა თავისი ოცნების მანქანაში 3 მილიონი დოლარი გადაიხადა. რეჟისორი ასეთი ძვირი ავტომობილის შეძენას არ ნანობს და აცხადებს, რომ ცხოვრებით ტკბობისთვის 3 მილიონი არაფერია.

## ევროკავშირის ონლაინ-ბაზარი 1,5-ჯერ გაიზარდა

დიდი ბრიტანეთის ონლაინ-ბაზარი ევროპაში ყველაზე დიდია, მან თავისი მოცულობით გერმანიასაც კი გაუსწრო, რომელსაც მსოფლიოში მეორე ადგილი ეჭირა.

ბრიტანელებმა გასულ წელს ინტერნეტის მეშვეობით 9,79 მილიარდი ევროს ღირებულების შენაძენები გააკეთეს, მაშინ, როცა გერმანიის მოსახლეობამ ამავე პერიოდში ინტერნეტ-მაღაზიებში 9,71 მილიარდი გადაიხადეს.

ონლაინ-ბაზრის მომხმარებელთა შორის მესამე ადგილზე ევროპის კონტინენტიდან საფრანგეთი გავიდა. საფრანგეთის მოქალაქეებმა გლობალურ ქსელში 6,5 მილიარდი დახარჯეს.

ევროკავშირის ბიუჯეტში ინტერნეტით განხორციელებული ვაჭრობიდან 40,2 მილიარდი ევრო შევიდა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 51 პროცენტით მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთზე, გერმანიაზე და დიდ ბრიტანეთზე საერთო ინტერნეტ-ვაჭრობის ორი მესამედი მოდის.

ექსპერტები აცხადებენ, რომ 2010 წლისთვის ინტერნეტ-ვაჭრობა ევროკავშირს 115 მილიარდ ევროს მოუტანს.

# ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერა კერძო სექტორის განვითარებისათვის

*ნიდერლანდების სამეფო საქართველოში კერძო სექტორის მხარდაჭერის ინიციატივით გამოდის. გუშინ ფინანსთა სამინისტროში საქართველოსა და ჰოლანდიის მთავრობებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების ორწლიანი მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ონო ელდერენბოსმა*

ურთიერთგაგების მემორანდუმი "განვითარებად ბაზრებთან თანამშრომლობის" (PSOM) და "პარტნიორები წყლის სფეროში" (PFW) პროგრამებთან საქართველოს თანამშრომლობის გააქტიურებას ითვალისწინებს.

## პროგრამათა მიზნები:

PSOM-ის პროგრამის მიზანია, საქართველოსა და ნიდერლანდების ბიზნესსექტორს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მეშვეობით, ხელი შეუწყოს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას. წარდგენილ პროექტებს შორის უპირატესობა მიენიჭება იმ პროგრამებსა და ბიზნეს-წინადადებებს, რომელთა მეშვეობითაც დასაქმდება მოსახლეობა, განვითარდება მცირე და საშუალო საწარმოები, ხელი შეეწყობა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას.

PFW-ის მიზნად ისახავს წყლის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას, მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ასევე ამ სექტორში ჰოლანდიის გამოცდილების გაზიარებას. პროექტებს განახორციელებენ ის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე, კერძო კომპანიები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ძლიერ ბიზნეს-წინადადებებს წარადგენენ და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფენ.

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, დაფინანსდება ის ჰოლანდიურ-ქართული პროექტები, რომლებიც კერძო სექტორის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. მინისტრის განცხადებით, აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციებისა და ახალი პარტნიორების მოძიებას, აგრეთვე, ახალ ბაზრებზე გასვლას.

## პროექტების მონიტორინგი:

საქართველოს მთავრობის სახელით, პროგრამას ფინანსთა სამინისტრო, ხოლო ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მხრიდან, ჰოლანდიის სამთავრობო სააგენტო (EVD) განახორციელებენ. ამავე დროს, ყოველ ექვს თვეში მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშს (EVD) ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს. წელიწადში ერთხელ მხარეები პროგრამების მიმდინარეობას სპეციალურ შეხვედრაზე შეაჯამებენ.

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის "აღმოცენებად ბაზრებთან თანამშრომლობის" პირველი ორწლიანი პროგრამა საქართველოში 2004 წლის 30 ივლისს გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ორი პროექტი მიმდინარეობს.

ამ დოკუმენტის ხელმოწერას რამდენიმე წლით ადრე წინ უსწრებდა ორ ქვეყანას შორის "ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმება, რომელიც მხარეებმა 1999 წლის 23 ივნისს გააფორმეს.

*24 საათი*




## ამინდი

| | 28/07 | 29/07 | 30/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 27 | 25 | 30 |
| რიგა | 23 | 25 | 27 |
| ვილნიუსი | 23 | 28 | 28 |
| მოსკოვი | 13 | 18 | 22 |
| მინსკი | 25 | 28 | 30 |
| პარიზი | 28 | 30 | 25 |
| რომი | 33 | 33 | 33 |
| ლონდონი | 30 | 28 | 26 |
| მადრიდი | 32 | 35 | 35 |
| ბონი | 32 | 25 | 27 |
| ვარშავა | 32 | 32 | 39 |
| ათენა | 32 | 34 | 36 |
| ბერნი | 28 | 28 | 29 |
| ამსტერდამი | 27 | 26 | 22 |
| ოსლო | 27 | 25 | 23 |
| ანკარა | 33 | 31 | 31 |
| ვარნა | 37 | 35 | 34 |
| დელი | 45 | 42 | 47 |
| ტოკიო | 34 | 30 | 32 |
| კოპენჰაგენი | 26 | 28 | 26 |
| ბაქო | 33 | 31 | 27 |
| ერევანი | 38 | 35 | 34 |
| ასტანა | 23 | 22 | 21 |
| ჰელსინკი | 20 | 21 | 22 |
| დუბლინი | 20 | 16 | 16 |
| ლისაბონი | 25 | 26 | 28 |
| პრაღა | 32 | 30 | 28 |
| სოფია | 29 | 30 | 29 |
| ბუდაპეშტი | 37 | 37 | 36 |
| ბუხარესტი | 38 | 39 | 40 |

# ქალბატონი, რომელმაც ცოდნა ბიზნესში გამოიყენა

პირველი გვერდიდან


*მარიამ ბიბილაშვილი.*

## როგორ გაჩნდა სილამაზის სალონის გაკეთების სურვილი

ქალბატონმა მარიამმა გორში სკოლა დაამთავრა და მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტში დერმატო-ვენეროლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა. სწორედ იქ გადაწყვიტა, რომ მისი საქმე ადამიანის ჯანმრთელობასა და გარეგნულ სილამაზეზე ზრუნვა გახდებოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შემთხვევით, ისეთი ქალბატონების გარემოცვაში მოხვდა, რომლებიც პრობლემური სახის კანის მკურნალობის მეთოდებს პროფესიონალურად ფლობდნენ. შეეძლოთ, ახალგაზრდა სახისთვის ნორჩი მომხიბვლელობა წლების მანძილზე შეენარჩუნებინათ.

თავისთავად ცხადია, ახალგაზრდა, პერსპექტიული ქალბატონი, რომელიც პროფესიით დერმატოვენეროლოგი გახლდათ, სახის მოვლის საიდუმლოებებმა დააინტერესა. მისი მიზანი სამკურნალო კოსმეტოლოგიის ყველა საიდუმლოს ამოხსნა და შესწავლა გახდა.

მარიამმა თერაპიული კოსმეტიკის სასწავლებლის ერთწლიანი სრული კურსი გაიარა. მერე იყო სამსახურიც. მოსკოვში ყოფნისას, რამდენიმე სერიოზული სერტიფიკატის და სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის გარდა, პრაქტიკული გამოცდილებაც დააგროვა.

სწორედ ამ ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გაჩნდა საკუთარი, სილამაზის სალონის გაკეთების სურვილი.

## "ვიპ" სალონი სამი წლისაა

ჩვენი ამბის გმირი და მისი ოჯახი გორში 2003 წელს დაბრუნდა.

წლების შემდგომ, საქართველოში დაბრუნებულ ოჯახს საარსებოდ ფინანსური საკითხი ჰქონდა მოსაგვარებელი. მარიამმა მეუღლეს გაუმხილა, რომ სილამაზის სალონის გაკეთება უნდოდა და სთხოვა, დაეფინანსებინა.

მეუღლის თანადგომით მოსკოვიდან ჩამოიტანა ძვირადღირებული აპარატურა და გაარემონტა ხუთსართულიანი ბინის პირველ სართულზე დაქირავებული ფართი.

გორში სილამაზის სალონი "ვიპ"-ი გაიხსნა. დაიწყო საპარიკმახერო განყოფილებით, სადაც თმის მოვლის დიდი სპექტრი იყო წარმოდგენილი. ამას მოჰყვა სხეულის კოსმეტოლოგიური მოვლის და მასაჟის, მანიკიურის და პედიკიურის კაბინეტები.

სხეულის კოსმეტოლოგიური მოვლის კაბინეტში მარიამმა თავად დაიწყო ხალხის მკურნალობა, ხოლო დანარჩენი სხვა სამუშაოსთვის ათი გამოცდილი ადამიანი დაასაქმა.

"ჩვენთან მოსული კლიენტი სხვაგან აღარ მიდის. ალბათ, იმიტომ, რომ კმაყოფილია. სალონს გორში მცხოვრები გავლენიანი ადამიანების ცოლები და გემოვნებიანი ქალბატონები და ბატონები სტუმრობენ. უკვე ჩვენი კლიენტი გვყავს," - აცხადებს ბიზნესმენი ქალბატონი.

## ბიზნესი - სტაბილური შემოსავალი

მიუხედავად იმისა, რომ სალონი "ვიპ"-ი ცნობილი და პრესტიჟულია, ერთი დღის განმავლობაში შემოსავალი საშუალოდ 50-100 ლარი აქვს, ამ ბიზნესში კი მთლიანად 70 ათასი დოლარი ჩაიდო.

მფლობელის განცხადებით, ""ვიპ"-ი დიდი შემოსავლით ვერ დაიკვეხნის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გორი პატარა ქალაქია, მეორეც - აქ ხალხის მხოლოდ მცირე მაწილია დასაქმებული და, შესაბამისად, ძნელია, მცირებიუჯეტიანი ოჯახების დიასახლისებმა თავიანთ გარეგნობაზე აქტიურად (როგორც საჭიროა) ზრუნვა შეძლონ.

ჩვენი საქმე იმას ჰგავს, ბინას რომ ყიდულობენ და მერე ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი აქვთ გაქირავების წყალობით. ამის მიუხედავად, ჩემი ბიზნესიდან შემოსავლის გაზრდას ველოდები. ჩემი ოპტიმიზმი უსაფუძვლო არ არის."

## არც მაღაზია იქნებოდა ურიგო

ქალბატონი მარიამი უახლოეს მომავალში სილამაზის სალონში კიდევ ერთი განყოფილების დამატებას აპირებს. ეს იქნება ნებისმიერი კანისათვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის მაღაზია, სადაც პრესტიჟული ფირმების პროდუქციას გაყიდის. ამასთან, მომხმარებელს დაბალფასიან და ხარისხიან ბიჟუტერიას შესთავაზებს. მსურველს სადღესასწაულო მორთულობების დაქირავებაც შეეძლება.

მარიამ ბიბილაშვილი ორი დღის წინ მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც მან ორ რუსულ და ერთ შვეიცარიულ კოსმეტიკურ ფირმასთან კონტრაქტები გააფორმა.

ახალგაზრდა ბიზნესმენ ქალბატონს მიაჩნია, რომ თუ ხალხი დასაქმდება და ქალაქში უმუშევრობის პრობლემა მოიხსნება, მის სალონს გაცილებით მეტი შემოსავალი ექნება და ბიზნესის გაფართოებას აუცილებლად შეძლებს.

# "ეარბასი" პროექტ A350-ს ცვლის

მერაბ ლორთქიფანიძე



ლონდონში გახსნილ, წლის უდიდეს, ფარნბოროს ავიაშოუზე, კრიზისში მყოფმა ევროპულმა ავიაამშენებელმა გიგანტმა "ეარბასმა" გამოაცხადა, რომ რადიკალურად შეცვალა პროექტი A350. განახლებული პროექტი ითვალისწინებს სრულიად ახალ, A350-ის ფიუზელაჟის ბაზაზე სამი ახალი ლაინერის წარმოებას. პროექტის სავარაუდო ღირებულება 10 მილიარდ ევროდაა შეფასებული.

"ეარბასმა", რომელსაც ახალი ლაინერების გაყიდვების მხრივ, წელს აშკარად სჯობს ამერიკელი კონკურენტი "ბოინგი", გამოაცხადა, რომ პროექტის რადიკალურად შეცვლა მოჰყვა ლაინერის პოტენციური მყიდველებისგან მიღებულ შენიშვნებს. არადა, თავიდან ევროპულ კომპანიას ახალი A350-ის წარმოებისთვის ძველი ფიუზელაჟის გამოყენება ჰქონდა გადაწყვეტილი.

"ეარბასის" გაყიდვების განყოფილების აღმასრულებელ ჯონ ლიჰის თქმით, ახალ ლაინერში ყველაფერი (თითქმის ყველაფერი) ახალი იქნება. კომპანიას უკვე შემუშავებული აქვს A350-ის კონსტრუქცია, ამასთან, ახალ ლაინერს სახელიც შეეცვალა - ამიერიდან ის იწოდება A350 XWB (ექსტრა უაიდ ბოდი - გაგანიერებული სხეული, ანუ ფიუზელაჟი).

A350 XWB სამი ვერსიის სახით დამზადდება. ესენია A350-800, A350-900 და A350-1000. ეს ლაინერი მოწოდებულია, კონკურენცია გაუწიოს ბოინგის ორ პოპულარულ მოდელს - 777-ს, რომელიც ამჟამად იწარმოება და 787-ს, რომლის გაყიდვებიც 2008 წელს დაიწყება. "ეარბასი" ვარაუდობს, რომ A350 XWB-ს გაყიდვებს 2012 წელს დაიწყებს. ახალი ლაინერი დაახლოებით სამი დუიმით (7.5 სმ) განიერი იქნება კონკურენტ "ბოინგ 787-ზე" და დაახლოებით 13 დუიმით ვიწრო მეორე კონკურენტ "ბოინგ 777-ზე".

ფარნბოროშივე, "ეარბასის" განცხადების შემდეგ, ავიალაინერების უდიდესმა სალიზინგო კომპანია "ინტერნეიშნლ ლიზ ფაინანს კორპორეიშნმა" გამოაცხადა, რომ ძალაში დატოვებს თავის ადრინდელ შეკვეთას, რომლითაც 16 ცალი A350-ის ყიდვა აქვს ნაკისრი.

უნდა ითქვას, რომ "ეარბასმა" A350-ის პროექტი პირველად ორი წლის წინ გამოაქვეყნა, მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა სწორი კონცეფციის არჩევა, რომლითაც საკადრის კონკურენციას გაუწევდა "ბოინგის" შესაბამის ლაინერებს. ამას კი ახლახან დაერთო გიგანტ A380-თან დაკავშირებული პრობლემები, რამაც ევროპული კომპანია მძიმე კრიზისში ჩააგდო.

"ეარბასის" მთავარი აღმასრულებელი ქრისტიან შტრაიფი ამბობს, რომ A350-ის განახლებული პროექტის ინდუსტრიული ვარიანტის წარმოსადგენად სამი თვე დასჭირდება.

ჯონ ლიჰი ამბობს, რომ "ეარბასს" თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა, A350-ის წარმოებისთვის გამოეყენებინა ძველი ფიუზელაჟი, რომელზეც ბაზირებულია კომპანიის ორი ლაინერი - ორძრავიანი A330 და ოთხძრავიანი A340. ორივე თვითმფრინავი 30 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი ღირს. აპრობირებული ფიუზელაჟის ახალი ლაინერისთვის გამოყენებით ევროპული კომპანია თანხების დაზოგვას იმედოვნებდა, თუმცა, როგორც ბაზარი კარნახობს, ეს ნაბიჯი არასწორი და, საერთო ჯამში, წამგებიანი იქნებოდა.

საწვავის ფასების გაზრდამ "ეარბასის" პროდუქციის გაყიდვებზეც უარყოფითად იმოქმედა, წამყვანი ავიაგადამყვანები ბოლო ხანებში სულ უფრო მეტად აკეთებენ აქცენტს "ბოინგ 777-ზე", რომელიც ექსპლუატაციის შედარებით მცირე ხარჯებითა და ფრენების ეკონომიურობით გამოირჩევა. შედეგად, ამ ლაინერმა გაყიდვების მხრივ "ეარბას A340-ს", 10:1 პროპორციით აჯობა. თუმცა, ლიჰი იხტიბარს არ იტეხს და ირწმუნება, რომ A340-ს ბაზარი მომდევნო ათი წლის განმავლობაშიც უზრუნველყოფილი აქვს.

წინასწარი ვარაუდით, ახალი A350-ს საბაზო ვარიანტი ბაზარზე 2012 წელს გამოჩნდება, მომდევნო მოდიფიკაციების გამოშვება კი 2015 წლამდე მოხდება. ამასთან, ლიჰი ირწმუნება, რომ A350 უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე სანახევროდ კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული "ბოინგ 787".

სხვათა შორის, უკვე ხუთი წელია, რაც "ეარბასი" გაყიდვებში "ბოინგს" სჯობს, თუმცა წელს ამერიკულმა კომპანიამ უკვე 360 ლაინერით მეტის გაყიდვა მოასწრო. ამ უპირატესობას, ალბათ, უფრო გაამყარებს ჩიკაგოში ბაზირებული კომპანიის მიერ ფარნბოროში გაფორმებული ახალი კონტრაქტები, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი მან ინდონეზიურ კომპანია "ლაიონ ეართან" გააფორმა. ამ კონტრაქტის მიხედვით, ინდონეზიური კომპანია 30 ცალ "ბოინგ 737-900-ში" 2.2 მილიარდ დოლარს გადაიხდის.

ლიჰის თქმით, A350-ის კლასის ლაინერების მსოფლიო ბაზარი დაახლოებით 6 000 ცალი თვითმფრინავის ტოლფასია. ის დარწმუნებულია, რომ როცა A350 ბაზარზე გამოჩნდება, "ეარბასი" და "ბოინგი" ამ მოცულობას თანაბრად გაიყოფენ. მანამდე კი ამერიკულ კომპანიას დიდი უპირატესობა ექნება.

## ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებით საქართველოში 220 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა

უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების ("ვესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი", "კავკასუს ექსპრესი" და სხვ.) საშუალებით იანვარ-ივნისში დაახლოებით 220 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, დაახლოებით 65 მლნ აშშ დოლარით (დაახლოებით 42%-ით) აღემატება, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ). სებ-ის ცნობით, რაც შეეხება ფულადი გზავნილების სტრუქტურას, 2006 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი - დაახლოებით 147,3 მლნ აშშ დოლარი (67,4%), რუსეთის ფედერაციიდანაა, დაახლოებით 20,8 მლნ აშშ დოლარი (9,5%) ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დაახლოებით 7,1 მლნ აშშ დოლარი (3,2%) საბერძნეთიდან გადმოირიცხა. საანალიზო პერიოდში ასევე გაიზარდა საქართველოდან განხორციელებული სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობაც. 2006 წლის იანვარ-ივნისში ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში გადარიცხულია დაახლოებით 65,8 მლნ აშშ დოლარი, რაც 33,4 მლნ აშშ დოლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხებიდან ყველაზე მეტი - დაახლოებით 41,5 მლნ აშშ დოლარი (63,1%), ტრადიციისამებრ, რუსეთზე მოდის, შემდეგ - უკრაინაზე, დაახლოებით 5,1 მლნ აშშ დოლარი (7,8%) და აშშ-ზე - დაახლოებით 2,7 მლნ აშშ დოლარი (4,1%). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოში აზერბაიჯანიდან მისაღები გაზის მოცულობა აგვისტოში გაირკვევა

საქართველოსთვის ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან დამატებითი გაზის მიწოდების მოცულობა აგვისტოში გაირკვევა, - განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჩაქვში ჟურნალისტებთან საუბარში. მისი თქმით, 16-18 აგვისტოს საქართველოში აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის არტურ რასი-ზადეს ვიზიტი იგეგმება, რომლის მსვლელობისას აღნიშნული საკითხის დაზუსტება მოხდება. გილაურის განმარტებით, საქართველო, არსებული შეთანხმების თანახმად, 2007 წელს 250 მილიონ მ3 გაზს მიიღებს, მოლაპარაკებების შედეგად კი, ამ მოცულობის მაქსიმუმ 1,5 მლრდ მ3-მდე გაზრდა უნდა მოხდეს, რაც საქართველოს საერთო მოხმარების 60-70%-ს შეადგენს. პრაიმ-ნიუს ბიზნესის კითხვაზე პასუხისას გილაურმა აღნიშნა, რომ ფორსმაჟორული სიტუაციის დროს შესაძლებელია საქართველოს გაზის საერთო მოხმარების დაკმაყოფილება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ხარჯზე, რაც 2006 წლის იანვრის ენერგოკრიზისის განმეორებას გამორიცხავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი სს "გარადაგ-ცემენტის" აქციების 20%-ს შეისყიდის

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დირექტორთა საბჭომ 25 ივლისს გამართულ სხდომაზე 10 მლნ აშშ დოლარად აზერბაიჯანის სს "გარადაგ ცემენტის" აქციების 20%-ის შესყიდვის წინადადება მოიწონა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდი" იტყობინება. პროექტის საერთო ღირებულება 13,3 მლნ აშშ დოლარადაა შეფასებული. ყველა ღონისძიება და ინვესტიცია ჩართულია გარემოს გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში, რაც ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ამ პროექტში მონაწილეობის მთავარი პირობაა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აქციების წილს შვეიცარული კომპანია Holcim-ის პაკეტიდან შეისყიდის, რომელმაც "გარადაგ-ცემენტის" პრივატიზირება 1999 წელს განახორციელა. კომპანიის განკარგულებაში აქციების 89,4%-ია, ხოლო დანარჩენი წვრილ აქციონერს ეკუთვნის. ევრობანკი აქციონერთა შემადგენლობაში შესვლას საშუალოვადიანი პერსპექტივით - 5-7 წლით გეგმავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## იტალიას ახალი ჩემპიონი ჰყავს



C2

## დი სტეფანო მემკვიდრეს თავად წარადგენს



C3

## ფრაკიან ლაქიებს ჩვენი მესაზღვრეები გვერჩივნოს



C4

## ბრიტანეთი მშრალზე დარჩა



წყალბურთელთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე B ჯგუფში რუმინეთთან 6:13, საფრანგეთთან 11:20, უნგრეთთან 5:20 და შემდგომ უკვე G ჯგუფში სლოვენიელებთან 8:11 განცდილი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, გამარჯვების ჯერიც დადგა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩემპიონატის ბოლო მატჩი მოუგო დიდი ბრიტანეთის ნაკრებს, რომელსაც, ისე როგორც ჩვენებს, არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. ერთი სიტყვით, წინასწარვე ცხადი იყო, რომ ორივე გუნდი ჩემპიონატზე კარის გაჯახუნებას შეეცდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებისა და ბრიტანელების დაპირისპირება დაძაბული იქნებოდა. ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ ბრიტანელებს ოთხი პერიოდის ჯამში ([1-1] [3-2] [3-4] [3-0]) 10:7 მოვუგეთ.

## ჩაგდებული დოპინგ-ტესტი

ოთხშაბათს ველორბოლის საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა, რომ ტურ დე ფრანსის შემდეგ ერთ-ერთმა სპორტსმენმა დოპინგ- ტესტი ჩააგდო. განმეორებითი ტესტის ჩატარებამდე ველორბოლის საერთაშორისო ფედერაცია საიდუმლოდ შეინახავს ამ სპორტსმენის ვინაობას. ისიც კი არ გამჟღავნდება, თუ რომელ გუნდში ასპარეზობდა იგი და რომელი ქვეყნის წარმომადგენელია.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ტურის დაწყებამდე ველოსპორტის სამყარო ხმაურიანი სკანდალის მოწმე გახდა - იან ულრიხსა და ივან ბასოს ტურზე მონაწილეობის ნება არ დართეს.

გუშინ ველოსპორტის სამყაროს მორიგი შოკისმომგვრელი ამბავი მოედო: გუნდ "პონაკის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ აქამდე საიდუმლოდ შენახული ველომრბოლი წლევანდელი ტურის გამარჯვებული ფლოიდ ლენდისია.

ერთი სიტყვით, თუ განმეორებითი ტესტის დროს დადასტურდა, რომ ლენდისმა დოპინგი მიიღო, გამორიცხული არ არის, ტურის გამარჯვებულის ტიტული ჩამოართვან და დისკვალიფიკაციაც მისცენ. შეგახსენებთ, რომ ლენდისმა წლევანდელი ტური დრამატულ ბრძოლაში მოიგო. ფინიშამდე ოთხი ეტაპით ადრე ლენდისმა სამთო ეტაპი ჩააგდო. ამერიკელი ველომრბოლი ფაქტობრივად ტრასაზე გაჩერდა და ლიდერებთან ათ წუთზე მეტი წააგო. ამის შემდეგ ველარავინ იფიქრებდა, რომ ლენდისი გამარჯვებისთვის იბრძოლებდა, მაგრამ ჩაგდებული ეტაპის მეორე დღეს ფლოიდ ლენდისი თითქოს ხელმეორედ დაიბადა. მან მე-17 ეტაპზე სასწაული მოახდინა და ათწუთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, ინდივიდუალურ რბოლაში კი მეტოქეები საერთოდ უშანსოდ დატოვა.

## შუმის მესამე რბოლა

ამ უქმეებზე გერმანიაში ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი გაიმართება. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ამ რბოლას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. თუ მიხაელ შუმახერმა ზედიზედ მოიგო მესამე ეტაპი და კვლავ აჯობა ფერნანდო ალონსოს, ბრძოლა უკიდურესად დაიძაბება.

მიხაელს სჯერა, რომ ამჯერად მას საკუთარი კედლებიც დაეხმარება: "საშინაო რბოლა მოტივიციას აორმაგებს. დიდია ფსიქოლოგიური ეფექტიც. აქ ყოველთვის ვგრძნობ გულშემატკივართა უდიდეს მხარდაჭერას. ჰოკენჰაიმში ორი მოგებული რბოლის შემდეგ გამოვალ და, ცხადია, იმედი მაქვს, რომ გერმანიაში ზედიზედ მესამე ეტაპს მოვიგებ".

## "უილიამსი" "ტოიოტასთან" გაერთიანდა

ფორმულა 1-ის გუნდმა "უილიამსმა" გააფორმა ხელშეკრულება კონცერნ "ტოიოტასთან". ამიერიდან "უილიამსის" ბოლიდებს ძრავით სწორედ ეს კონცერნი მოამარაგებს.

სამწლიანი კონტრაქტის თანახმად, "უილიამსი" "ტოიოტას" ძრავის გამოყენებას მომავალ სეზონში დაიწყებს. "ეს შეთანხმება "უილიამსის" სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო. "ტოიოტას" ძრავები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებაში დაგვეხმარება", - აცხადებს ფრენკ უილიამსი.

## ჰაკა დაიწუნეს

ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯონ კონოლიმ ახალზელანდიელთა ახალი ჰაკა დაიწუნა. კონოლის თქმით, "ოლ ბლექსის" ახალი ჰაკა არაეთიკურ ჟესტებს შეიცავს.

"ჩვენ ახალგაზრდა მორაგბეებისთვის სამაგალითოები უნდა ვიყოთ, ზელანდიელთა ახალ ჰაკაში კი მორაგბეები მეტოქეს ენას უყოფენ. რა უნდა ვასწავლოთ ამით ახალგაზრდებს"? - კითხულობს კონოლი.

# ორი გამარჯვება განსხვავებული შედეგით

### "ამერი" წინ მიიწევს



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*წინამძღვრიშვილმა "ამერი" უეფაზე დატოვა.*

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "ამერმა" მცირე საფეხბურთო სასწაული მოახდინა. საქართველოს თასის მფლობელს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდა ერევნის "ბანანცთან" 0:1. ასეთი შედეგის შემდეგ ბევრმა "ამერი" წინდაწინ "ჩამოწერა" და განწირულად ჩათვალა. პესიმისტთა შორის პირადად მეც ვიყავი და იმ შეხვედრის შემდეგ კრიტიკაც არ დამიშურებია "ამერის" მისამართით. მიხარია, რომ შევცდი. "ამერმა" მართლაც მართლაც ვაჟკაცური შემართება, გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინა და რაც საკუთარ კედლებში ვერ შეძლო, სტუმრად გააკეთა - "ბანანცი" დაამარცხა საჭირო ანგარიშით და შემდეგ ეტაპზე გააღწია.

**უეფას თასი, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი, განმეორებითი მატჩი**

**ერევანი, რესპუბლიკური სტადიონი, 3 ათასი გულშემატკივარი**

**"ბანანცი" (ერევანი) - "ამერი" (თბილისი) 1:2 (1:0)**

**პირველი შეხვედრა 1:0**

**ბანანცი: რადაჩა, სიმონიანი, ჩერევკო, გრიგორიანი, ხიზიხიანი (მურადიანი, 76`), მელქონიანი, ჯენებიანი, არაველიანი, სარქისიანი (ოსეიანი 85`), აკოფიანი, თადევოსიანი. მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი კისილიოვი**

**ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი (გაბისკირია 81`), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დოლიძე (მჭედლიშვილი 73`), დავითაშვილი (ტატანაშვილი, 73`), წინამძღვრიშვილი. მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე.**

**გოლები: 1:0 თადევოსიანი 39`, 1:1 წინამძღვრიშვილი 60`, 1:2 დობროვოლსკი 62`.**

**გაფრთხილება: ჯენებიანი, დავითნიძე.**

**გაძევება: არაველიანი 90`**

პირველი ტაიმი კარგს არაფერს უქადდა ჩვენს გუნდს. თამაში დაბალ ტემპში წარიმართა. ბურთი ძირითადად შუა მოედანზე დაგორავდა. შესაბამისად, არც ერთ, არც მეორე კართან სახიფათო მომენტები თითქმის არ იქმნებოდა. პრინციპში, პირველი მატჩის შემდეგ მინიმალური უპირატესობა საკმაოდ მყიფე იყო, რაც კარგად ესმოდა ორივე გუნდის მოთამაშეებს. სიტუაციიდან გამომდინარე, "ამერი" უფრო ცდილობდა შეტევების წარმართვას, ხოლო მასპინძლები საკუთარ საჯარიმოსთან იყვნენ გამაგრებულები და იმედებს კონტრიერიშებზე ამყარებდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## 4 სექტემბერი ტაიკვანდოს დღეა

25 ივლისს ვიეტნამში გაიმართა მსოფლიოს ტაიკვანდოს ფედერაციის რიგგარეშე საერთაშორისო გენერალური ასამბლეა, რომელზეც გადაწყდა, რომ 4 სექტემბერი მსოფლიოში ტაიკვანდოს დღედ გამოცხადდება.

"ამ დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიმართება ტურნირები ტაიკვანდოში, იქნება საჩვენებელი გამოსვლები და არაერთი საინტერესო ღონისძიება", - აცხადებს ფედერაციის წარმომადგენელი.

## ჰიუიტი არგენტინელებს უფრთხის

დევისის თასის გათამაშების მორიგ ტურში არგენტინის ნაკრებმა ავსტრალიელებს უნდა უმასპინძლოს. ავსტრალიელთა ლიდერი ლეიტონ ჰიუიტი შესაძლოა არგენტინაში არ ჩავიდეს. ამის მიზეზი მისი უსაფრთხოებაა. საქმე ისაა, რომ არგენტინაში ლეიტონს არ სწყალობენ, რადგან მას არაერთი არგენტინელი ჩოგბურთელი გაუმწარებია. ჰიუიტს მიაჩნია, რომ არგენტინაში ჩასვლის შემთხვევაში მისი პირადი უსაფრთხოება გარანტირებული არ იქნება.

"სტუმარი გუნდისთვის ვითარება ყოველთვის მძიმეა. ახლა კი მიმაჩნია, რომ ჩემი უსაფრთხოება გარანტირებული არ იქნება. ამას წინათ ნალბანდიანმა ისიც კი თქვა, რომ ჩემი განადგურება სურს. მშვენივრად მესმის, რომ ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ იყო ნათქვამი, მაგრამ გულშემატკივრებმა შესაძლოა სხვაგვარად იფიქრონ. მე ოჯახი მყავს და გარისკვას არ ვაპირებ. არგენტინაში არ ჩავალ, თუ უსაფრთხოების სრულ გარანტიებს არ მომცემენ", - აცხადებს ჰიუიტი.

## ბოლნისის "სიონი" განთესილთა შორის აღმოჩნდა

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისა და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა. მართალია, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები ჯერ არ გამართულა, მაგრამ წილისყრისთვის ეს პრობლემა არ არის. მეტიც: უეფამ უკვე მოახდინა გუნდების განთესვა.

მართალია, სოფიაში წაგებული თამაშის შემდეგ ბოლნისის "სიონის" მომდევნო ეტაპზე გასვლა საეჭვო გახდა, მაგრამ თუ საქართველოს ჩემპიონი მცირე საოცრებას მოახდენს და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს, ის განთესილთა შორის იქნება და ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსიც კი უჩნდება, რადგან მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გრანდებთან თამაში არ უწევს. განთესილი გუნდების ცხრილი ასე გამოიყურება.

### ჩემპიონთა ლიგა, განთესვა

| განთესილები | განუთესავები |
|---|---|
| მილანი (იტალია) | ფენერბახჩე (თურქეთი) / ტორსჰვანი (ფარერები) |
| ლივერპული (ინგლისი) | აუსტრია (ავსტრია) |
| არსენალი (ინგლისი) | ოსასუნა (ესპანეთი) |
| ვალენსია (ესპანეთი) | კიევო (იტალია) |
| აიაქსი (ჰოლანდია) | შერიფი (მოლდოვა) სპარტაკი (რუსეთი) |
| ლილი (საფრანგეთი) | ეკრანასი (ლიტვა) / დინამო (ხორვატია) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | კორკ სიტი (ირლანდია) ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |
| ნოვო გორიცა (სლოვენია) / სტიაუა (რუმინეთი) | ჰართსი (შოტლანდია) / შიროკი ბრეგი (ბოსნია) |
| ცსკა (რუსეთი) | მაკაბი (ისრაელი) |
| აეკი (საბერძნეთი) | სტანდარდი (ბელგია)) |
| მეტალურგსი (ლატვია) / დინამო (უკრაინა) | კოპენჰაგენი (დანია) / მულკოსკენი (ფინეთი) |
| ლევსკი (ბულგარეთი) / სიონი (საქართველო) | ჰაფნარფორდური (ისლანდია)/ ლეგია (პოლონეთი) |
| შახტარი (უკრაინა) | დებრენეცი (უნგრეთი) / რაბოტნიჩკი (მაკედონია) |
| გალათასარაი (თურქეთი) | მლადა (ჩეხეთი) / ვოლერენგა (ნორვეგია) |
| ჰამბურგი (გერმანია) | ციურიხი (შვეიცარია) / ზალცბურგი (ავსტრია) |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) | იურგორდენი (შვედეთი)/ როზომბეროკი (სლოვაკეთი) |

## ლამპარდი "ჩელსის" დატოვებს

ბრიტანულ გაზეთ "დეილი მეილის" ინფორმაციით, მომავალი სეზონის დასრულებისთანავე ფრენკ ლამპარდმა შესაძლოა "ჩელსი" დატოვოს. თანაც კლუბს, რომელსაც ლამპარდის შეძენა მოუნდება, სულ რაღაც 3,3 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. ფიფას კანონებით, ლამპარდს მომავალი სეზონის ბოლოსთვის ექნება კლუბისგან კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება, ძველი კონტრაქტით კი ლამპარდი 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს.

ლამპარდის "ჩელსიდან" წასვლის მიზეზი შესაძლოა გახდეს მიხაელ ბალაკი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ შეიძინა ლონდონურმა კლუბმა. თანაც, "ჩელსის" ხელმძღვანელებმა ფრენკთან კონტრაქტი არ გააგრძელეს, რაც ფეხბურთელს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს.

## ლუკა ტონი ფლორენციაში რჩება

"ფიორენტინას" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ლუკა ტონი არ გაიყიდება.

"ტონიმ ჩვენს კლუბთან კონტრაქტი ერთი წლის წინ გააფორმა. რაკი სერია A-ში ადგილი შევინარჩუნეთ, ტონის გაყიდვაზე საუბარიც აღარ იქნება", - აღნიშნავს ფლორენიცული კლუბის პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე. შეგახსენებთ, რომ ტონის შეძენა "რეალს" და "ინტერს" სურდათ.

## მანიშე 10 მილიონი ღირს

ამ კვირის ბოლომდე პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი მანიშე ალბათ მადრიდის "ატლეტიკოს" ფეხბურთელი გახდება. მოსკოვის "დინამო" ნახევარმცველში 10 მილიონ ევროს ითხოვს და ესპანელები ამ თანხის გადახდაზე ყაბულს არიან.

## კრესპო ყველას დაავიწყდა

არგენტინელ ფორვარდს ერნან კრესპოს არაერთხელ უთქვამს, რომ "ჩელსის" დატოვება სურს, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა ერნანს მომავალ სეზონშიც ლონდონურ კლუბში მოუხდეს თამაში.

"ჩელსის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელს პრობლემებს არ უქმნის. თუ გამოჩნდა კლუბი, რომელიც კრესპოს შეძენას მოინდომებს, ლონდონელები არგენტინელს უპრობლემოდ გაყიდიან. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ასეთი კლუბი არა და არ გამოჩნდა.

"ვიცი, რომ "ჩელსი" ჩემს ტრანსფერს წინ არ აღუდგება, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი არაფერია. ჩემი ინფორმაციით, "მილანს" სურდა ჩემი შეძენა, მაგრამ "ჩელსისთვის" ოფიციალური წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს. არც ჩემს აგენტს აქვს რაიმე სერიოზული წინადადებები", - აცხადებს კრესპო.

# ორი გამარჯვება განსხვავებული შედეგით

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი იშვიათი შეტევა, რომელიც ბანანცელებმა ტაიმის მიწურულს წარმართეს, თადევოსიანის ზუსტი დარტყმით დასრულდა. "ბანანცი" მეორე წეხვედრაშიც დაწინაურდა, რაც "ამერის" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს თითქმის ნულს უტოლებდა.

მეორე ნახევარმა რადიკალურად შეცვალა ვითარება. "ამერი" სულ ორი წუთით აფეთქდა და მე-60-დან 62-ე წუთამდე შუალედში ჯერ რატი წინამძღვრიშვილმა აღადგინა წონასწორობა, შემდეგ დობროვოლსკიმ გაიტანა კიდევ ერთი გოლი და ტაბლოზე ქართული კლუბისთვის ხელსაყრელი ანგარიში აციმციმდა - 1:2. საერთო ანგარიში 2:2 გახდა, თუმცა, "ამერმა" გოლი მეტოქის მოედანზე გაიტანა, რაც უეფას ტურნირებში გადამწყვეტი უპირატესობაა. თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა დაწინაურებისთანავე ტაქტიკური შეცვლები განახორციელა - მოედნის შუა ხაზი და საკუთარი კარის მისადგომები კიდევ უფრო გაამაგრა. მიუხედავად იმისა, რომ გაშვებული გოლების შემდეგ მასპინძლებს ნახევარ საათზე მეტი დარჩათ მხსნელი და შემდეგ ეტაპზე გამყვანი გოლის გასატანად, "ამერმა" კარგად დაიცვა თავი, მატჩი ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანა და თბილისში თავაწეული დაბრუნდება. კიდევ ერთი: ამ გამარჯვებით თბილისის "ამერმა" ქართული საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟი დაიცვა და თანაქალაქელი "ლოკომოტივის" ნაცვლად რევანში აიღო. უეფას თასის გასული წლის გათამაშებაში "ბანანცმა" თბილისის "ლოკომოტივი" გამოთიშა ტურნირს.

"ამერს" მხარი ვერ აუბა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ". ვეტერინარებმა გუშინ ასევე უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში სლოვაკეთის "არტმედიას" უმასპინძლეს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ "არტმედია" გაცილებით მაღალი კლასის გუნდია, ვიდრე, ვთქვათ, "ბანანცი". სლოვაკებმა გასულ სეზონში თვით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი დააჭაშნიკეს და რამდენიმე სენსაციაც გამოაცხვეს. ასეთ გუნდთან "ვიტ ჯორჯია" გასვლით მატჩში 0:2 დამარცხდა.



"ვიტ ჯორჯიამ" მოიგო, მაგრამ წააგო.

გოგიტა ბახაძის ფოტო

მიხეილ მესხის სტადიონზე გუშინ გამართული საპასუხო შეხვედრის პირველმა ტაიმმა "ვიტ ჯორჯიას" გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა - ჩვენმა გუნდმა კარგად იასპარეზა, არაერთი საგოლე მომენტი შექმნა და ტაიმის მიწურულს ლომაიამ ზუსტი თავური დარტყმით დააწინაურა კიდეც მასპინძლები. გუნდები შესვენებაზე რომ გავიდნენ, ანგარიში 1:0 იყო ვიტელთა სასარგებლოდ. მატჩის განახლებისთანავე ჰელენარმა კარგად შესრულებული საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა, რაც "არტმედიას" საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა - დარჩენილ დროში "ვიტ ჯორჯიას" უკვე სამი გოლი სჭირდებოდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ეს კი უფრო ფანტასტიკის სფეროდან იყო. ამის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯიამ" ფარ-ხმალი არ დაყარა, ბოლომდე იბრძოლა და მორალური კმაყოფილების მომტანი გამარჯვების გოლი მაინც გაიტანა - 89-ე წუთზე რაზმაძემ პენალტიდან დარტყმა ზუსტად შეასრულა. "ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვა 2:1, შემდეგ ეტაპზე კი "არტმედია" გავიდა.

# იტალიას ახალი ჩემპიონი ჰყავს

### 2005-06 წლების სკუდეტო "ინტერისაა"

მარი ჭავახიშვილი

ბოლო ხანებში, როცა იტალიურ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში კალჩოს გახმაურებულ სკანდალში, ვინ მოთვლის, მერამდენედ დადგა ყველაფერი თავდაყირა.

დღე ისე არ გავა, რომ აპენინებიდან ახალი ინფორმაცია არ მოვიდეს. სულ ორიოდე კვირის წინ იტალიური ფეხბურთის მამებმა მკაცრი სასჯელი გამოუტანეს სერია ა-ს ოთხ კლუბს, თუმცა ოთხივე გუნდის ხელმძღვანელთა სააპელაციო სარჩელმა მათი მომავალი რადიკალურად შეცვალა.

უეფაში კი კვლავაც ვერ გადაუწყვეტიათ, დართონ თუ არა "მილანს" ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის ნება და "მილანის" სალიგო ბედი სასწორზე აგვისტომდე იდება.

ამასობაში ვისთვის გულგასახეთქი და ვისთვის სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღო იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ - ქვეყნის 2005-06 წლების სეზონის ჩემპიონობა მილანის "ინტერს" ხვდა წილად.

გასული სეზონი რობერტო მანჩინის გუნდმა სერია ა-ს გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე დაასრულა, თუმცა იმის გამო, რომ "იუვენტუსი" და "მილანი" სკანდალში იყვნენ გახვეულნი, ჩემპიონის დაფნის გვირგვინი "ინტერის" საკუთრება გახდა. იტალიის სპორტულმა ტრიბუნალმა კი "ბებერ ქალბატონს" წლევანდელ სკუდეტოსთან ერთად გასულ წელს მოპოვებულიც ჩამოართვა. თუმცა, 2004-05 წლის სკუდეტო მფლობელის გარეშე დარჩა.

მილანის "ინტერი" 1989 წლის შემდეგ პირველად გახდა სერია ა-ს ჩემპიონი.

"ტრიბუნალის გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური და დამაკმაყოფილებელია - ტიტული იმ კლუბს დარჩა, რომელსაც ეს კანონიერად ეკუთვნოდა", - განაცხადა "ნერიაძურის" მფლობელმა მასიმო



მანჩინი და "ინტერი" იტალიის ჩემპიონები არიან.

მორატიმ, რომელმაც თერთმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში პირველად მიაღწია გუნდათან ერთად ამ გამარჯვებას.

სიხარულისგან სახეგაბრწყინებული იყო "ინტერის" მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინიც: "ახლა მნიშვნელობა არა აქვს, როგორ მოვიპოვეთ სკუდეტო. მთავარია, რომ ჩემპიონები ვართ. უცნაურია, როცა ჩემპიონობას ამ გზით აღწევ, მაგრამ ჩვენ ის პატიოსანი თამაშით დავიმსახურეთ".

ერთი სიტყვით, "ინტერის" გულშემატკივარს ზეიმის საბაბი ნამდვილად აქვს, რასაც ვერ ვიტყვით მათი ისტორიული ოპონენტის "მილანის" ქომაგებზე. "როსონერის" აპელაცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კლუბს 15-ქულიანი ჯარიმა 8-მდე შეუმცირდა. მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, "მილანის" სალიგო ამბავი ჯერაც გაურკვეველი რჩება.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, "ინტერი" და "რომა" ავტომატურად ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაზე, "მილანი" და "კიევო" ლიგის თასისთვის ბრძოლას მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ, "პალერმო", "ლივორნო" და "პარმა" კი უეფას თასისთვის იბრძოლებენ.

კლუბურის გარდა, ფეხბურთის პირველმა პირებმა თანამდებობრივი პრობლემებიც უნდა მოაგვარონ და დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება სცადონ.

სააპელაციო სასამართლომ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის ფეხბურთთან 12-თვიანი ჩამოშორება 9 თვემდე შეუმცირა.

"იმის გამო, რომ ჩვენი მისამართით გამოტანილი სასჯელის სრული ანულირების იმედი მქონდა, სასამართლოს ახალ ვერდიქტს დამაკმაყოფილებლად ვერ შევაფასებ. თუმცა, მეორე მხრივ, სხვა კლუბებთან შედარებით, "მილანი" მაინც ნაკლებად დაზარალდა. მთავარია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე კანონიერი თამაშის უფლება უეფაშიც მოვიპოვოთ. ისღა დაგვრჩენია, ფეხბურთელები დაგეგმილზე ადრე გამოვიძახოთ, რათა მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ ურთულესი და საპასუხისმგებლო სეზონის წინ", - ადრიანო გალიანი.

მთელი ამ აურზაურის მთავარი გმირების, "იუვენტუსის" ბოსების - ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია კი კვლავაც ძალაში რჩება.

■ ■ ■

კლუბების მდგომარეობა ვერდიქტამდე და ვერდიქტის შემდეგ:

**"იუვენტუსი" - სერია A: 1 ადგილი; ჩლ;**
**სასჯელი: სერია B, მინუს 30 ქულა 2006-07 სეზონში;**
**აპელაცია: სერია B, მინუს 17 ქულა, სამი საშინაო მატჩი გულშემატკივრის გარეშე;**
**"მილანი" - სერია A: 2 ადგ. ჩლ;**
**სასჯელი: სერია A, მინუს 15 ქულა 2006-07 წლების სეზონში; უეფას თასი;**
**აპელაცია: სერია A, ჩლ. მინუს 8 ქულა, ერთი საშინაო მატჩი გულშემატკივრის გარეშე;**
**"ფიორენტინა" - სერია A: 4 ადგილი, ჩლ;**
**სასჯელი: სერია A, მინუს 12 ქულა;**
**აპელაცია: სერია A, მინუს 19 ქულა, სამი საშინაო მატჩი გულშემატკივრის გარეშე;**
**"ლაციო" - სერია A: 6 ადგილი, უეფას თასი;**
**სასჯელი: სერია B, მინუს 7 ქულა 2006-07 წლების სეზონში; აპელაცია: სერია A, მინუს 11 ქულა, ორი საშინაო მატჩი გულშემატკივრის გარეშე;**
**"ლეჩე" - სერია A: 19 ადგილი, სერია B;**
**სასჯელი: სერია A;**
**აპელაცია: სერია B;**
**"ტრევიზო" - სერია A: 20 ადგილი, სერია B;**
**სასჯელი: სერია A;**
**აპელაცია: სერია B;**

# ერთგული რჩება

თავის დროზე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი ტურინის "იუვენტუსის" ერთგული რჩება. მას შემდეგ, რაც ტურინის "იუვენტუსი" სერია B-ში დააქვეითეს, ბევრს ეგონა, რომ პაველი, ისევე როგორც "ბებერი ქალბატონის" სხვა ვარსკვლავები, გუნდს დატოვებდა. თანაც, ჩეხ ფეხბურთელს არჩევანიც საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ჰქონდა.

თავად განსაჯეთ: თუ პაველი მაღალ დონეზე თამაშის გაგრძელებას ისურვებდა, მას ბრიტანული ვარიანტის არჩევა შეეძლო. "ტოტენჰემი" ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ჩეხი ვარსკვლავი შეეძინა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პაველი სერიოზულ ფეხბურთზე უარს იტყოდა და მხოლოდ ფულზე იფიქრებდა, არაბული ვარიანტი მშვენიერი იყო. გაერთიანებული საემიროების კლუბ "ალ ჯაზირას" მესვეურები ნედვედს ერთ სეზონში 19 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ. ნედვედს ეს ვარიანტი რომ აერჩია, ალბათ ვერავინ გაკიცხავდა.

ნედვედი, ფაქტობრივად, კარიერას ამთავრებს და საფეხბურთო სიბერეში შესულ ვარსკვლავს არაბეთში გადაბარგებით სოლიდური თანხის შოვნა შეეძლო. თუმცა მან არც ერთი ვარიანტი აირჩია და არც მეორე. პაველმა გასაჭირის ჟამს "იუვენტუსი" არ მიატოვა - ის გუნდთან ერთად აპირებს სერია B-ში



თამაშს და ელიტაში დაბრუნებას.

"შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ სერიოზულად არც დავფიქრებულვარ მათზე. გუნდის დატოვება არ მინდოდა და ამაზე საუბარიც ზედმეტად მიმაჩნდა. "იუვენტუსში" ჩემდამი ყოველთვის კარგი დამოკიდებულება იყო. კლუბი ყოველთვის მხარში მედგა. ახლა კი ჩემი ჯერია. შევეცდები ტურინელები სერია A-ში დავაბრუნო. შემდეგ კი ვნახოთ. უკვე ასაკში ვარ და არ გამოვრიცხავ, რომ კარიერაც დავასრულო. ისე, თუ გახსოვთ, როდესაც "იუვენტუსში" ჩავირიცხე, მაშინვე ვთქვი, კარიერის დასრულებას ამ კლუბში ვაპირებმეთქი", - განაცხადა პაველ ნედვედმა.

# დი სტეფანო მემკვიდრეს თავად წარადგენს

ჰოლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის რუუდ ვან ნისტელროის მადრიდის "რეალში" გადასვლის ეპოპეა დასრულდა.

30 წლის ფორვარდის გარშემო მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ატყდა ხმაური - ერთნი მას "სამეფო გუნდს" უკავშირებდნენ, მეორენი - "ბაიერნს", "ოლდ ტრეფორდზე" კი ჯიუტად აცხადებდნენ, რომ ჰოლანდიელ ფეხბურთელს არსად არ უშვებდნენ.

ორ ტიტულიან კლუბს შორის მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა. მაგრამ როცა რამონ კალდერონმა ინგლისური გუნდის ბოსებს მაგიდაზე 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუდო, მანჩესტერელები ნისტელროის ხმისამოუღებლად შეელივნენ.

არადა, ცოტა ხნის წინ სრულიად ჰოლანდიის საყვარელი ფეხბურთელით ბუნდესლიგის ჩემპიონი მიუნხენის "ბაიერნი" ინტერესდებოდა. გერმანელები რუუდ ვან ნისტელროის "ალიანს არანეზე" თამაშს, "მანჩესტერს" კი ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ. ერთი შეხედვით, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც "ბაიერნს" უნდოდა - ნისტელროის საბუნდესლიგო კარიერას წინ აღარაფერი ედგა, თუმცა გარიგება მოულოდნელად ჩაიშალა.

"ნისტელროი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია და კარგად ვიცით მისი ფასი. ამიტომ ის კვლავაც "მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშედ რჩება", - განაცხადა მაშინ "წითელი ეშმაკუნების" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

"ბაიერნთან" შეწყვეტილი მოლაპარაკებების შემდეგ, ავანსცენაზე გამოჩნდა მადრიდის "რეალი", რომელიც რომან კალდერონის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებს.



"მანჩესტერმა" რუუდ ვან ნისტელროი 15 მილიონად დათმო.

"სამეფო გუნდმა" ნისტელროოისთვის სერიოზული და ხანგრძლივი ბრძოლა გამართა. თავდაპირველად "რეალის" ბოსებმა ინგლისელებს 12 მილიონი უთხრეს. ცხადია, ეს თანხა "მანჩესტერის" ხელმძღვანელობას სასაცილოდ არ ეყო და ნისტელროის მთხოვნელები კატეგორიული უარით გაისტუმრა შინ.

ბრძოლა ნისტელროოისთვის გასულ კვირას ახალ ფაზაში შევიდა. ამჯერად მადრიდელებმა თორმეტს სამიც დაუმატეს და 15 მილიონით შეეცადნენ ჰოლანდიელის კლუბის ხელმძღვანელთა დაყოლიებას. კონსერვატორი ინგლისელები ისევ თავისაზე იდგნენ - ან 17 მილიონი, ან კარგად ბრძანდებოდეთო.

"ამჯერად მადრიდელებმა თანხა 15 მილიონამდე გაზარდეს, მაგრამ ეს ის ფასი არ არის, რომლის სანაცვლოდ რუუდს გუნდიდან გავუშვებთ. ასე რომ, სიტუაცია კვლავინდებურად უცვლელია. ნისტელროის იმ შემთხვევაში გავყიდით, თუ მის სანაცვლოდ შესაფერის თანხას მივიღებთ. ის ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ანდრეი შევჩენკო "მილანმა" 35 მილიონ ფუნტად მიჰყიდა "ჩელსის". ნისტელროი კი შევჩენკოზე არანაკლებ კარგი ფეხბურთელია", - ამბობდა სერ ალექს ფერგიუსონი.

ესპანელები დამშვიდობებას არ ჩქარობდნენ. მადრიდელთა სიჯიუტემ აშკარად გაჭრა - თითქმის 24-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჰოლანდიელი ლეგიონერი 15 მილიონ გირვანქად დათმო. არადა, 2001 წელს "მანჩესტერ იუნაიტედმა" "პსვ ეინდოჰოვენს" ჰოლანდიელის სანაცვლოდ იმ დროისთვის სარეკორდო თანხა - 34 მილიონ 730 ათასი დოლარი გადაუხადა.

ასე და ამგვარად, რუუდ ვან ნისტელროი იტალიელი ფაბიო კანავაროსა და ბრაზილიელი ემერსონის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუს" მესამე ახალშენაძენი გახდა ამ საზონში.

დღეს "მანჩესტერ იუნაიტედის" ექს-თავდამსხმელი ოფიციალურად წარდგება მადრიდელი ჟურნალისტების წინაშე. "სამეფო გუნდის" ლეგენდარული თავდამსხმელი ალფრედო დი სტეფანო კი პირადად გადასცემს "რეალის" მაისურს ნისტელროის. თუმცა ჯერჯერობით უცნობია რა ნომრით დაიცავს ჰოლანდიელი ახალი გუნდის ღირსებას.

"ვან ნისტელროის ნებისმიერი გუნდისთვის შეუძლია სარგებლის მოტანა. დარწმუნებული ვარ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ის უხვგოლიანობით გამოიჩენს თავს და "რეალის" ვარსკვლავებს შორის დაიმკვიდრებს ადგილს", - ფაბიო კაპელო.

დაბოლოს, რუუდ ვან ნისტელროიმ კაპელოს გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ყოველწლიურად ხუთ მილიონ ევროს მიიღებს.

# ემერსონი ტიტულებზე ფიქრობს

მადრიდის "რეალმა" საზოგადოებას თავისი ახალი ფეხბურთელი, ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი წარუდგინა. ის, რომ ემერსონი "რეალში" აღმოჩნდებოდა, თითქმის ცხადი იყო. მას შემდეგ, არც კაპელო მადრიდული კლუბის მწვრთნელად დაინიშნა, იტალიელმა სპეციალისტმა კლუბის ხელმძღვანელებს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად სწორედ ემერსონის შეძენა დაუსახა. გუშინვე ემერსონმა გაზეთ "ასს" მისცა ინტერვიუ.

**- კარიერის განმავლობაში არაერთი ტიტული მოგიგიათ. მადრიდის "რეალში" თქვენი მოტივაცია რა იქნება?**

- პირველ რიგში ახალი ტიტულების მოგება. მე მოვედი გუნდში, რომელიც მუდმივად გამარჯვებისთვის იბრძვის. ვიცი, რომ ბოლო ხანს "რეალს" მცირე ჩავარდნა ჰქონდა. ახლა ტიტულის მოგებას ვაპირებთ.

**- კაპელოსთან საუბრის საშუალება გქონდათ?**

- დიახ. სანამ ოფიციალურად წარმადგენდნენ, ვესაუბრე.

**- ხომ არ უთქვამს, რომელ პოზიციაზე გიპირებთ გამწესებას?**

- არა. ამაზე ალბათ მომავალში ვისაუბრებთ. ჩავალ ავსტრიაში, გუნდს შევუერთდები, ვარჯიშს დავიწყებ და შემდეგ ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

**- მაკელელეს დაკარგვის შემდეგ მადრიდის "რეალს" ნორმალური ჩამშლელი ფეხბურთელი არ ჰყოლია. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ემერსონი ახალი მაკელელე იქნება?**

- კლოდი არის ფეხბურთელი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ. მე და მაკელელე ალბათ ოდნავ განსხვავებული ფეხბურთელები ვართ, თუმცა თუ კაპელომ იგივე ფუნქციები დამაკისრა, შევეცდები მწვრთნელის დავალება შევასრულო.

**- უკვე კარგა ხანია თქვენს სახელს მადრიდის "რეალს" უკავშირებენ. თქვენ კი მხოლოდ ახლა ჩაირიცხეთ გუნდში...**

- "რეალი" ჩემთვის ყოველთვის სანუკვარი გუნდი იყო და, როგორც იქნა, ამ უდიდესი კლუბის ფეხბურთელი გავხდი. ბედნიერი ვარ და ამას არც ვმალავ.

**- "იუვენტუსი" რომ არ დაესაჯათ, ალბათ "რეალში" არ აღმოჩნდებოდით.**

- არ ვიცი. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ აქ მხოლოდ ტურინული კლუბის დასჯის გამო გადმოვედი. როგორც კანავარომ თქვა, უბრალოდ, ასეთი ვითარება შეიქმნა და მადრიდის "რეალის" ვარიანტიც ბრწყინვალე დროს გამოჩნდა.




ემერსონი უკვე "სამეფო კლუბის" წევრია.

**- როგორ გგონიათ, ითამაშებს კაკა "რეალში"?**

- ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ერთს კი გეტყვით - კაკა უდიდესი ფეხბურთელია და ძალიან გამიხარდება, თუ მადრიდულ კლუბში ერთად ვითამაშებთ.

**- კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ფეხბურთში დარჩენას?**

- ახლა ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ, თუმცა უარს არ ვიტყოდი კარიერა მადრიდის "რეალში" დამესრულებინა.

**- შეძლებს თუ არა ტრავმის შემდეგ რონალდო ფეხბურთში დაბრუნებას?**

- იმედია, დაბრუნდება და ისე ითამაშებს, როგორც სჩვევია.

**- თქვენი აზრით, დარჩება თუ არა რობერტო კარლოსი "რეალში"?**

- რობერტო ჩემი უახლოესი მეგობარია. მინდა, რომ "რეალში" დარჩეს. მიმაჩნია, რომ მადრიდული კლუბისთვის ბევრი კარგი აქვს გაკეთებული.

# მემუარების წერის დროა

მარი ჯავახიშვილი

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა მარიო ზაგალო პლანეტაზე ერთადერთი ადამიანია, ვინც მსოფლიო თასი ფეხბურთელის, მწვრთნელისა და თანაშემწის რანგში ასწია. გუშინ ამ ადამიანმა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტის პოსტი დატოვა.

1931 წლის 9 აგვისტოს ქალაქ მასეოში დაიბადა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი მარიო ჟორჟე ლობო ზაგალო. თითქმის ორ კვირაში ლეგენდარულ მარიოს 75 წელი შეუსრულდება. სამშობლოში ზაგალოს უზომოდ დიდ პატივს სცემდნენ. ის ორჯერ (1958 და 1962 წლებში), როგორც ფეხბურთელი, გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მექსიკაში კი, როგორც მწვრთნელმა, ისე ალმართა მსოფლიო თასი. ამიტომ იმედოვნებენ, რომ ფეხბურთში მოღვაწეობას კვლავ გააგრძელებს.

ზაგალომ "პენტაკამპეონეთა" გერმანიაში განცდილი მარცხის გამო მიიღო გადაწყვეტილება წასვლის თაობაზე. ბრაზილიელთა შინ ნაადრევად დაბრუნებაში 74 წლის სპეციალისტმა ყველაზე მეტად საკუთარი თავი დაადანაშაულა: "შემადგენლობის არასწორი კომპლექტაცია მხოლოდ ჩემი ბრალია, მეტი არავისი. ყველამ კარგად იცის ჩემი დამოკიდებულება გამოცდილი ფეხბურთელებისადმი. როცა საქმე ასარჩევად მქონდა -ახალგაზრდა ფეხბურთელი შემეშვა მოედანზე თუ ასაკოვანი, ყოველთვის ამ უკანასკნელს ვირჩევდი", - განაცხადა ზაგალომ.

წარუმატებლობა წარუმატებლობად, მაგრამ შორეულ 70-იან წლებში მარიო ზაგალოსა და კარლოს ალბერტო პარეირას ტანდემმა ბრაზილიას მსოფლიოს ოქროს მედლები მოუტანა.

მართალია, იმხანად ახლაგაზრდა პარეირა "სელესაოში" ფიზმომზადების მწვრთნელი იყო, მაგრამ გადაწყვეტილებას არც მაშინ იღებდა გამოცდილი სპეციალისტის გარეშე. ქვეყნის პირველი გუნდის სადავეები 2006 წელს მთლიანად პარეირას ხელში აღმოჩნდა, თუმცა ფორმალურად ყველაფერს კვლავაც ზაგალო წყვეტდა. აკი თვითონაც გამოტყდა - პარეირა ჩემი ავტორიტეტის წინაშე უძლური იყოო.

ისევ შორეულ 1970 წელს დავუბრუნდეთ. მაშინ პელე და კომპანია ჩემპიონები გახდნენ და ცხადია, ამ წარმატების მთავარი შემოქმედი ნაკრებში დარჩა. თუმცა, ოთხი წლის შემდეგ, როდესაც "პენტაკამპეონებმა" მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს, ბრაზილიის ნაკრების კარი ზაგალოსთვის კარგა ხნით დაიხურა.

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა მსოფლიოს გარეშემო დაიწყო მოგზაურობა. კარგა ხნის მანძილზე ზაგალო სხვა ქვეყნის კლუბებსა და ნაკრებებს ედგა სათავეში. წარმატებას მხოლოდ არაბეთის გაერთიანებული ემირატების ნაკრების მწვრთნელის რანგში მიაღწია, როცა არაბები 1990 წლის მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. თუმცა, რატომღაც მაინც გაათავისუფლეს და მისი ადგილი იმავე კარლოს პარეირამ დაიკავა.

ემირატებზე განცდილი იმედგაცურების შემდეგ ზაგალო სამშობლოს დაუბრუნდა. იმ პერიოდში ბრაზილიელებს პარეირა ედგათ სათავეში. ცხადია, ამ უკანასკნელმა თანაშემწედ თავისი კერპი - მარიო ზაგალო აირჩია. შეხმატკბილებულმა დუეტმა 1994 წელს ბრაზილია პლანეტის უძლიერეს გუნდად აქცია. თუმცა, 1998 წელს ზაგალოს სამწვრთნელო კარიერაში ისევ რთული პერიოდი დაუდგა - მისმა გაწვრთნილმა "სელესაომ" ფინალში სამარცხვინოდ წააგო ფრანგებთან.

სხვათა შორის, როცა პირველად ბრაზილიელთა გაწვრთნა მარიო ზაგალოს მიანდეს, ბრაზილიაში ხუმრობდნენ, რომ ზაგალოს თაოსნობით გამართული პირველი მატჩი "პენტაკამპეონთათვის" 0:0 დასრულდებოდა. 1974 წელს განცდილი ჩავარდნის შემდეგ, სამშობლოში მას დაცვითი ფეხბურთის თამაშში ადანაშაულებდნენ.

წლევანდელ მუნდიალზე ისევ ფრანგებთან, ოღონდ ამჯერად მეოთხედფინალში განცდილი მარცხის შემდეგ, ბრაზილიელი სპეციალისტი პირველად დაფიქრდა პენსიაში გასვლაზე: "ვფიქრობ, ფეხბურთში საქმე აღარ მაქვს. ჩემპიონატს ჩავამთავრებ და მერე დასვენების მეტს აღარაფერს გავაკეთებ. იქნებ მემუარების წერასაც მივყო ხელი. მოგონებები დამიგროვდა. ვფიქრობ, ბევრი მაქვს მოსაყოლი".

ბრაზილიის ნაკრების გაჩემპიონებას ახლა დუნგა შეეცდება, თუმცა ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციაში იმედოვნებენ, რომ ზაგალო კვლავაც დაუბრუნდება საყვარელ საქმიანობას.

## იბაგასა "მალიორკაში" ბრუნდება

მადრიდის "ატლეტიკოს" არგენტინელი გამთამაშებელი არიელ იბაგასა "მალიორკაში" გააგრძელებს კარიერას. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე იბაგასამ სწორედ "მალიორკაში" თამაშით გაითქვა სახელი და ამის წყალობით მოხვდა "ატლეტიკოში". ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იბაგასა მშობლიურ კლუბს უბრუნდება.

მადრიდულმა კლუბმა კი "ვალენსიასგან" შეიძინა ფორვარდი მისტა, რომელიც მომავალ სეზონში ფერნანდო ტორესთან ერთად ითამაშებს "ატლეტიკოს" შეტევაში. მისტამ მადრიდულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## "ბორდო" დანიელ კარვალიოს ყიდულობს

ფრანგული "ბორდო" ცდილობს მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ნახევარმცველის დანიელ კარვალიოს შეძენას. ფრანგები რუსულ გუნდს 5,5 მილიონ დოლარს სთავაზობენ, თავად კარვალიოს კი ხელფასის სახით თვეში 100 000 ევროს ჰპირდებიან. ფრანგული მედიის ინფორმაციით, ტრანსფერი აბსოლუტურად რეალურია. შესაძლოა კარვალიო რამდენიმე დღეში უკვე "ბორდოს" ფეხბურთელი იყოს.

## "ლივერპული" კუიტს უმიზნებს

ჯერმაინ პენანტთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ "ლივერპულის" უმთავრეს სატრანსფერო მიზნად ჰოლანდიის ნაკრებისა და "ფეიენოორდის" ფორვარდი დირკ კუიტი იქცა. რაფაელ ბენიტესი ცდილობს კლუბის მესვეურებს 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი დასთყუოს ამ ფეხბურთელის შესაძენად.

მერსისაიდელები თანახმა არიან, რომ თანხის შემცირების სანაცვლოდ "ფეიენოორდში" იეჟი დუდეკი და იან კრომკამპი გაუშვან.

## ტიმოშჩუკი და ვენეგორ ოფ ჰესელინკი

შოტლანდიური "სელტიკი" ორი ფეხბურთელით აპირებს გაძლიერებას. გლაზგოური გუნდის მწვრთნელს ჰოლანდიელი ფორვარდის ვენეგორ ოფ ჰესელინკისა და უკრაინელი ნახევარმცველის ანატოლი ტიმოშჩუკის შეძენა აქვს განზრახული.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ეს ორმაგი ტრანსფერი უახლოეს დღეებში უნდა შედგეს.

## კემპბელს საფრანგეთში უხმობენ

ინგლისის ნაკრებისა და "არსენალის" მცველ სოლ კემპბელს ფრანგული "მარსელი" იწვევს. როგორც იცით, კემპბელმა "არსენალში" თამაშზე უარი განაცხადა და ახლა კლუბის ძიებაშია. "მარსელის" გარდა კემპბელს რამდენიმე ინგლისური კლუბიც იწვევს.

## მოურინიოს ოთხწლიანი გეგმა

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში მისი გუნდი კიდევ ოთხჯერ გახდება ინგლისის ჩემპიონი და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებს ლონდონური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტს.

"მომავალზე ყოველთვის ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ "ჩელსის" ისტორიტაში უკვე დავიმკივრდრე ადგილი. მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში კიდევ ოთხ ტიტულს მოვიგებთ და "ჩელსის" ფანებს ყოველთვის ვემახსოვრები", - აცხადებს ამბიციური პორტუგალიელი მწვრთნელი.

## "მანჩესტერმა" კინის შემცვლელი იპოვა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი მოლაპარაკებას მართავს "კორინთიანსის" არგენტინელ ნახევარმცველ ხავიერ მასკერანოსთან, რომელსაც სერ ალექსი როი კინის შემცვლელად მიიჩნევს. ბრაზილიური კლუბი არგენტინელ საყრდენში 25 მილიონ ევროს ითხოვს. ბრიტანელები იმედოვნებენ, რომ ვაჭრობის შემდეგ ფეხბურთელს 16 მილიონად იყიდიან.

"მანჩესტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ესპანურ გაზეთ "ასის" ინფორმაციით, რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერი მადრიდის "რეალში" უკვე შედგა. მადრიდული კლუბი "მანჩესტერს" 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდის.

## როჟერიო სენიმ ჩილავერტის რეკორდი გაიმეორა

სამხრეთამერიკელი მეკარეები უცნაური ხალხია. ზოგიერთი საკუთარი კარის დაცვაზე მეტად გოლის გატანაზე ფიქრობს. ამიტომაცაა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მეკარეები სწორედ სამხრეთამერიკელები არიან. კარგა ხნის განმავლობაში ბომბარდირ მეკარეებს შორის პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილავერტს ბადალი არ ჰყავდა - კარიერის განმავლობაში ლეგენდარულმა მეკარემ 62 გოლი გაიტანა. ამ რამდენიმე დღის წინ კი ბრაზილიურ კლუბ "სან პაულუს" მეკარემ როჟერიო სენიმ ჩილავერტის რეკორდი გაიმეორა და ალბათ სულ ცოტა ხანში თავად გახდება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მეკარე. "სან პაულუსა" და მექსიკური "ჩივასის" მატჩში როჟერიო სენიმ ზუსტად შეასრულა პენალტი და კარიერაში 62-ე გოლი გაიტანა. იმის გათვალისწინებით, რომ როჟერიო სენი არც კარიერის დასრულებას აპირებს და არც გოლების გატანაზე იტყვის უარს, სულ ცოტა ხანში ალბათ საფეხბურთო სამყაროს ახალი რეკორდსმენი ეყოლება.

## რონალდოს ყიდვის ბრიტანული რეცეპტი

ინგლისის პირველ დივიზიონში მოსაპარეზე კლუბ "ლეიტონ ორიენტის" გულშემატკივრებმა რონალდოს შეძენის ორიგინალური რეცეპტი მოიგონეს. ლონდონური კლუბის ფანებს იმდენად უნდათ, რონალდომ მათ საყვარელ გუნდში ითამაშოს, რომ ბრაზილიელი ფენომენის შესაძენად ფულის შეგროვება დაიწყეს. "ლეიტონის" ფანებს მიაჩნიათ, რომ რონალდოს შესაძენად 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი სჭირდებათ და ამ თანხის შესაგროვებლად მათ სპეციალური ფონდიც კი შექმნეს.

"იმ შემთხვევაში, თუ საჭირო თანხა ვერ შევაგროვეთ ან რონალდომ უარი თქვა "ლეიტონში" თამაშზე, შეგროვებული თანხა კლუბის განვითარებას მომხმარდება", - აცხადებს ფანკლუბის ხელმძღვანელი, რომელმაც ფონდის დაარსება ითავა.

## კატალონიური 18 მილიონი

ესპანური "ბარსელონას" ხელმძღვანელობის განცხადებით, გასულ სეზონში კლუბმა 18 მილიონი ევრო სუფთა მოგება ნახა. შეგახსენებთ, გასულ სეზონში "ბარსელონამ" ზედიზედ მეორედ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

ამჟამად "ბარსელონა" ევროპის სამ ყველაზე შემოსავლიან გუნდს შორის არის.

## აიმარი "სარაგოსაში"

არგენტინელი ნახევარმცველი პაბლო აიმარი მზადაა გააფორმოს კონტრაქტი ესპანურ "სარაგოსასთან". "ვალენსიამ" არგენტინელი ფლეიმეიქერის შენარჩუნება აღარ ისურვა. "სარაგოსა" აიმარში 10 მილიონ ევროს იხდის.

## "იუვენტუსი" ფეხბურთელებს აღარ გაყიდის

ტურინის "იუვენტუსი" უკვე დატოვეს ადრიან მუტუმ, ლილიან ტურამმა, ჯანლუკა ძამბროტამ, ფაბიო კანავაროს და ემერსონმა. ტურინული კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელის დიდიე დეშამის თქმით, ამით გაყიდულ ფეხბურთელთა სია ამოიწურა და გუნდი ფეხბურთელებს აღარ შეელევა.

"ჩვენ ფეხბურთელს აღარ გავყიდით. თუ ვინმე უკმაყოფილოა, მას ორ კვირაზე მეტი ჰქონდა საქმეების მოსაგვარებლად. ჩვენ ყველას მივეცით კლუბის დატოვების საშუალება. ვინც ვერ მოასწრო გუნდიდან წასვლა, "იუვენტუსში" დარჩება", - აცხადებს დიდიე დეშამი.

ამავე დროს გუშინ ცნობილი გახდა, რომ "მილანს" ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენა სურს. შვედ ფორვარდში მილანური კლუბი 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

## მოჯი: "სიმართლე მალე გაირკვევა"

იტალიური საფეხბურთო სკანდალის მთავარი გმირი ლუჩანო მოჯი აცხადებს, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა და სიმართლე მალე გაირკვევა. მოჯის აზრით, "იუვენტუსი" არაფერში არ არის დამნაშავე და სულ ტყუილად დაისაჯა.

"კლუბი დამნაშავე არაა. ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. ეს მხოლოდ დასაწყისია. იმედია ამ საქმეს სულ სხვაგვარი დასასრული ექნება. ყველაფერი გაირკვევა და დაინახავთ, რომ მე მართალი ვარ", - ამბობს მოჯი.

## "სევილია" ჩევანტონით დაინტერესდა

უეფას თასის მფლობელი ესპანური "სევილია" ურუგვაელი ფორვარდის ხავიერ ერნესტო ჩევანტონის შეძენით დაინტერესდა. "სევილიას" პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ჩევანტონი იდეალურად შეცვლის სავიოლას, რომელიც გასულ სეზონში გუნდში იჯარით იყო და მომავალ სეზონში "სევილიას" ველარ დაეხმარება.

ახლა ჩევანტონი "მონაკოს" ფეხბურთელია. მონეგასკები მზად არიან გაყიდონ ურუგვაელი, თუ სევილიელები "მონაკოსთვის" მისაღებ თანხას გადაიხდიან.

## "სამპდორიას" ვიერი არ სჭირდება

ამ ზაფხულს კრისტიან ვიერიმ გენუის "სამპდორიასთან" გააფორმა კონტრაქტი, თუმცა ბობო გუნდს ჯერაც არ შეერთებია. ოფიციალურად იტალიური ფეხბურთის ფლეიბოი მილანში ტრავმას იშუშებს. გუშინ "სამპდორიას" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვიერი აღარ სჭირდება და ფეხბურთელთან კონტრაქტს წყვეტს.

"მე პატივს ვცემ კრისტიანს. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით მესმის კიდეც მისი, მაგრამ გუნდი უკვე სეზონისთვის ემზადება, ვიერი კი არსად ჩანს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩამოსვლას აღარც აპირებს. ამიტომ ვწყვეტთ მასთან ურთიერთობას", - აცხადებს "სამპდორიას" პრეზიდენტი ბეპე მაროტა.

## მარადონა კვლავ მკურნალობს

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა კერძო კლინიკაში დაწვა, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ ერთხელ და სრულად გააკონტროლოს.

დიეგო საავადმყოფოში ღამით მივიდა, რათა ცნობისმოყვარეთა თვალს მორიდებოდა. ჯერჯერობით ექიმები არაფერს ამბობენ მის ავადმყოფობაზე. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ის მხოლოდ გამოკვლევებს ჩაიტარებს.

## ერიქსონი "ასტონ ვილას" ჩაიბარებს

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა შესაძლოა ბირმინგემის "ასტონ ვილა" ჩაიბაროს. ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ ერიქსონის სპორტული აგენტი იმ კონსორციუმის ხელმძღვანელია, რომელიც ბირმინგემული კლუბის ყიდვას აპირებს. თუ ატოლ სტილმა "ასტონ ვილა" შეიძინა, მწვრთნელად აუცილებლად ერიქსონი დაინიშნება, თუმცა სტილს ორი კონკურენტი ჰყავს. ბირმინგემული კლუბის ყიდვას ბრიტანელი ბიზნესმენი მაიკლ ნევილი და ამერიკელი მილიონერი ლენდი რენრენრიც აპირებენ.

იმასაც გეტყვით, რომ სტილი კლუბში 52 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებს, ნევილმა კი "ასტონ ვილას" ახლანდელ ხელმძღვანელებს 12 მილიონით მეტი შესთავაზა.

# ევროპას ასაკი არა აქვს

### საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მიდის

გიგა გურასაშვილი

*29 ივლისიდან 6 აგვისტომდე გერმანიის საპორტო ქალაქი ჰამბურგი ვეტერან კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ რანგის ჩემპიონატში (რომელიც წლეულს მეოთხედ ტარდება) საქართველო პირველად მონაწილეობს.*



საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა ნაკრები დაირაზმა.

კონტინენტის პირველობაში იასპარეზებენ როგორც კაცთა, ისე ქალთა ნაკრებები. ასაკი - 40 წელს ზემოთ. საქართველო მხოლოდ კაცთა ნაკრებით იქნება წარმოდგენილი.

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ახლახან გახსნილ "სპორტული დიდების მუზეუმში" შეხვედრა მოუწყვეს ვეტერან კალათბურთელებს. წითელ მაისურებში გამოწყობილმა კალათბურთელებმაც პირობა დადეს - ახალგაზრდობას გავიხსენებთო.

"ევროპის ჩემპიონატისთვის ფორმაში რომ შევსულიყავი, 15 კილო დავიკელი, - გვეუბნება ნაკრების ტიტულოვანი კაპიტანი ნიკოლოზ დერიუგინი, - რა თქმა უნდა, ფორმაში შესვლა პირობითია. ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი იმითაცაა კარგი, რომ ჩვენს ძველ მეტოქეებს შევხვდებით. მართალია, შიგადაშიგ რამდენიმე მათგანთან შეხვედრის საშუალება მქონია, მაგრამ ასე ერთად ჩემი ძველი ნაცნობები ჯერ არ მინახავს. გავიხსენებთ მსოფლიო ჩემპიონატებს, ოლიმპიურ თამაშებს, იმას, თუ როგორ ვთამაშობდით ადრე.

...სამი თუ ოთხი თვეა, რაც ბებრები შევიკრიბეთ და შეძლებისდაგვარად ვვარჯიშობთ. დიდი ხანია აღარ გვითამაშია. თან პირველად გამოვდივართ. არც ის ვიცით, რომელ ადგილზე გავალთ. მთავარია ბოლოზე არ აღმოვჩნდეთ".

ახლა უშუალოდ ევროპის ჩემპიონატზე. საქართველოს ნაკრები C ჯგუფში რუსეთისა (სამარა) და პოლონეთის (პოლსკა) გუნდებს შეხვდება. საქართველოს ვეტერანთა ნაკრები (ნიკოლოზ დერიუგინი, ნოდარ ქორქია, გია სანაძე, პაატა გურასპაული, დავით გიორგობიანი, ლევან გაჩეჩილაძე, ბიძინა გეგიძე, ლევან წულაია, რეზო ჩაჩხიანი, თემურ ცაგარეიშვილი, გიორგი ბერუაშვილი, თენგიზ ფიცხელაური) 30 ივლისს პოლონელებს ეთამაშება.

საქართველოს ნაკრები მოამზადეს ნუგზარ ქეიშვილმა (მთავარი მწვრთნელი) და ზაზა ცაგარეიშვილმა (მეორე მწვრთნელი). მენეჯერია მიხეილ ქორქია.

**ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი. ჰამბურგი (გერმანია)**

**A**
გერმანია
საბერძნეთი (სალონიკი)
რუსეთი (კანდელ კლუბი)
რუსეთი (ტელტა)
**B**
სლოვენია (ვეტერანსკი)
ჩეხეთი (პრაღა)
ლიტვა (ტაურაჟი)
რუსეთი (მოსკოვი)
**C**
საქართველო
რუსეთი (სამარა)
პოლონეთი (პოლსკა)

# ფრაკიან ლაქიებს ჩვენი მესაზღვრეები გვერჩივნოს

ნოდარ ებრალიძე



მცირე შესვენება ნაროვანის წინ.

გამოჩენილმა რუს-გერმანელმა ეთნოგრაფმა და ბუნებისმეტყველმა გუსტავ რადემ, რომელიც 1863 წლიდან საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, 1877 წლის "კავკაზსკი კალენდარში" გამოაქვეყნა თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომის მოსამზადებელი ვარიანტი "შენიშვნები ხევსურეთზე". ეს ნარკვევი ქართული სპორტის ისტორიის მკვლევარებსაც დიდ სამსახურს გაუწევს. კერძოდ, ფარიკაობის სპეციალისტებისთვის, ალბათ, ძვირფასი ცნობების შემცველია წერილის ის მონაკვეთი, რომელშიც ავტორი ეხება ხევსურეთში ბიჭებისთვის ფარიკაობის შესწავლის ხერხებსა და საჭურველს და პარალელს ავლებს საფარიკაო ხელოვნების ხალხურ და კლასიკურ ილეთებს შორის. მაგრამ ეს ყველაფერი რომ ენახა, მას უნდა ემოგზაურა; ხოლო იმ დროს არათუ კავკასიონის მთებში, ბარშიც კი მოგზაურობის ძირითადი საშუალება ცხენი იყო. ისე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გ. რადესთვის საქართველო, მით უმეტეს, მიუვალი მთები, იქაური მოსახლეობითურთ, მაინც უცხო, არაევროპული მხარე იყო, რომლის პროგრესის ერთი პირობა სათანადო ყოფითი კომფორტის გაჩენაც უნდა ყოფილიყო და პედანტი და მუყაითი სწავლული ასეთ ფანტაზიებსაც ეძლეოდა რაფიელ ერისთავის "სალი კლდეების" ქვეყანაში: "რა იქნება აქ 200 წლის მერე?" (ესე იგი, 2077 წელსო) - სვამდა კითხვას და თვითონვე უპასუხებდა: "სასტუმრო აწუნთის უღელტეხილზე, კეთილმოწყობილი ოტელი თიანეთში, სადაც ფრაკიანი ლაქიები იტრიალებენ და უცხოელ მოგზაურებს იაფ (მუქთ!) კალმახსა და კახურ ღვინოს მიართმევენ!" თიანეთის ხსენება ნუ გააკვირვებს მკითხველს, მაშინ ფშავ-ხევსურეთი თიანეთის მაზრაში შედიოდა. კალმახი კი ახლაც იცის იორსა და მის "კუდებს" და შენაკადებში, ხოლო "ღვინომრავალი" კახეთი აქედან კარგი ორქაფა ცხენის ერთ გაჭენებაზეა...

52 წლის მხატვარი ირაკლი სუთიძე ფრაკიანი ლაქიების სანახავად არ მიდის მთაში. ანკესით კალმახის ჭერა კი უყვარს, როგორც სპორტი, როგორც ბუნების მშვენიერებასთან მიახლება; ხოლო მთაში ცხენით მოგზაურობა ცხენოსნობის მრავალფეროვნებიდან ერთ-ერთი დარგის - მხედრული ტურიზმის ურთულეს სახეობად მიაჩნია. როგორც ყველა ნაფიცი მხედრისთვის, მისთვისაც საცხენოსნო ტურიზმში სპეციფიკის განმსაზღვრელი ცხენია და, ამდენად, ასეთი კითხვა არც წამოეჭრება, მაინც რომელ დარგს განეკუთვნება იგი?! უწყებრივი ინტერესები მის მიმართ ერთნაირად შეიძლება ჰქონდეს საკუთრივ ტურიზმსაც და საცხენოსნო სპორტსაც. ორივესთვის შეიძლება დიდად სასარგებლოც იყოს; გააჩნია, ვინ როგორ მიხედავს.

"ჯიშიანი" და ლამაზი ცხენების ყადრი ირაკლიმაც - ესთეტმა მხატვარმა და კლასიკურ ცხენოსნობაში გაწვრთნილობისა და კონკურის გემოგაგებულმა მოყვარულმა მხედარმაც კარგად უწყის, მაგრამ საქართველოს მთის ყოფისა და ბუნების გულშემატკივარს ასევე არ ესწავლება აქ გამოზრდილი საფერხეების ღირსება, მათი მუხლისა და ჩვევა-ხასიათის შესატყვისობა ამ მოგზაურობის პირობებთან. ამიტომაცაა, რომ მისი "საოცნებო ცხენი" ერთნაირად გულისხმობს როგორც თვალებბრიალა წმინდა სისხლის არაბულ აჯილღას, ისე სპორტული ჟინით აღვსილ უმშვენიერეს ინგლისურ ფაშატსაც და მთის ბილიკებზე დაბარებულივით შემდგარ ერთგულ, ფეხშეუშლელ იაბოსაც.

როგორც კი გავიგე, რომ ირაკლი რამდენიმე დღით შატილში გადასულა და ცხენებით თუშეთისკენ პატარა მოგზაურობაც ჩაუტარებიაო, მაშინვე შევეხმიანე. ცხენების ამბავიც მინდოდა გამეგო, "ტურისტებისაც", თუშეთში რა ხდება - რომელ სოფლებში ასულან ბარიდან; საქონელი, ცხვარი, გზები, ბილიკები...

- მაგაზე ვერ გიპასუხებ; დრო ცოტა გვქონდა და ჩვენ პირიქეთ ხევსურეთ-თუშეთს შორის წრე შემოვიარეთ, ძნელი უღელტეხილებითა და მიტოვებული ბილიკებით. ცხენოსნური ალპინიზმი თუ არა, ნამდვილი მაღალი მთის ტურიზმი გამოგვივიდა, რომელსაც დიდ პერსპექტივებს უსახავენ საქართველოში და არცთუ უსაფუძვლოდ.

- ცხენები? ნამდვილი ჩვენებური, კავკასიური მთის ჯგუფის ცხენები არიან. ძნელია კონკრეტულად თუშური დაარქვა, ან ხევსურული. ჩემმა მეგობარმა კაცმა, არქიოლოგმა გარსევან ზვიადაურმა მოგვიგროვა. შუახის გარსია სასაზღვრო ჯარების ზემდეგია. ერთგულად მსახურობს და ბარიდან ამოსულ სტუმრებსაც უწევს მეგზურობას. ნამდვილად საუკეთესო ცხენები გვყავდა. "ჩემი ქურანას ქება არ მომწყინდება. ვთქვათ, მე ვაჭარბებ. ჰკითხეთ ჩემს თანამგზავრებს - ახალგაზრდა ბიზნესმენს ზურაბ ზურაბიშვილს".

მეგზურიანად ოთხნი გახლდით. მეხუთე ცხენიც გვყავდა, საბარგოდ. თითქოს მოკლე ხნით ოთხ მხედარს თავისი ბარგი თვითონვე უნდა ეტარებინა, მაგრამ სათანადო კომპაქტური ინვენტარის უქონლობის გამო ასე ვარჩიეთ. თანაც ამ ბარგის ცხენს არანაირი უხერხულობა არ შეუქმნია. ერთგულად მოგვყვებოდა, ხანდახან წინაც გაუძღვებოდა ჯგუფს. მუცოს ჭალიდან არჭილომდე (ანდაქის სათავეშია) გზაზე სწრაფად ვიარეთ. მეორე დღეს უკვე ბორბალოს მასივისკენ დავიძარით. ბორბალო კავკასიონისთვის დიდი მწვერვალია. პრაქტიკულად - 3300 მეტრამდეა, მაგრამ იგი მდინარეების დედაა - ამ მასივზე აქვთ სათავეები ფშავის არაგვს, ანდაქს, კახეთისა და თუშეთის ალაზნებს. ამიტომაცაა სახელიანი მთა. ვაჟა ფშაველა მოიგონეთ: "შამადგა ბორბალოზედა თავისუფლების მთვარეა". აქედან ალაზნისთავში გავედით (ეს უკვე თუშეთის, იმავე გომეწრის ალაზნის სათავეა). ალაზნისთავიდან ნაროვანის მთაზე გადავედით. ეს მთა პირიქითის ალაზნის უდიდეს მარცხენა შენაკადს ლაროვნისწყლისა და საკუთრივ ამ ალაზნის სათავეს ქვახიდისწყალს ყოფს. ამ მიდამოებში ქართველ მესაზღვრეთა პოსტიცაა. ნამდვილად არ ელოდნენ ნაროვანიდან ცხენოსანთა რაზმის დაშვებას. სიხარულით შეგვხვდნენ. თუშეთის საკადრისი პატარა სუფრაც გაიშალა. მაგრამ არაყს (ჭაჭა გვქონდა) ჩემს მეტი არავინ გაეკარა. ალბათ, ასეც იყო საჭირო. ქვახიდიდან კი დასავლეთით, ხევსურეთში გადამავალ უძნელეს უღელტეხილს აწუნთას შევუყენეთ ჩვენი საფერხეები. აწუნთა 3441 მეტრის სიმაღლეზეა. ზუსტად ვამბობ, რადგანაც ალმოსავლეთ კავკასიონის ბევრ მწვერვალზე მაღალიცაა! გარსიას ცხენებმა არც აქ გვიმტყუნეს.

# კურიოზული ტრავმები

ამ რამდენიმე დღის წინ ტრავმა მიიღო "ჩარლტონის" ფორვარდმა დარენ ბენტმა, რის გამოც შესაძლოა სეზონის დასაწყისი გამოტოვოს. ფეხბურთელს თამაშისას რომ მიეღო ტრავმა, ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, მაგრამ ბენტი კურიოზულ ვითარებაში აღმოჩნდა. ფეხბურთელი დაზიანდა კეტჩუპის ბოთლით, რომელიც ფეხზე დაეცა.

გთავაზობთ კურიოზული ტრავმების ჩამონათვალს, რომელიც ერთ-ერთმა ბრიტანულმა საიტმა შეკრიბა.

**დეივ ბესანტი** - "საუთჰემპტონის" ფეხბურთელი ბენტის დღეში აღმოჩნდა, ოღონდ ის კეტჩუპის კი არა, მაიონეზის ბოთლის აღებას ცდილობდა. ბოთლი კარადის უჯრიდან გადმოვარდა და ფეხზე დაეცა. ამის გამო ფეხბურთელმა რამდენიმე თვე გამოტოვა.

**ალექს სტეპნი** - 1975 წელს "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე თავისი გუნდის მცველებს ისე ხმამაღლა უყვიროდა, რომ ყბა ამოუვარდა.

**რიო ფერდინანდი** - 2001 წლის იანვარში ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერის" ფეხბურთელი შინ ტელევიზორს უყურებდა და შემთხვევით მოქნეული ფეხი ჟურნალების მაგიდას მოარტყა.

**ლეს ფერდინანდი** - ბიძაშვილ რიოს არც ლესი ჩამორჩა. 2001-2002 წლების სეზონში ლესმა სახლში, "უსაქმურობისას", მაჯა დაიზიანა. ამის გამო ფეხბურთელს სეზონის ბოლო გაუცდა.

**დარენ ბერნარდი** - "ბარნსლის" ფეხბურთელს რამდენიმე თვე გაუცდა იმის გამო, რომ თითქმის ცარიელი აუზიდან ლეკვის ამოყვანას ცდილობდა და მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო.

**კევინ კიგანი** - 70-იანი წლების ბოლოს კიგანმა "ლივერპულის" რამდენიმე მატჩი გამოტოვა. ლეგენდარული ფეხბურთელი აბაზანაში ნებივრობდა, ცდილობდა ფეხის თითი ტრაპში შეეყო და კინაღამ მოიტეხა.

**პერი გროუვსი** - ეს ფეხბურთელი "არსენალის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. როცა მისმა თანაგუნდელებმა გოლი გაიტანეს, გროუვსი გახარებული წამოხტა და თავი მიარტყა პალსტიკის ტენტს, რომელიც სათადარიგოთა სკამს აქვს გადაფარებული.

**ალან მიურეი** - 1964 წელს ამ ფეხბურთელმა ინგლისის ნაკრების სამხრეთაფრიკული ტური იმის გამო გამოტოვა, რომ ვოიაჟის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაპარსვისას ზურგი გაიჭრა.

**ჩიკ ბროდი** - 1970 წელს "ბრენტფორდის" ახალგაზრდა ფეხბურთელს კარიერის დასრულება მოუხდა. ის თავის ძაღლთან ერთად ეზოში ბურთით თამაშობდა და ფეხის ისეთი ტრავმა მიიღო, რომ კარიერა ვეღარ გააგრძელა.

**ალან მაკლაუფი** - "პორტსმუთის" ფეხბურთელს 1994 წელს ქალიშვილთან თამაშის დროს ხელი ამოუვარდა.

**მიკაელ სტენსგაარდი** - "ლივერპულის" სათადარიგო მეკარეს ხელი ეღრძო, როცა საუთოებული დაფის დაჭერას ცდილობდა. ფეხბურთელს ტრავმის გამო ექვსი თვე გაუცდა.

**სელესტინ ბაბაიარო** - "ჩელსის" ფეხბურთელმა ფეხი მოიტეხა, როდესაც ერთ-ერთ სეზონისწინა საკონტროლო მატჩში გოლის გატანას აღნიშნავდა.

**დარიუს ვასელი** - 2003 წელს ფეხბურთელი თავად ცდილობდა მიკროოპერაციის ჩატარებას საკუთარ ფეხზე, რაც მისთვის სავალალოდ დასრულდა.

**დევიდ სიმენი** - მეკარეს 1996-97 წლების სეზონის ნახევარი გაუცდა იმის გამო, რომ ფეხში ტელევიზორის პულტი ჩაირტყა და მუხლის მყესები გაიწყვიტა.

**დევიდ ბიტი** - ფეხბურთელს შვილმა სამთვლიანი ველოსიპედით გადაუარა ფეხზე, რის გამოც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვერ თამაშობდა ფეხბურთს.

**კეისი კელერი** - 1998 წელს კბილები ჩაიმტვრია, როდესაც მანქანის საბარგულიდან გოლფის ყვანჯების ჩანთას იღებდა.

# ვაკანსია
# უშიშროების საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უშიშროების საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაოს შესრულების ადგილია BP-ს ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენები **აღმოსავლეთ საქართველოში.** უშიშროების საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობა იქნება საველე უშიშროების საკითხების კონტროლი და ამ საკითხებში სათანადო გარანტიების შექმნა და რჩევების მიცემა BP-ს ხელმძღვანელობისათვის. მითითებისამებრ, იგი კოორდინირებას გაუწევს უშიშროების დაცვის ღონისძიებებს ამ მიზნით გამოყოფილი *მოქმედების არეალის* ფარგლებში. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები გავრცელდება კომპანია "BP-საქართველოს" და კონტრაქტორების ყველანაირ საქმიანობაზე უშიშროების სფეროში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობებში შედის:

- ყოველკვირეული კავშირი იქონიოს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უშიშროების მხრივ შექმნილი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, და შედეგები ასახოს ყოველდღიურ მოხსენებებში. გააღრმავოს ურთიერთობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა სამსახურთან, მათგან სათანადო დახმარების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- დაამყაროს და მუდმივად იქონიოს მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა სტრატეგიული მილსადენების დაცვის ადგილობრივ სამმართველოსთან, საზღვრის დაცვის სამსახურთან და *მოქმედების არეალში* არსებული სამხედრო ნაწილების მხედრობასთან.
- *მოქმედების არეალში* მოიპოვოს და დაამუშავოს სიტუაციური ინფორმაცია და ანალიზის შედეგები აცნობოს "BP-საქართველოს" უშიშროების სფეროს ხელმძღვანელებს და შესაბამის საველე თანამშრომლებს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორისტულ საქმიანობასა და დამნაშავეობაზე.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს უშიშროების საფრთხეების შეფასება, საკუთარი *მოქმედების არეალის* ფარგლებში.
- იქონიოს კავშირი, უხელმძღვანელოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი *მოქმედების არეალში* კონტრაქტით მომუშავე უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს, რათა მათი მოქმედებები შესაბამისობაში იყოს BP-ს უშიშროების სტანდარტებთან და პროცედურებთან.
- იქონიოს მჭიდრო კავშირი "BP-საქართველოს" საველე კონტიგენტთან, მათ შორის, ექსპლუატაციის ტექნიკოსებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცრებთან და მიწის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან. საჭიროებისამებრ მიაწოდოს მათ ინფორმაცია უშიშროების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.
- შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში, *ინციდენტის მართვის ჯგუფს* და საველე თანამშრომლებს მიაწოდოს რჩევები და აღმოუჩინოს დახმარება.
- იმოქმედოს "BP-საქართველოს" უშიშროების სამსახურის სახელით, საპროტესტო აქციების და სხვა სამოქალაქო არეულობების დარეგულირების დროს.
- დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეადგინოს ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი წერილობითი ანგარიშები.
- უზრუნველყოს პირველადი რეაგირება უშიშროების კუთხით "BP-საქართველოს" საქმიანობის პროცესში მომხდარ საავტომობილო ავარიებზე.
- ჩაატაროს გამოძიება და/ან დახმარება აღმოუჩინოს გამოძიების ჩატარების პროცესში, ხელმძღვანელობიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.
- ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს დიზელის/საწვავის მოხმარების კონტროლს.
- დაიცვას და გაატაროს BP-ს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პოლიტიკა.
- უზრუნველყოს რეგულარული კოორდინაცია *მოქმედების არეალში* მომუშავე ქვეკონტრაქტორის უშიშროების პერსონალთან.
- საჭიროებისამებრ შეასრულოს სხვა დავალებები და მითითებები, ექსპლუატაციის ნაწილის და პროექტის საქმიანობაში დახმარების მიზნით.

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სამხედრო, უშიშროების სამსახურში ყოფნის ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება;
- ცოდნა და გამოცდილება რისკის ანალიზის და რისკის მენეჯმენტის სფეროებში;
- ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და უშიშროების მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის ფლობა;
- ავტომობილის მართვის მოქმედი მოწმობა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - გამართული ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი და გამორჩეული ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაკვირვების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, რთული კლიმატის და რელიეფის პირობებში, მათ შორის, ქალაქგარეთ, მოშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 9 აგვისტო, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# სსიპ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს საგრანტო კონკურსს

სესფ GNSF

**სამეცნიერო აპარატურის შესაძენად**
**გრანტები სამეცნიერო აპარატურის შესაძენად**

**კონკურის პროგრამა და პირობები**

**1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2006 წლის 28 ივლისს აცხადებს საგრანტო კონკურსს სამეცნიერო აპარატურის შესაძენად**

1. საგრანტო კონკურსის მიზანია აამაღლოს საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხი, გაზარდოს თანამედროვე აპარატურაზე სამეცნიერო ჯგუფების ხელმისაწვდომობა და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას.

2. საგრანტო კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს და დააფინანსოს აუცილებელი სამეცნიერო აპარატურის შეძენა საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისა და კვლევების ჩატარების უზრუნველყოფისათვის.

3. სამეცნიერო აპარატურის შეძენა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კონკურსის ბიუჯეტია 1 000 000 ლარი. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ს.ს.ი.პ. - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ).

**2. კონკურსის პირობები**

1.. 2006 წელს კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული იქნება იმ სამეცნიერო აპარატურის შეძენა, რომელიც ხელს შეუწყობს შემდეგი მიმართულებების კვლევას, გამოვლენას, ანალიზს, რეაბილიტაციას, ფიქსაციასა და განვითარებას:

**1. ქართველოლოგიური მეცნიერებები;**
**2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;**
**3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები;**
**4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;**
**5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;**
**6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები;**
**7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;**
**8. აგრარული მეცნიერებები.**

2. საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა ორგანიზაციებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ჯგუფურ განაცხადებს კონკურსის ფარგლებში მიენიჭებათ უპირატესობა.

3. კონკურსზე განიხილება მხოლოდ უახლესი, თანამედროვე აპარატურის შესაძენად წარმოდგენილი განაცხადები.

4. თითოეული განმცხადებელი ორგანიზაცია, გრანტით დაფინანსების შემთხვევაში, ვალდებულებას იღებს გრანტით შეძენილი სამეცნიერო აპარატურა გახადოს სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისთვის და/ან მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნული საკითხი დაფიქსირდება კონკურსის შედეგად გამოვლენილ დასაფინანსებლად შერჩეულ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებაში.

5. გრანტის ფარგლებში შეძენილი ქონება რჩება გრანტის მიმღებ ორგანიზაციას და წარმოადგენს მის საკუთრებას (ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, აპარატურის ადგილმდებარეობა და მესაკუთრე განისაზღვრება ორგანიზაციებს შორის წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და ეცნობება ფონდს).

6. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მაძიებელმა ორგანიზაციამ აპარატურის შეძენა დააფიქსირა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 აპრილის N81 დადგენილების: "***სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე"*** შესაბამისად გამოცხადებულ **სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში** და მისმა პროექტმა მიიღო დაფინანსება, **სამეცნიერო აპარატურის შეძენის საგრანტო კონკურსის** ფარგლებში იგივე აპარატურის შეძენაზე წარმოდგენილი პროექტი საკონკურსოდ არ განიხლება.

**3. დაფინანსება**

1. სამეცნიერო აპარატურის გრანტი ითვალისწინებს კვლევებისთვის საჭირო უახლესი სამეცნიერო აპარატურის შეძენას.

2. გრანტის ფარგლებში ფინანსდება სამეცნიერო აპარატურის შეძენა და მასთან დაკავშირებული ხარჯები (ტრანსპორტირება, მონტაჟი, დაზღვევა და/ან საგარანტიო მომსახურება, საბანკო მომსახურება და სხვ.).

3. წარმოდგენილი საპროექტო წინადადება შესაძლოა შეიცავდეს ერთ ან ერთზე მეტი ერთეული აპარატურის შეძენას.

4. ერთ განაცხადში ერთზე მეტი ერთეული აპარატურის შეძენის წარმოდგენის შემთხვევაში, საპროექტო წინადადება უნდა შეიცავდეს არგუმენტირებულ საფუძველს ამ აპარატების კომპლექსური შეძენისა და ფუნქციონირების აუცილებლობის შესახებ.

5. გრანტის სახსრებით არ დაფინანსდება:

1. საცდელი მასალები;
2. საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა;
3. ნებისმიერი სხვა საქონელი ან მომსახურება, რაც არ არის განსაზღვრული 3-ე ტავის 2-ე პუნქტით.

6. დაფინანსების დამტკიცების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ორგანიზაცია ორგანიზაცია ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება მომწოდებელთან და წარმოადგინოს ის ფონდში. ამ ხელშეკრულების წარმოდგენის შემდეგ, ფონდი გააფორმებს ორგანიზაციასთან ხელშეკრულებას და გადაურიცხავს მას თანხას.

**4. კონკურსში მონაწილეობის მიღება**

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს - აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებს.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში განაცხადი შემოაქვს ორგანიზაციის დირექტორს, ან მის სხვა უფლებამოსილ პირს.

3. კონკურსში რამოდენიმე ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში, განაცხადი ფონდში შემოაქვს ყველა ორგანიზაციის მიერ ნდობით აღჭურვილ პირს - ერთერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

**5. კონკურზე წარსადგენი მასალები**

1. კონკურსში მონაწილეობისათვის ორგანიზაციამ ფონდში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია ქართულ ენაზე:

**1. წერილი (თავფურცელი), ორგანიზაციის რეკვიზიტებითა და დირექტორის ხელმოწერით (იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს წარადგენს რამდენიმე ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების ხელმოწერა თავფურცელზე სავალდებულოა);**
**2. შევსებული განაცხადის ფორმა;**
**3. მონაცემები ორგანიზაციის შესახებ;**
**4. პროექტის ბიუჯეტი;**
**5. შესაძენი აპარატურის ღირებულების მარკეტინგული კვლევის ნიმუში (სულ მცირე 3 სხვადასხვა მომწოდებლისგან მიღებული ფასები), ასევე უშუალოდ იმ ორგანიზაციების რეკვიზიტები, რომლებიც აწარმოებენ შერჩეულ სამეცნიერო აპარატურას ან ახორციელებენ ამ აპარატურის შემოტანას საქართველოში;**
**6. მომწოდებელი ორგანიზაციისგან მიღებული წინასწარი ფასის შეთანხმების ოქმი (წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა). აღნიშნული დოკუმენტის უცხო ენაზე არსებობის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მისი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

2. საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ-დისკზე (CDR). მე-5 თავის პუნქტი 1-ის 1, 5 და 6 ქვეპუნქტების ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

3. არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი კონკურსში მონაწილეობისთვის არ განიხილება.

**6. საკონკურსო მასალების წარდგენის, შეფასებისა და განხილვის ვადები**

1. წარმოდგენილ საკონკურსო მასალებს აფასებს კონკურსის კომისია, რომელიც დაამტკიცებს დასაფინანსებლად გამოვლენილ პროექტებს.

2. საკონკურსო მასალების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 10 ოქტომბერი, 18:00 საათი. აღნიშნული ვადის შემდგომ წარმოდგენილი პროექტები საკონკურსოდ არ მიიღება.

3. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2006 წლის 20 ნოემბრისა.

**კონკურსის პროგრამა და პირობები და საკონკურსო განაცხადის ფორმები განთავსებულია ფონდის ვებ-გვერდზე: www.gnsf.ge**

**დეტალური ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი**
**დ. უზნაძის ქ. N68, IV სართული**
**0102, თბილისი, საქართველო**
**ტელ: 95 74 16;**
**ფაქსი: 95 62 05**
**ელ-ფოსტა: office@gnsf.ge**
**ვებ-გვერდი: www.gnsf.ge**
**საკონტაქტო პირი: მაკა იაშვილი, ნინო დემეტრაშვილი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს ვიდეომიქშერის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია:
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: 200122900
მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
მიმღების ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 302003000
გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი
დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)

თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ, ქ. თბილისი კოსტავას N68 ოთახი N341, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:
**გამოსასვლელი საეთერო ვიდეომიქშერი 1M/E:**

1. სამაუწყებლო სტანდარტი- PAL - 4,43;
2. შესასვლელი მოდულების მაქსიმალური რაოდენობა - 24;
3. შესასვლელი სიგნალის ფორმატი - SDI, YUV ან CVBS
(შერჩევა მოდულის შეცვლით, შესაძლებელი უნდა იყოს მოდულების ნებისმიერი კომბინაცია);
4. EXT KEY (DSK) - 2
(უნდა კონფიგურირდებოდეს როგორც SDI ან ანალოგური);
5. კადრული სინქრონიზატორი ყველა შესასვლელზე;
6. გამოსასვლელები:
PGM - 2xSDI, 2xCVBS(PAL)
AUX - 1xSDI, 1xCVBS(PAL)
PREVIEW -2xCVBS(PAL)
7. ლოგოგენერაციის მოდული:
გამოსასვლელები - 2 დამოუკიდებელი არხი 2xSDI, 2xCVBS(PAL)
მართვაEEthernet-ის და RS-422 საშუალებით
ინტერნალური მეხსიერება - არანაკლებ 240 კადრის

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კოსტავას N68

4. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 21 აგვისტოს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე ქ. თბილისი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, კოსტავას N68.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა, გაცემული საგადასახადოდან. (თუ ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა).

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არა აქვს დავალიანება;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

7. წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს.

9. დაფინანსების წყარო - ეკონომიკური საქმიანობა.

10. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

## საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სატენდერო კომისიის განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას გამზN16, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აცხადებს ღია ტენდერს გაგრისა და გალის რაიონების ორთოფოტოგეგმების დამზადების, ამ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების ობიექტების დიგიტალიზაციის, უძრავი ქონების აღრიცხვისა და გეომონაცემთა ბაზის ფორმირების სამუშაოების შესყიდვაზე და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ზემოთაღნიშნული სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება 1 ლოტის მიხედვით. დეტალური ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ზემოთაღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოდგენონ ქართულ ენაზე დალუქული კონვერტებით 2006 წლის 17 აგვისტოს 15 საათამდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მე-3 სართული, ოთახი N313 38-23-01 სატენდერო კომისიის აპარატი. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 აგვისტოს 15 საათზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცესს.

4. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორგინალების ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლების სახით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას, იმის შესახებ რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

